გია ჯიჭონაია

# კირბები
# ელეგიები
# რობაიები



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

გია ჯიქონაია

# კირბები ელეგიები რობაიები

თბილისი
2020

UDC (უაკ) 821.353.1-1
ჯ-41

რედაქტორი: **კონსტანტინე გამსახურდია**
ტექ. რედაქტორი: **გიგი გელაშვილი**

ISBN: 978-9941-9653-3-3

© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
© გია ჯიჭონაია

# წინათქმა

ჩვენს წინაშეა ბატონი გია ჯიქონაიას პოეტური ტექსტების კრებული “კოლხური კირბები”. ორიოდე სიტყვით სათაურს თუ შევეხებით, ჩემი აზრით მათმა ავტორმა სულ ცოტა ორმაგი სემანტიკა გაანივთა მასში: ერთი ის, რაც დიდი სიძველიდან მოდის, ათასწლეულებზე გამოივლის და ეს ძველი კოლხი მოგვების სიბრძნის რაღაცნაირი ანარეკლია. მეორე ეს ის ვიზიონერული დაკვირვებებია ცხოვრებაზე, რომელსაც ქართველი და განსაკუთრებით კოლხი კაცი დღემდე ხშირად იქმს მოცალეობის ჟამს. და ის რაც მის აღქმაში და შემდგომ შემეცნებით აქტში გარდატყდება, უკვე ტრანსუბსტანცირებული, შეცვლილ-გარდაქმნილი რეალობაა და თუ კომპეტენტურ ინტერპრეტატორებს ვენდობით, თავად “ოქროს საწმისიც” სწორედ უხეში მოცემულობის ოქროდ და განსხივოსნებულ სუბსტანციად გარდაქმნის რეცეპტი ყოფილა. “სიმარტოვის ელეგიები” მეტწილად ექვსსტრიქონიანი ლექსებია, ოსტატობით გარითმული, ის რამოდენიმე ციკლისაგან შედგება. თავიდან არის “კოლხური კირბები”, შემდეგ მათ მოსდევს“მედიტაციური კირბები”, მერე “სიმარტოვის ელეგიები” და ბოლოს კრებულს ასრულებს “კერიასთან მოსაყოლი რობაიები”. რიტმიკა და საზომი აქა-იქ იცვლება. ორიგინალურ ექვსსტრიქონიან (კოლხური კირბების), ლექსს ენაცვლება რობაიების სტილი, რაც ასევე მარჯვედ უდგება იმ სათქმელს, რომელსაც პოეტი აქ გადმოსცემს. როგორც ეს საყოველთაოდაა ცნობილი. რობაია ირანულია, სადაც 4 სტრიქონში უნდა ჩაიწუროს სათქმელი. ეს ფორმა თავის დროზე გოეთემაც გამოიყენა და საინტერესო სხარტულებიც გამოუვიდა. ზოგადად პოეზიაში ან მუსიკალური მხარე პრევალირებს, ან აზრისმიერი. გია ჯიქონაიასთან სწორედ ეს მეორეა. ამ დროს საფრთხეა იმისა, რომ შემოქმედი გადაიჭრას მშრალ რეზონიორობაში, როგორც ამას წერს ზვიად გამსახურდია თავისი ერთადერთი პოეტური კრებულის მანიფესტში, რასაც, მისი თქმით, უფრო „ზაუმისკენ” მივყავართ. გია ჯიქონაიასთან ეს საფრთხე არიდებულია: ელეგანტურად ჩამოყალიბებული სიტყვასხმულებით, რაკურსულ-აზრისმიერი პოეტური წიაღსვლებით. კითხულობ მათ და შეიძლება ბევრი რამ მოგესმას ასოციატიურად - მაგალითად, ბიბლიური არქაიკიდან სოლომონისეული იგავების პროსოდია ან თუნდაც შექსპირის სონეტების ექო.... ენის მოქნილობა და სიმახვილე აზრისა ზეიმობენ თავის შესაძლებლობებს. ეს წიგნი საიდანაც გინდა დაიწყო, გაგიტაცებს და თავის საინტერესოობას დამაჯერებლად უთუოდ გაგრძნობინებს.

**კონსტანტინე გამსახურდია 2020 წ. 19 თებერვალი, გერმანია**



# კოლხური კირბები

**I**

ყოველი ქვეყნის ისტორია არის მუზებში,
ის გმირობანი, არა მხოლოდ მუზეუმებში,
იდებენ ბინას,ბრწყინავენ და არ დუმდებიან,
გულს გიხარებენ, ბრწყინვალებით, არ ხუნდებიან,
თან გიყვარს ცოცხლად, სიმღერებად ლამაზ ქუჩებში
ამ ისტორიას რომ მღერიან და გიყვებიან.

**II**

ვიღამ  შეიგრძნოს საოცრება გრძნეულ ძალების,
ერთგვარი ახსნა,რომ სამყაროს იდუმალების,
თუკი არსებობს ის საერთოდ — ყველაფრის პასუხს
ვერ ვეღირსებით, ვერასოდეს, ვაწვალებთ წარსულს,
არ მიაწოდებს მას ბუნება არც მდუმარებით
და არც სიტყვებით, თურმე მოკვდავს, რადგანაც არ სურს.

**III**

სიტყვათა ზუსტი მნიშვნელობის უცილებლობა
ბევრს რომ ესმოდეს, ის ტალახში არ ჩაეფლობა,
გაუგებრობის ვინაც ფურცელს ახალს გადაშლის
და თავის ნათქვამს იქ დატოვებს, არასდროს წაშლის,
სიზუსტისაკენ ლტოლვით იცავს ურთიერთობას,
დაკვირვებულად ვინც მიცურავს სიტყვების ზღვაში.



## IV

ჩვენი ცხოვრების რომანი კი ჩვენ თვალწინ გარბის,
(საინტერესო ის ყველაზე,თურმეა ჟანრი),
ათას ქურაში გამოწრთობით, რომ დაბრძენდება,
ადამიანი - იმის მერე ცხოვრებაც წყდება,
შენ კი გწყურია აწ დღეები, რაც ღიმილს გაშლის,
ის კი ჩერდება აქ, შენ თვალწინ და არ გრძელდება.

## V

პოეტისათვის ასაფრენი აქ მინდორია
ეს დედამიწა, უჩვეულო კი ის ზოლია,
საოცრებაა, (უჩვეულოდ მასაც აცვია),
ამ ყველაფერზე ეღიმება, ანდა მკაცრია,
შენ, აქ არ მოგწონს (როცა ამბობ—მძიმე როლია)
და გსურს მოძებნო უკეთესი დეკორაცია.

## VI

დღემდეც არ იცის აქ არავინ, რა არის კირბი[4],
როგორც ეფუთი[1] კვალგამქრალი, დუმილით მიჰქრის...
მას ნაწყვეტები ეფუთიდან კარში დაებნა,
როცა დაქალი ტყაშკოჩისგან[2] დარჩა ორსული,
(კირბს კითხულობდა სადაც აპ. როდოსული[3]),
გვიანსაღამოს კი ტყაშმაფა ნაზ კავალერთან,
კვლავ ბოლო მოდის ვარცხნილობით იყო მოსული.

---

1 ეფუთი - მეგრული საკრალური წიგნი, რომელიც დაკარგულად ითვლება.
2 ტყაშკოჩი - ტყისკაცი, მითოლოგიური პერსონაჟი.
3 აპ. როდოსული - აპოლონ როდოსელი, რომელიც პირველი ახსენებს კირბებს.
4 კირბები- მის მიერ გამოგონილ ლექსის ფორმას გია ჯიჭონაიამ კირბი უწოდა (რედ)



## VII

სისულელეა ყველაფრის თქმა და მას სჯერდები,
როგორც ზოგ-ზოგნი (შენ იმათ რიცხვს ვერ უერთდები,
რაც იხვეწები, მათთან  ერთად არ ილექები),
გაცხარებული,გაჯავრდები ყალბი ლაქებით,
გიკვირს, მოასწრეს ან საიდან მათ ეგეთები...
ეს სიეშმაკე, ხერხი, ფანდი და ილეთები.

## VIII

და მაინც, ტკივილს ებრძვის კაცი სულის შფოთვებით,
დაღამებებით, გათენებით და აღშფოთებით,
ეს დაბნელება —დაღონების არდაფარვებით,
და ღამეები სიზმარეულ კვლავ ფარვანებით.
უფალმა მოგცა მაინც ძალა როცა გაძლების,
ნაგვიანები დაყოვნების გაჯანჯალებით.

## IX

უსამართლობა მიგაცილებს კვლავ ატირებულს,
საწუხილოა  ყველაფერი, რაც გისერავს გულს,
უთანასწორო რომ ბრძოლები ვერაფერს ვერ ცვლის,
განადგურდები,  ვიცი, დარდი ამაზე შეგშლის,
როცა ვალუტას, დღეს ყველაზე  კონვერტირებულს,
კვლავ  წარმოადგენს ოცდაათი, იცოდე,ვერცხლი.



**X**

თვალშეუწვდომი ნოვატორი ცისკენ მიქროდა,
თანამედროვე იდეალებს აღარ მისთხოვდა,
მოჟამულ დილას უსწორებდა ვინც თვალებს მეტყველს,
იქ, სამერმისოდ  იტოვებდა თავისთვის მეტ ტყვეს,
წინასწარ ჭვრეტდა მომავალს და მასზე ფიქრობდა,
ბობოქარ სულში პოულობდა წინასწარმეტყველს.

**XI**

ცუდი ჩვევაა სიძულვილი, გადაივიწყე,
და სიყვარულით ამ ბარჩხალა მზეს მიეფიცხე,
რჩეულთა ტანჯვა უფრომ ძიმე არის მარადის,
რადგან სიმძიმე იმის მხრებზე მეტი გადადის,
მას მეტი ესმის, სიკეთეზე ვინც სულ იფიცებს,
(იქვე გახსოვდეს, სამართალი ფეხდაფეხ დადის).

**XII**

თვალს რომ დახუჭავ,  სინამდვილეს კვლავ აფერადებ,
დაეძებ ფერებს, რომ გაათბო ეს ამხელა მზე,
უფრო შთამბეჭდავს, წითელს, ყვითელს, ძლიერს იმაზე,
გუშინ რომ გქონდა,  უფრო ლამაზს, იქ რომ ინატრე,
რომ რეალობა არ გიზიდავს,  არ ფიქრობ მასზე...
თვალს გაახელ და ის ფერებიც თურმე დაკარგე.



## XIII

ღმერთიც, ეშმაკიც, ჩვენში მუდამ იარებიან,
გულზე რაცა გაქვს, სიმწრისაგან რაც ღარებია,
ვერ შეხორცდება,  ვერ განკურნავს ვერნაირი დრო,
ღმერთი, სინდისი როცა არის, ვეღარ დაადნობს
რაკი ეშმაკი იმ სიმართლეს, იარებიანს,
იქ გულისნადებს, შენც იმ ეშმაკს ნუღარ გაანდობ.

## XIV

კვლავ უძილობამ ამიშალა ფიქრთ საღერღელი,
ნეტავ მიზანი ვინღა იცის, მითხარ ამ ღელვის,
გამიარაფრდა ადრინდელიც და ყველაფერი...
ვატყობ  ბილიკებს აღარ მოსწონთ უკვე ეს ფერი,
დამძიმებულა ჩემი გული ისევ ნაღველით
და ამ ცხოვრებას უსასოო სევდით გავცქერი.

## XV

მან თქვა, — კანონებს ვერასოდეს შეეგუება,
რადგან ინსტრუმენტს, იცის აძლევს მხოლოდ ბუნება,
შემოქმედება როცა მუდამ დინამიკაა,
ნაწერში ჟესტიც,  უჩვეულო იქ მიმიკაა..
თუ  იბადება პოეტური უცებ ქმნილება,
დოგმას იქ არა ესაქმება,  მისთვის იქ რაა.



**XVI**

ცოტა არ იყოს, გამომცდელი მზერა შემავლო,
მერე მოვიდა, უსწრაფესად ხელი დამავლო,
და მიმაქანებს, არ ვიცი სად, რა მეშველება...
ის გრძნობებს მალავს, გულგრილობა თავზე ევლება,
მე ვწევარ ჩემთვის, კვლავ არ მინდა ამდღესაც ვავნო,
თუმცა კი  იმას, ვიცი, ჩემთან კვლავ შეეშლება.

**XVII**

ქარი სიცივეს თუკი ჩემთვის კვლავ არ იშურებს,
ვატყობ, გუმანიც ახალს ელის მოშარიშურე,
აღარაფერი არ მახარებს და სულერთია
გამიღიმებენ თუ ზურგს უკან ტყვიას მესვრიან,
რატომ ვარ ასე? დღე სულ მაცმევს იმ მაისურებს,
რომლის ფერებიც კვლავ არაფრად არ ჩამითვლია.

**XVIII**

ისევ  ფიქრების  მეც  მაოცებს  ეს უძირობა,
რომ გაიდარებს,  ჩვენ იმისიც არ გვაქვს პირობა,
მთელი ცხოვრება  პროექტების ვართ აგებაში,
რა და რა არ გვაქვს, რომ იცოდე  ისევ გეგმაში,
თვალშეუვლები ოცნებები და უძილობა..
თუ რამ გამოვა, მისას არ ვართ კვლავ გაგებაში.



**XIX**

ერთხელაც იგრძნო, დაიღალა საკუთარ თავით
და არავისთან უკვე არ აქვს მას თავი დავის,
არც სურვილი აქვს სადმე წასვლის, შეეკედლოს სხვას,
თან აქვე ხედავს, რომ მობეზრდა ის საკუთარ თავს,
ის კი არა და მას დანახვაც არ უნდა არვის,
ის ის არაა, არვინაა, არვის გასცემს ხმას.

**XX**

ეს ხეც ჭრიალებს, კარგა ხანი არ გადატყდება,
გარეთ ქარია, მონატრების ფიქრი არ წყდება,
ბედს ვევედრები, მოწყალება რომ გაიმეტოს,
შენმა ღიმილმა ჩემთან ახლოს მუდამ იმეფოს,
ხილვის იმედის მხრებზე თუ დგას ეს მონატრება,
არ მიმატოვო, ჩემთან დარჩი, მოდი იმედო.

**XXI**

სასვენ ნიშნებით გრამატიკა ფიქრში ეფლობა,
ვით შუქნიშანი, სიტყვის ბოლოს ის დაესობა,
იქ მწერალია და იმ სიტყვებს ხმალივით იქნევს,
ენათმეცნიერს რაც არ მოსწონს, განზე გაიწევს.
შენ უკვე მოგწონს  ეს მწერლური დაუდევრობა,
მეცნიერული პედანტიზმი რომელსაც მისდევს.



**XXII**

ხედავ, ცხოვრება მიზანია, ფიქრების თქეში,
მიუწვდომელი კი იქ სახლობს, შორეულ მზეში,
რომელიც ასე ძლიერ გათბობს, ეფიცხე სულო,
შენ არ ჩერდები და არ გინდა, რომ დაგასრულოს,
რაკი ცხოვრების აზრი არის სილამაზეში,
მიზანთან ახლოს კი სიძნელე ისევ მატულობს.

**XXIII**

ის  გაუსაძლის ტკივილს ებრძვის, ნორმალურს არ ჰგავს,
იმანჭება და ათასგვარად თვალს გადმოკარკლავს,
გუშინის მერე, მის შემყურეს მკვდრისფერი აზის,
აზრს ვერ პოულობს გულის კარის აწ გადარაზვით,
წუთით რომ ფიქრი გაიტაცებს და გადაკარგავს,
გარდუვალია სიგარეტის იქ  ღრმა ნაფაზი.

**XXIV**

აფათურებდა იქ სულებში ხელებს სიცილი,
ჯერ მათ სტუმრობდა, მერე სხვაგან იყო იმ დილით,
პატარა სხეულთ დიდი სული ძლიერ შვენოდა,
დიდ სურვილებსაც ნებისყოფა დიდი შველოდა,
ზოგს ეშინოდა სირცხვილისა, როგორც სიკვდილის,
სხვებს კი თავისი საქციელის არცა რცხვენოდათ.



**XXV**

ჩვენი ცხოვრება, უცნაური რამ სიზმარია,
ცივმა დღეებმა იმედი და ცრემლი არია,
და ერთმანეთში გადახლართა კვლავ ათასი რამ,
დოლზე დაუკრა  და გვაცეკვა  რამ-ტა-რა-რა-რამ,
არიან? რავი, მარტო რა ვქნა, თუ არ არიან?!.
- თქვა მისთვის კაცმა, რომ მივიდა სამოთხის კართან.

**XXVI**

მან სხვებს წაართვა ღიმილები და ოცნებები,
თვით რომ ეფრინა, საოცარი წაართვა ფრთებიც.
და შიშსაც აღარ მიეჯაქვა, როცა ელავდა,
სულის მდინარეს უჩვეულო ნავით სერავდა,
მან უსირცხვილოდ მოიპარა სხვისი ფერებიც
და საკუთარი  დღეები  კვლავ გაიფერადა.

**XXVII**

ჩვენი თაობა აღარა ცნობს პატიოსნებას,
ნიავქარს გაჰყვა ის მითები და ის ოცნება,
ის კი არადა, როცა გარყვნა პიკამდე აღწევს,
ჩავიკეტები იმ დროს ჩემთვის,  ფარდას გადავწევ,
როცა ფიქრები უჩვეულოდ  გამიოცდება,
იმსხვრევა სული  და ტკივილებს უბრალოდ აღვწერ.



**XXVIII**

ქარი ქრის, თუმცა არ ინძრევა აღარც ერთი მთა,
არ დასცვენიათ ქარიშხალში ამ მთებს აღარც თმა,
ვატყობ, ეს ქარი წვიმის მოსვლით ისევ გვატყუებს,
როგორც ის ბიჭი უცნობ გოგოს კოცნას დასტყუებს
და გაიქცევა, რათა  უცებ მიეფაროს თვალს...
გამოცხადების სიოს მოყვეს,  ჩუმად დაბრუნდეს.

**XXIX**

დღე კვლავ მაოცებს უჩვეულო ბუნდოვანებით,
და არ ჩერდება (თან შენც მისკენ მიექანები),
ასე დრო გაჰყავს მას შტრიხების ოპერირებით,
კარგად გამიცნო და ერთობა ფანტაზიებით,
როგორც მხატვარი შუქჩრდილების დამუშავებით
და კონტურების უსასრულო გრადაციებით.

**XXX**

დროა დავშორდეთ, დაივიწყე, რაც მოისმინე,
გზად მიმავალმა რომ იტირე ან რაც იცინე,
სიმარტოვისთვის გაიწირე და იმარტოვე,
ვეღარ იხილავ ,რომ იცოდე აწი ამ ტონებს,
ის გულგრილობა გულს  მისერავს, რაც მე ვითმინე,
ნუ მომიკითხავ, ჩათვალე, რომ მე მიგატოვე.



## XXXI

სატირალია, ამქვეყნად რომ სულს მართავს ფული,
მასთან კანონიც არ კანონობს იმ დასასრულით,
ფულის მოსვლასთან მხარდამჭერიც მოგიმრავლდება,
თუ წაგივიდა,  მარტოობა აღარ აგცდება
და სიღარიბეც მოგბეზრდება ზღვარგადასული,
რასაც  სიმდიდრე სულ ფარავდა იმ ჟრიამულით.

## XXXII

ეჰ, სიყვარული რომ შველოდეს მარტოკა ჩვენი,
თქვი, რა ლამაზად იქნებოდა აქ ყველაფერი,
რომ  მისი ნიღბით დადის თურმე თვით სიძულვილი,
ანგრევს ყველაფერს, აცამტვერებს მისი სურვილი,
იქ  გონებრივი სიმახინჯით იმარჯვებს მტერი,
ტრფობას კი უწევს ცრემლთან ერთად ისევ დუმილი.

## XXXIII

ეგერ სიბერეც, გაიხედავ, ისიც აქვეა
და შენც ტყუილად მეკითხები, მითხარ, რა დღეა?
მას მნიშვნელობა აღარა აქვს, გაირბენს უცებ,
კარგად მღეროდა, ვინაც ახლა, ზის და სხვას უსმენს,
სიბერეში კი იკუმშება იცი ტრაქეაც
და ამიტომაც სუსტი  ხმა აქვთ თურმე მოხუცებს.



**XXXIV**

ამპარტავნებამ  გადმოაგდო ეშმაკი ციდან,
სიძულვილებად  ქვეყანაზე როცა გაწვიმდა,
შემდეგ კი უკვე ცოდვებისგან გაჩნდა ხანძარი,
ჩვენ ვებრძვით ეშმაკს, რაიც ხან იქ, ხანაც აქ არის,
ადამიანი ღმერთისთვის კი ყველაზე წმინდა,
მისთვის ყველაზე სრულყოფილი არის ტაძარი.

**XXXV**

მწამს, გაგრძელდება ის,რაც ერთხელ უკვე დაიწყო,
მორიგი მარცხი, არ გსურს დილამ ისევ გაუწყოს,
გწყინს, უღირსობა რომ იპოვის უცებ გასავალს,
(თან მძიმე ყოფამ  ბევრს ათასი ხრიკი ასწავლა),
სხვა გზა არ რჩებათ, რა ქნან, ფეხი უნდა აუწყონ,
ცხოვრებას,  ანუ ამ უცნაურ თავგადასავალს.

**XXXVI**

გზას რომ აირჩევ,  გაიარო უნდა ბოლომდე,
ბევრჯერ დამარცხდი და დაეცი? უნდა წამოდგე,
იმ ერთზე ფიქრში, სხვა გზას ღირსად უკვე არ თვლიდე,
რახან დაიწყე, გზა ბოლომდე უნდა გახვიდე,
ებრძვი უნიღბოთ, ნიღბიანებს, ათას ბოროტებს,
რა იცი, იქნებ, გამარჯვება იქ ახლოს  ვლიდეს.



**XXXVII**

სევდაში ვნახე სილამაზე გაუხუნარი,
მისით სრულყოფა, ბუნებრივში წვდომის უნარი,
იქ სევდა იდგა მარტოდმარტო, ყველაფრის მერე,
სიბრძნე, სიცოცხლე, სიყვარული, იქვე სიბერეც,
მე მოვისმინე უჩვეულო რამ საუბარი,—
სიტყვა დუმილში, საოცარი და დავიჯერე.

**XXXVIII**

მოუკირწყლავი გზაა რაკი ჩვენი ცხოვრება,
სადაც ოცნება და აზრები ტალახს ეფლობა,
უძილო ღამე ამ გზას როცა ისევ გარს აკრავს,
იქვე ციცაბო აღმართები კვლავ სუნთქვას გვიკრავს,
მთებში გაწოლილ იმ ბილიკს კი მიჰყვება ტრფობა
ყველაფრისადმი, სილამაზის სხივი რომ დაკრავს.

**XXXIX**

არ გაგიკვირდეს არაფერი, ტალახით ნაშენს,
აქ უარესი რამ გვინახავს, გახსოვს, მე და შენ.
ამ გზაზე ირგვლივ კი ათასი რამ ცდუნებაა,
აუხდენელი რაიც დარჩა, ის ოცნებაა.
ამბობ: ბუნება, თქვი,უკეთესს აწ რას გააჩენს, -
თუმც ყველაფერი მაინც თავის მოტყუებაა.



## XL

როდესაც მდიდრად იბადები , სულ იმას ცდილობ,
როგორ დახარჯო ეს ქონება და დაასრულო,
რადგან არ იცნობ გაჭირვებას, რაიც გზაშია,
შეცდომას არვის რომ პატიობს და მუდამ შია,
გაჭირვებულიც ვერას ხედავს აქ უჩვეულოს,
დილიდან შრომობს და ათასი ხელი ასხია.

## XLI

სადაც სიტყვაა, ყველაფერი მისით იწყება,
მისით მთავრდება და ეძლევა თავდავიწყებას,
მასაც იმ ზაფხულს დილის სხივი აქ  დაებედა,
ვინც ადამიანს მთელი გულით კვლავ დაეძებდა,
ვერ პოულობდა, აწყდებოდაა მბების წყებას,
ამ თვალმიუწვდომ უდაბნოში და ხარხარებდა.

## XLII

სიტყვათა უკან მოიწყინეს ნაღდმა გრძნობებმა,
(ამ ხარახურებს ელოდებათ კვლავ დაობება),
რომ ხეიბრები მათ ბრძოლიდან ხელკავით გაჰყავთ,
ღამე უძინართ, მზე რომ ციდან ლოცვით ჩამოჰყავთ,
არაკაცმა თქვა: ჯოჯოხეთი არ მელოდება,
ავაზაკებსაც ხომ მფარველი ანგელოზი ჰყავთ.



## XLIII

ზოგს შეხედავ და   ყვავილსა ჰგავს, რომ გაგიღიმებს,
ზოგიც უაზრო სიარულით აოცებს მილეთს,
ვათვალიერებთ დიდის ამბით სხვათა ნაშრომებს,
როგორ იცხოვრეს, სად განაზდნენ, სად ააშმორეს,
სიცოცხლის ბოლოს ვემსგავსებით სიკვდილმისჯილებს,
ეშაფოტამდე ნაბიჯები როცა გვაშორებს.

## XLIV

ეს გაუმარჯოს მეფეს, გიჟის საბუთით ხელში,
სხვაგვარად არვინ დაგიჯერებს, მე ვიცი,შეშლილს,
რომ პოეზია სიგიჟეა და ქარში რჩება,
საუბრები კი ჯადოსნური, სულს  დააჩნდება,
გაგიჟება სურს, მეფობა სურს, ხიდიდან ხტება,
დღეს სულითაა ავად, მგონი ვერ გადარჩება.

## XLV

სულის ხეხილში კვლავ ქარი ქრის დამანგრეველი,
ცაზე ცღრუბელთა განლაგებაც, დამაბნეველი,
ფიქრობ, ვინაა საბოლოო ხაზის გამვლები,
პირდაპირ რომ ვთქვათ, ვინ იქნება ქვეყნის ამკლები?
ეს ხომ პირველი აღარ არის დამარბეველი
და არც იქნება, მე მგონია, სხვაზე ნაკლები.



**XLVI**

ოცნება დამრჩა წუხელ გარეთ დანაღამები,
ძლივსღა გავუთბე მოყინული ის წამწამები,
ხმები მასმინა გამთენიით ჩანარბენები
და თივის ზვინთან კვნესა ცრემლით განაგრძელები,
რაიც წარსულში მოვიტოვე, ახლა გავები,
შენც არ გწყინდება ღამე, ძალით ჩანაბნელები.

**XLVII**

მას ჯერაც ჭაბუკს, ქება ასე რომ უხარია,
და რომლისთვისაც იმედები ზურგის ქარია,
შემდეგ მიხვდება ის გრძელ გზაზე სეირნობისას,
რომ აღარავის იმედები მას აღარ იცავს,
ის კი  მარტოა, მარტოდმარტო, რამაც არია
და აატირა იმედების გაცრუებისას.

**XLVIII**

გამოსავალი ერთადერთი კვლავაც არ მტოვებს,
ნუგეშისცემა ხელოვნებით რომ დავიტოვო,
რაც ასატანს ხდის მრუმე დღეებს, რომ რჩებათ კვალი,
დავდივარ ისე, ახლაც ვიყო თითქოსდა მთვრალი,
შენ ის მითხარი, სად ვეძიო და სად ვიპოვო
აუტანელი ნაღველისგან გამოსავალი.



## XLIX

თქვი, რა აზრი აქვს, შენს შესახებ,თუ ვინ რას ამბობს,
ვინ რა სიცრუით, სისულელით,შენს სახელს ამკობს,
როდესაც იცი, მართალი ხარ, გული გაქვს ღია,
როცა სუფთა ხარ, შენი სული უფლის სახლია,
მათი არ გიკვირს, შენ, შენს საქმეს აკეთებ ამ დროს,
სიკეთისაკენ რომ მიმართო ეს ენერგია.

## L

გავრბივარ, უკვე აღარ მშველის, ვატყობ,წუწუნი,
ნაგვიანები შემოდგომის რამე უკუნი,
უკვე ვერ მშველის ის იმედი, რაიც ზემოთ ჩანს,
ყველაზე ძვირფასს ვუფრთხილდები,რაც რომ შემომრჩა,
მთელი დღის ნარბენს წამომივა ოფლი წურწურით,
ვატყობ,ვიღაცა ისევ ცდილობს ჩემში შემოჭრას.

## LI

ეშმაკს უხმობდა კაცი, სიკვდილს ევედრებოდა,
რომ  წაეყვანა, რადგანაც აქ მარტო რჩებოდა,
აღარ  ეღირსა არავისგან იგიც დანდობას,
სიკეთისათვის არ უხდიდა არვინ მადლობას,
წასვლას ცდილობდა, უკვე მათთან ცუდად ხდებოდა,
რაკი დამყარდა უმაღლესი უსამართლობა.



**LII**

შორით მოსული ტყვია გზაში გადიდგულდება
და საბოლოოდ ვინმეს გულში გაიგუდება,
მგზნებარე ცეცხლი ქრება ბევრთან თანანადგომი,
ერთი მომენტიც რომ არ ახსოვს განზე გადგომის,
ცივი საღამო შავებში რომ გაისუდრება,
დაელოდება იმ ნათელ სხივს მკვდრეთით აღდგომის.

**LIII**

იტყუებიან და ცრუ სიტყვით ვლიან კაცები,
სიზმარი ცხადში კვლავ ეშლებათ ამ გატაცებით,—
აღარსად ისე არ ტყუიან, სიმართლე ეძებს
მათ, —ნადირობის, არჩევნების და ომის შემდეგ,
იქ თქვა ბისმარკმა: არ ეტყობათ განაკაწრები,
ჩვენ ხომ ბრწყინვალედ ვიცით, თუ სად ვინ რამდენს
შეძლებს.

**LIV**

ამბობ,  აქედან გააგრძელებ სულ მალე იქ ძილს,
რომ არაფერი შეუძლია თუნდაც ამ ღვიძილს,
ფიქრშიც იქა ხარ, სანახევროდ, სანამ ის მოვა,
ზედმეტი სიტყვა შენს ფაქიზ სულს ეკლად ესობა,
ქარიან ღამით ელოდები საშინელ სიკვდილს,
შორს უფსკრულია და იძახის მარადისობა.



## LV

ერთი დეტალი მთვარეც იყო ღამის ნიშნობის,
მე კი ვიდექი მთვარის ქვეშ და ჩემთვის ვშიშობდი,
სად გამიშვებდნენ არ ვიცოდი, როგორ და რა დროს,
მას კვლავ ანალიზს ვუკეთებდი, ასჯერ განაგონს,
ჩემთვის ვიდექი და უჩუმრად ცრემლებს ვიშრობდი,
ბედნიერების იმ უდარდელ სკივრში ჩანაჟონს.

## LVI

ნათქვამ სიტყვაზე უფრო მეტი იმ უთქმელობას,
მისივ დუმილით უფრო უთქვამს და დღეგრძელობას
იგიც მოელის სხვაზე მეტად, ვიდრე რატრატი
ათასნაირი სისულელის—კონტექსტში არ ზის,
იქ ცოტა ხანში არც არავის ემახსოვრება.
ის დუმილი კი დარჩა, როგორც ბრძენთა ეტრატი.

## LVII

თუმც წყენა წავა, ნდობა ხშირად აღარ ბრუნდება,
ის კი არადა, სამუდამოდ როცა დუმდება,
შენ ის გაფიქრებს, რად არ მოდის (სხვა დღე წინაა),
პატიებასაც გააჩნია, თუ ვინ ვინაა,
რა დააშავა,წყენის მერე რატომ ჩუმდება,
რომ შორზე უფრო საშიშია ის, ვინც შინაა.



**LVIII**

იცოდე, რასაც სხვებს უსურვებ, იგრძნობ მის სურნელს,
იცოდე, რასაც სხვას უკეთებ—შენს თავს  უსრულებ,
არ მოუსურვო სხვას სიავე—მოგიბრუნდება
და რაც გულში გაქვს დამალული—აგუგუნდება,
არ იკარგება არაფერი და იმ ავსულებს,
ისე წაუვა საქმე, როგორც ავს მოუნდება.

**LIX**

ფეხაწყობილად კვლავ იგივე გზაზე მავალი,
მილიონებით—ჩვენ გვაოცებს ეს მომავალი,
ყველა იქ მიდის, ფიქრებით და სიცილ-კისკისით,
ღარიბ-მდიდარი, ხან მოხუცი და ხანაც ჩვილი,
საით მიდიან არც იციან, ან დასამალი
ნეტავი რაა?  ვიღაც ტყუის, ვატყობ სიკვდილით.

**LX**

ფიქრობ და გიკვირს, ვისთან და სად არ დაძვრებიან,
თუ  გაუჭირდათ, ნემსის ყუნწში კვლავ გაძვრებიან,
დალხინებულნი, ზედაც აღარ შემოგხედავენ
და ძველებურად ბევრ რამესაც კვლავ გაბედავენ,
შემთხვევითობის ლუკმა მაინც ხშირად ხდებიან,
რა აზრი ჰქონდა, მითხარ,იმას, რაც მათ ედავე?!



**LXI**

მშვენიერია ყველაფერი აქ დანარჩენი,
სუფთა ჰაერი,  ყვავილები და განაჩენიც,
რაც ამ ყვავილებს ელოდება—თვით ლარნაკები
და ლარნაკებთან მონაყოლი ის არაკები,
ზღაპრები, რისგან აღარ რჩება როცა ნარჩენიც,
ყვავილებს ესმით უცნაური ლაპარაკები.

**LXII**

შენ, გზაზე დარდი არ გშორდება  როგორც ჭლექიანს,
ომში ხმალია და სიმღერა, იქვე ლექსია,
გზად მოწამლული ის ისრები თავთან დაქრიან,
ხედავ ბრძოლაა ჩვენი ყოფა, სხვა ან რა ქვია,
რომ მძიმედ დაჭრილს ერთხელაც არ დაგიკვნესია -
სწორედ  იქაა  ჩვენი სულის ბიოგრაფია.

**LXIII**

დამტანჯა ღამემ, ასმეერთე ნიღაბს რომ იცვლის,
გათენდება და დღეც დამიწყებს კვლავ კუდის ქიცინს,
საოცრებაა, ამ ყველაფერს ხალხი რომ იტანს,
დავჯდები, ვიცი,ის წუთები ცრემლს რომ მომიტანს,
შეწუხებული ქარებისგან, დაიწყებს ქვითინს,
როცა ჯიჭონი, ანუ  Salix babylonica.



**LXIV**

ხდება დაჩაგვრა, უნიჭობის წინ გაჩოჩება,
აქ ნაცნობობით მოგაკითხავს თვითონ ოცნებაც,
გენიალობას ,მათ შემყურეს, ენა დაება,
ნაცნობ ღიმილით გაუღიმეს როცა დამებმა,
გულისამრევი პროცესები მით იკოცნება,
აქ ნაცნობობით ხდება თურმე თვით უკვდავება.

**LXV**

ყალბი ფულივით,ცხოვრებაში ყველა ყალბია,
თურმე და ასე,თვალთმაქცურად ირგვლივ დარბიან,
ირგვლივ, შენ ირგვლივ გიყენებენ მუდამ პირობებს,
და არასოდეს ასრულებენ იმ დაპირებებს,
რაც კი მათ უთქვამთ, მხოლოდ ფულთან იმას ადრიან
და ეს აწუხებთ ღამითაც და დილაადრიან.

**LXVI**

ვერ ისაზრდოვა დღევანდელით, შეუჩნდა გრძნობებს,
ვერ დატკბა იმით, რაც იზიდავს მშვიდს და მედროვეს,
რომ ნოვატორი შეუჩნეველ სიმზე გაწვება,
ჯერაც უხილავ და ბუნდოვან ტვირთს მიაწვება,
აღიზიანებს რაც თაობებს თანამედროვეს,—
იმას,მომდევნო თაობა ხომ უცებ ჩასწვდება.



**LXVII**

უთავბოლობით საკუთარ თავს რაც მან დამართა...
არც გაუმართლებს, უბედობის კედელს აღმართავს,
თქვა: სანდო კაცი ვინც არ არის, ან რა კაცია,
(გახუნებული ტანსაცმელი მას დღეს აცვია),
ამოიოხრა, თავის ნათქვამს ეს დაამატა:
მძულს მდაბალ სულთა ეს ცბიერი მაქინაცია.

**LXVIII**

იყო ბოროტი, შემდეგ თურმე გახდა კეთილი,
ანდა პირიქით, ბევრი ვნახე ასე შეცვლილი,
ბუნდოვანი კი მერე თურმე გახდა  ჭკვიანი,
შესაძლებლობებს ვეღარ იტევს ადამიანი..
რომ ამაშია სიდიადე, ასე შენც ივლი,
ოღონდ სიკეთით, არ მიადგეს იქ სხვებს ზიანი.

**LIX**

ეს სიწარმტაცე, ახლა ასე რომ ძლიერია,
თბილი სურათი მოცარტივით მშვენიერია,
გადაიყოლეს ეს ფიქრები ახლაც ვალებმა,
საფლავზე დაკრულ რექვიემსაც ეს ევალება,
მიცვალებულის სული როცა მადლიერია,
იქ  შემოკრებილთ მოუოხოს კვლავ მწუხარება.



**LXXI**

ეს სიმარტოვეც აღარაა აწ სიმარტივე,
ვერ შეაშინებს ნაზამთრალ ფიქრს გიჟი მარტი, ვერ...
თან იმას გეტყვი, ახლა გული სულ მებერება,
თუმცა ადრეა ტკივილები და დაბერება..
სუფრაზე მოვხვდი, სილამაზის ჭიქა ავწიე,
რადგან ისაა ერთადერთი, რაც მომერევა.

**LXXII**

თუ გზა არ მოგწონს, გამობრუნდი, და  სხვა გზით წადი,
ქვითინის ნოტი არ გიშველის, იქ გიჟს რომ ჰგავდი,
სანამ შენს მიზნებს დაბრკოლებებს აუმხედრებენ
და სანამ აღმართს შენს ცივ ცხედარს აუყენებენ,
თქვი, რომ ცხოვრებით შენ იცხოვრე, ბოლომდე ნაღდით,
შავი ღრუბლებიც უკვე მუშტს ვერ მოგიღერებენ.

**LXXII**

ლექსები მორთულ -მოკაზმული ნაძვის ხესავით,
ლამაზ სიტყვატა საკრებულო ღიმთა მთესავი,
გრძნობათა მიღმა მუდამ დგანან, ათოვს და აწვიმს,
მათ უპატრონოდ, შენ კი ისევ, ნუ იტყვი, რა სჭირთ,
ვარქვი ზეიმი უნიჭობის, (აი ეს არის) -
გაუგებარი ტერმინების უაზრო ამ მწკრივს.

# მედიტაციური კირბები

## ნაწყვეტი ნიღბების თეატრიდან

მთელი ცხოვრება, იმანა თქვა, —ვიქმნიდი ნიღაბს,
აღარ მჯეროდა გამართლების, არ ვენდე იღბალს
და ათასნაირს მივმართავდი საშუალებას,
რათა გრძნობები დამემალა და ბრწყინვალება
მქონოდა სახის, —ასე ხალხში ვიარე დიდხანს,
სანამდის ზურგი არ  მაქციეს თვით მწვერვალებმა.

## მხოლოდ უფლის თვალში დაფასებული ერი

სტუმართმოყვარე, მგზავრისათვის კარის გამღები,
ჩვენ, წინაპართა სულებისთვის სანთლის დამნთები,
ცეკვით „ქართულით“ სიყვარულის რაცაა ჰიმნი,
შვიდი თაობის არაღრევას ვიცავდით სისხლით,
ლოცვით ავაგეთ ციხე - კოშკნი და ეს ტაძრები,
მუხლდაჩოქილის ვედრება რომ დღემუდამ ისმის.

## დაწვრილმანების კირბი

ყოველდღე ფიქრი, —დააგროვოს მანაც ქონება,
(თუმცა ბევრი რამ ხვალ აქედან ემახსოვრება),
გზებს სულ ეძებდა ფიქრებით და ნაიარევით,
ზოგჯერ ღია ან დაკეტილი დახვდა კარები,
კრიტიკის თვალით რომ შეხედა ერთხელ ცხოვრებას,
მაშინვე იგრძნო უაზრობა ამ წვრილმანების.



### ჩვენი თაობის კირბი

ჩვენი თაობა მისთვის ჩვეულ ლმობიერებით,
მტკიცე განზრახვით და ღიმილშიც კი ძლიერებით,
გასაცოდავდა ბევრი, თუმცა შემორჩა ჩვევა,
როგორიც ჰქონდა ღირსეული, ისე იქცევა,
ასევე ბევრი ღირსებით თუ მანკიერებით,
სილამაზით ან სისასტიკით გამოირჩევა.

### მორიგი ნაწყვეტი „კომედიანტებიდან“

გზას აცდენილი მერამდენედ გაგიურჩდება,
მის თვალწინ როცა პრობლემები კვლავ დაქუჩდება,
ღრმად შეტოპილი ის მზადაა ყველა გაყაროს
ამ თამაშიდან, მისი კვალი რომ დაიფაროს,
ბოლოსკენ ხვდება, თურმე ისიც მიეკუთვნება,
მარადიული ამ თამაშის გიჟურ სამყაროს.

### ჭაობის ბაყაყის კირბი

ჭაობის ბაყაყს ნუ უყვები ოკეანეზე,
აფრიკის მზეზე, უცხო ზღვებზე და იმ განედზე,
ვინძლო ღამით ვერ დაიძინოს, სიზმრებს შეუტევს
ოკეანეებს გაუტოლებს როდესაც წუმპეს.
და გაფრინდება, მინდობილი ჯადოსნურ ფრთებზე,
გამოფხიზლებულს შეიძლება გულიც გაუსკდეს.



## „მეექვსე ნომერ პალატაში“ რეაქტიული შიზოფრენიით (საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა)

**I.**
მძაფრ ფსიქოზური სიმპტომებით, დევნის სცენებით,
ცრემლთსაღვარღვარო იდეებით, წარმოდგენებით,
ხან სახარხარო, უფრთოდ, ფრთებით ან გაფრენით ის,
აზრით  ბისმარკის, ბონაპარტის ან სხვა გენიის,
ზეღირებული ბოდვებით და სხვა იდეებით,-
მცდარი აზრები კი ფრთებია შიზოფრენიის.

**II**
თუმც შეიძლება სიმპტომთ მოყვეს კვლავ რემისია,
თუ არ მოყვა და  ვის დარჩება ჩვენი მისია?
ვხოცეთ ერთურთი, ვინც გადარჩა, პალატაშია,
ვისი იმედიც მუდამ გვქონდა, ისევ გზაშია,
ტემპერატურით მაღალით და ბოდვით  ძილშიაც,
ვერავინ ხედავს გამოსავალს სად და რაშია.

## ესკიზი  ავტოპორტრეტისთვის

მე ჯოჯოხეთად მექცა შენი ის საუბრები,
გამოფხიზლებას რომ წყვდიადში დიდხანს  ვუნდები,
დამღალა ფიქრმა, ამდენი ხნის ნაცანცალევმა,
უხვად ცრემლებმა, ბევრჯერ ყალბად ნაღვარღვარევმა,
მაწუხებს წლობით მონაჭერი ხელზე ხუნდები,
დამტანჯა ყელმა, ამდენი ხნის ნამწყურვალევმა.



## ჩემი გვარის ეტომოლოგიისთვის

**I**

მე ვარ ჯიჭონი[1], შუმერთა ქალაქ ურუქიდან,
მე ტირიფი ვარ, ჩემი გვარიც მოდის იქიდან,
ერიდუ[2], ქიში, უმა, ური და ლაგაშია,
ჩემი ბავშვობის ქალაქები, ფრთა რომ გამშლია,
„ღმერთთა კარიბჭეს“ დავეძებდი და შიშს არ მგვრიდა,
აქადი გახდა იქ პირველი ჩემი ნათლია.

**II**

იმან მიწოდა ბაბილონი, ბაბილონიკა,
ანუ ტირიფი, როცა ირგვლივ იწვოდა მიწა,
ურუქს რომ დამრჩა, დარდი მკლავდა თიხის ფირფიტის,
მეტირებოდა და ცრემლები ფარავდნენ ირისს,
ლერწმით ნაწერი აქ ვერ მომყვა, ვხარობ წყლის პირას
და ამიტომაც მეძახიან მტირალა ტირიფს.

---

1 ჯიჭონი (მეგრ). ძეწნა .salixs babylonica (ლათ) - მტირალა ტირიფი.
2 შუმერული ქალაქები - ერიდუ, ქიში, უმა, ური, ლაგაში.



## მზისფერი სევდა

აქ, ეს დღეები, ერთნაირად რომ გვიხარებს გულს,
ანდა  გვამწარებს, ცრემლებს ითხოვს ტანჯვით დატვირთულს,
კვლავ კითხულობენ, ეს სცენარი სად დაიწერა?
ჭკვიანს და სულელს სევდა ერთად როცა ეწვევა,
არ ერიდება გაცურებას კეთილშობილურს,
ადამიანებს დაიგულებს რაც ბედისწერა.

## კორიბანტები[1] ფრიგიაში

ხმოვნები დგანან გალაკული, მშვიდი თვალებით,
აზიის ცხელი ღამეებით ძილგამკრთალები,
ასონიშნები საბრძოლოა, როგორც მხედრული,
ფრაზა მასისთვის, სტანდარტული, ტრაფარეტული,
აზრები გაფრთხობს ერთმანეთთან შენამთვრალები
და ის ამბავიც უჩვეულოდ სიუჟეტური.

---

1 კორიბანტები, კირბანტები, კირბების შემქმნელნი. ანტიკური ავტორების თანახმად, კორიბანტები, ქალღმერთ კიბელეს (ფრიგია) მსახური ქურუმები, რომლების აღმოსავლეთის ხალხებს უქმნიდნენ დამწერლობას, ასწავლიდნენ სახლის შენებას, ფუტკრის მოვლას და სხვა, წარმოშობით კოლხეთიდან იყვნენ.



## ᲔᲠᲗᲘ ᲧᲔᲧᲔᲩᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲙᲘᲠᲑᲘ

უდარდელობა ცხოვრებისგან ადრე გაიგო,
თუმცაღა გვიან მისი ხიდი წყალმა წაიღო,
ვეღარ უძლებდა ბნელი ღამე მას ფიქრებაშლილს,
იმ დღესაც მარტო სეირნობდა მთელი დღე ბაღში,
როდესაც მიხვდა საბოლოოდ, თვითონაციყო, —
ერთი კეთილი, კმაყოფილი, ყეყეჩი ბავშვი.

## ᲢᲠᲐᲛᲐᲚᲘᲡ ᲛᲒᲚᲘᲡ ᲙᲘᲠᲑᲘ

მან აითვისა გადარჩენის ინსტინქტი როცა,
ინსტინქტად ექცა გადარჩენის და ასე მორჩა,
გამარჯვებასთან ის ეტაპი კვლავ ზიარების,
ახლოს მოსვლასაც ვერბედავდნენ იმდროს მხდალები,
დასჯერდა იგიც ამომავალ იმ მთვარის ლოცვას,
რა ქნას, მგელია მშვენიერი, ველურ თვალებით.

## ᲓᲐ ᲐᲘ, ᲘᲡᲘᲪ...

ის ყველგან დამსდევს, ჩემი ყურება არ ბეზრდება,
ცდილობს კუთხეში მიმამწყვდიოს, ასე ბერდება,
ემოციათა მართვის ვალიც გადახდილია,
სხვას როცა ატკენ, საკუთარი იქ ადვილია,
ფეხზე ვერ დგება  თუ  ოცნება, მზერა ჩერდება,
უნდა ჩავბარდე, უკვე ვიცი, ის სიკვდილია.



## საკუთარ სულის სიღრმეში ხეტიალისას

ღრმად ჩახედული იმ შენსავე სულის ქაოსში,
დახვალ იმავე ბნელი სულის სასაფლაოში,
მიხვალ სარკესთან, ჩაიხედავ საკუთარ თავში,
ჯერაც ერკვევი (გაოგნებით) შენსავე არსში,
როცა ძლივსნაგებს, ნასათუთებს წამში ჩამოშლი,
ფაქტებს გადაყრი, რომ იტყვიან და იქვე წაშლი.

## ყელში ამოსული დღეების კირბი

ხურდა-მურდაში დაიხარჯა მთელი ქონება,
ამდენის მერე მიკვირს ჩემი ცივი გონება,
ვიცი, რომ ერთხელ,გახვეტავენ ყველა ამ ფიქრებს,
წარსულს არ ვჩივი, მომავალი ხშირად მაფიქრებს,
სცენები თვალწინ თამაშობენ, გასცდნენ დროებას,
როცა ღიმილიც ამ ფიქრებმა მისით დაფიფქეს.

## კანონები ქალისთვის

მან თქვა: ქალისთვის კანონები არ დაწერილა,
და დღის განრიგი, მითუმეტეს, არ გაწერილა,
თუ დაიწერა, იცოდე, მას არ  წაუკითხავს,
არც წაიკითხავს (შენ კი გინდა, გითხრას, რომ იქ ხარ),
რომც წაიკითხოს, ვერც გაიგებს იქ რა წერია
და თუ გაიგო, არ გაღირსებს პასუხებს დიდხანს.



## ქალისა და ასი გრამის კირბი

ქალს ულამაზესს, ქუჩაში თვალს გააყოლებენ
და დილის ას გრამს არაფერს არ მიაყოლებენ,
ქალს სიამოვნებს ყოველი, ვით ცხელ გულზე ნამი,
შემდეგ დრო გადის, ის ბერდება, ახსოვს ეს ჟამი,
და ცუდად ხდება, ცრემლები ფიქრს  არ იშორებენ,
დღეს ის ბარბაცით ქუჩას სერავს როგორც ნასვამი.

## მზის ძებნაში

ადამიანში მე მზეს ვეძებ მთელი ცხოვრება,
და მათი პოვნის წუთები სულ მემახსოვრება,
მზის მცხუნვარებით იმ სიბნელეს ისევ ვამარცხებ,
მწამს, ბოროტებას სასიკვდილოდ რომ  მივანარცხებ.
მით შევიძულე სიძულვილით გამათხოვრება
და მზით გამთბარი მივადექი მხარეს დანარჩენს.

## სიცილი  ერთადერთი გამოსავალი

ამ ტრაგედიას შენც უყურე ვით კომედიას,
გულს გაგიხეთქავს, რაც აქ ხდება და იმედია,
გამოკეთდება ყველაფერი, თუკი არადა,
ჯანდაბისკენაც გზა ჰქონიათ, ზიზღი ფარავდა,
მათ სისაძაგლეს შენგან მუდამ (ახლაც გებრძვიან),
მასზე იცინე, რაიც ადრე ასე გზარავდა.



## მხოლოდ მისი იმედით

ვთქვი: ვერ გავუძლებ ამ ყველაფერს, საგიჟეთია,
ვისი იმედიც სულ გამაჩნდა, მხოლოდ ღმერთია,
უწყვეტ სურვილებს ელდა ელის, რომ დაიხარჯოს,
სადმე გაქცევა რომ ვერ შეძლოს, აქ გაიხაროს,
მე თავის მოკვლა გადავწყვიტო, —ეს ისეთია,
დროზე ადრე, რომ ავდგე, ვალი გადავიხადო.

## ახალი ფეხსაცმლის კირბი

ეს ფეხსაცმელი როცა გუშინ ჩემთვის ვიყიდე,
იმქვეყნად წასვლა ჩემთან ერთად გადავუწყვიტე,
აქეთ ქუჩაში ათასგვარი ვნახე ზონდერი,
გუშინ სხვა ციფრით, დღეს კი უკვე სულ სხვა ნომერით,
ვიდრე ფეხსაცმელს ამ შავ ზონრებს მე გავუყრიდე,
ერთხანს ვფიქრობდი, ჩამომეხრჩო თავი ზონრებით.

## თქვენი დ.დ.შ -ს კირბი
## ეძღვნება ღატაკთა ხარჯზე გამდიდრებულ ქართველ პოლიტიკოს - ბიზნესმენებს

ღატაკთა ხარჯზე გამდიდრების რომ გკლავთ მანია,
მასთან სხვა ცოდვა პირუტყვნო რა მოსატანია,
ხალხი შიმშილობს, თქვენ კი ცეკვავთ, გახსნილ ღილების
მიღმა პლასტმასის გული გიჩანთ, ფაქტი მხილების.
პოლიტიკური კვლავ აშმორდა შიზოფრენია,
ღირსეულნი კი  მიმოდიან თავდახრილები.



## გულისცემის კირბი

რატომ გგონია სიყვარული სულ რომ არ ტირის?! ..
ის ღვარცოფებით მოვარდება გიჟი მარტივით,
დღეს რომ გააქცევს, თავზე გადგას ღამე უძღები,
მე კი მარტოკა, ხომ იცი რომ დავიღუპები,
დარდის დახვეწის გენიალურ ამ სიმარტივით,
ვიცი, რომ გესმის ჩემი გულის ბაგიბუგები.

## ესკიზი ავტოპორტრეტიდან - 2

ის ჭრილობები, მომაყენა რაიც წარსულმა,
მე გულგრილობას მივაბარე და დრომ განკურნა,
ბედისწერაზე როცა ვფიქრობ,  ჟრჟოლა დამივლის,
ცრემლები მტკივა, სიგიჟემდე მისულ ქავილით,
ბევრი ისეთიც გავაკეთე, რაიც არ მსურდა
და ამიტომაც სულ დავდივარ  ტკივილმოგვრილი..

## რაც წარსულს არ ბარდება

ვით სიძულვილი ვერასოდეს თავს ვერ იმართლებს,
ტრფობა უშრეტი წარსულში ვერ გადაინაცვლებს,
ლურჯი თვალები, მთელი ღამის ნამტირალევი,
სხვის ფანჯარასთან წინ და უკან ნაყიალევი,
ადრესატამდე, გჯერა, ლოცვა ერთდროს მიაღწევს,
ასეთ შორ გზაზე ამდენი ხნის ნაჯანჯღარები.



**როცა გაჭირვების კანონია უკანონობა**

გაჭირვებამ ხომ კანონები არასდროს იცის,
გაუსაძლისი დაგაწვება როდესაც ტვირთი,
თავქუდმოგლეჯით ვინღა იცის, სად არ გარბიხარ,
შიშით, შიმშილით, მწუხარებით რას არ სჩადიხარ,
სითავხედე მას მორიდების ქურქში გაგიცვლის,
შენ გავიწყდება, ვინც იყავი და ახლა ვინც ხარ.

**გზადაგზა**

გადაფასება ბევრი რამის გზადაგზა ხდება,
ეს ცხოვრებაა, რაც ნელ ტემპში სულ ვითარდება,
მიჩვეულია, ვერ მიხვდება ამდენს უცებ ის,
ვინაც ბორკილებს თვლის გარანტად თავისუფლების,
ზოგსაც ეტყობა, აზრის შეცვლა რომ მოუხდება,
ბევრს კი არცა აქვს, გითხრათ თავი იმ იდეების.

**როს ყველაფერი მისსავ კანონს ემორჩილება**

უძლური კაცის გულწრფელობა ეჭვის ქვეშ დგება,
გადარჩენისთვის ნებისმიერ რამეს სჯერდება,
შენ ძველებურად სისულელეს აღარ ეშვები,
მე მაინც მიკვირს, ასე ცეცხლს რად ეთამაშები,
თან ხომ პრობლემებს თავიანთი სულ აქვთ წესდება,
ვინ იცის, გზაზე ვის და ვის არ გადაეყრები,



**მეგობრის კირბი**

აღთქმა მივეცი მე ჩემს თვალებს, არ შეეხედათ
მისთვის უშნოდ და მგზნებარებაც კარგეს ფეხებმა,
რაც მეგობრობა ჩვენ შევფიცეთ, ის გახდა სადა,
სხეული აღარ მიზიდავდა, სული კი მკლავდა,
იმ მეგობრობით, იმ ფიქრებით, მე რომ  მეხება,
სულ რომ დამსდევდა და არასდროს რომ არ დამთავრდა.

**ნაწყვეტი სულის კონსტიტუციიდან**

დიდ პოეზიას, აზროვნების უმაღლეს ფორმას,
ყველა ეპოქის შედევრალურ მიგნებას რომ ჰგავს,
არ ითარგმნება კლასიკური ეს ტრადიცია,
რჩეულებისთვის განგებას რომ გადმოუცია,
საუკუნეებს არ აძინებს და ასე ბორგავს,
მარადუკვდავი ჩვენი სულის კონსტიტუცია.

**ადამიანში ადამიანის ძებნისას**

ადამიანში მევ ეძებდი კვლავ ადამიანს
და ვერ ვიპოვე, წასულიყო დილაადრიან,
უფრო ზუსტად კი, იგი მასში გარდაცვლილიყო,
მეძავი სული  მის ადგილას დარჩენილიყო,
ვარდი დავუდე იმას, მკვდარი რომელსაც ჰქვია,
მყისვე გავშორდი სულით მეძავს, ვთქვი, —ეს რა იყო...



## კირბი ბრავო-ბისს

სუხიშვილების საოცრება ახალი თარგით,
ხელოვნებაში,  ჩვენ ასე ვთქვათ, მორიგი ბანგი,
არც ერთი ყალბი მოძრაობა (იქ თქვეს ენებმა),
რომ დაასრულეს, კვლავ დაიწყეს (ასე ენებათ),
ბრავო-ბისს მიყვა ილეთები თვისივე ბარგით,
ცეკვა კი იყო სხარტი, როგორც კვიცის ჭენება.

## სიტყვის ძალა

სიტყვა გაოცებს, გაცინებს ან გადარდიანებს,
მათ ისე ესმით ეს, როგორც ჩვენ, ადამიანებს,
მათაც ხომ სული გააჩნიათ, ღიმით გხვდებიან,
სულის სიღრმეში მიმოდიან, იღრინებიან,
განაახლებენ, ან კურნავენ ასე იარებს,
გზად სასაცილო და სატირალ ამბებს ყვებიან.

## ცხოვრების  გაკვეთილები

პედაგოგია რომ ბრწყინვალე, შენც იცი, ტანჯვა,
ან გაგაკაჟებს, ან წაგაქცევს, გეწვევა რაჟამს,
ყველას თავისი მან მიუზღო, გაასამართლა,
სიბნელე ირგვლი რაც დატოვა, აღარ განათდა,
(მათ კი  თავ-ბედი აწყევლინა, წერად დააჯდა),
თვისი თავი კი  მან ვერაფრით ვერ გაიმართლა.



## ჰუმანისტური იდეალები

ეს ჰუმანიზმი,  დაბადებით კვლავ უნაპირო,
ის სასიკეთო ლამაზ საქმეს, ვიცი აპირებს,
შენ მოულოდნელს აკვირდები მკვესავ თვალებით,
რომ არ გაგექცეს მორიგ ამბის თვით დეტალებიც,
მოგაწევინებს მერამდენეს, ვიცი პაპიროსს,
ჰუმანისტური, ეს უკვდავი იდეალები.

## განათხოვრებული  ღიმილები

გარდაუვალი ტკივილები, დაუამები,
და ქრილობები, ახლაც ღია, დაუღამები,
ნუ გავიწყდება, ჩვენ ამ ქვეყნად ერთხელ რომ ვცხოვრობთ
და ამ ღიმილით, მე გთხოვ, ისევ ნუღა მათხოვრობ,
გხედავ, ამ არსით, მოყვითალო შენი თვალებით,
უკვე მზადა ხარ ის ღიმილიც გაანათხოვრო.

## ლამაზი ქალისთვის

კოცნა ჭირდება დილიდანვე თურმე ლამაზ ქალს,
მისი კისკისი კალორიებს უამრავს დაწვავს,
მიმზიდველ ტუჩებს ღიმილებმა ფარდა ახადეს,
რაც კი ფლირტები ოცნებისთვის მის სულს აღაგზნებს,
იქ სიყვარულის ნაზი ცრემლი შეეხო წამწამს
და ის ამბები, უჩვეულო, რაც გააზღაპრეს.



## საღამოს გასეირნება

უბობოქრესი, გაფრენილი სწამს სტრიქონები,
ფერთა გამები საოცარი და მზის ტონები,
გზად მოდიოდა, დღე და ღამე რომ გაიყარნენ,
მედროვეები, მლიქვნელები გზაზე ეყარნენ,
იქ კუდიანი ამფიბიაც (იხ. ტრიტონები),
მან გაიარა, გაუღიმა ამ გარეწარებს.

## დრო, ანუ ნაოჭები სილამაზეში

როგორ შეცვლილხარ, გიყურებ და ვეღარ გიცანი,
ეს ნაოჭები შენთა ფიქრთა არს გულთმისანი,
მძიმე დღეები ახსოვს შენი ნაცნობ მხარეში,
შველას ეძებდი, როცა მთაში ანდა მთვარეში,
მიყვარს ეს გზები, ღამე, დილა, მისი სისხამი,
აქ ხომ ყველაფრის საწყისი დევს სილამაზეში.

## მოლაპარაკე ლარნაკები

მშვენიერია ყველაფერი აქ დანარჩენი: -
სუფთა ჰაერი, ყვავილები და განაჩენი,
რაც ამ ყვავილებს ელოდება, თვით ლარნაკები,
და ლარნაკებთან მონაყოლი ის არაკები,
ზღაპრებისაგან აღარ რჩება როცა ნარჩენიც,
ყვავილებს ესმით უცნაური ლაპარაკები.



**ცირკ შაპიტოს პირობებში**

ეს დღეც მზადაა, რომ მორიგი სცენა გამართოს,
ხალხს გაჭირვება დაავიწყოს და კვლავ გაართოს,
თუმც დღევანდელი, გუშინდელს ხომ მართლაც არ ჰგავდა,
ახალთახალი ტრიუკებით ღიმილს ქარგავდა,
მე გზა განვაგრძე ახლა ჩემთვის უმისამართოდ,
როცა საღამოს ამაზრზენი გემო დაკრავდა.

**კორიბანტების კირბი**

ქართულ ანბანში დაუნჯებულ თეოგონიას
და ბრწყინვალებით გაცხადებულ კოსმოგონურ აზრს,
თლიდნენ ქურუმნი, ველს უქმნიდნენ იმ მაღალ სიტყვას,
იმ ა.ბ. გ. დ-ს მეხთატეხით არშემდგარ სეტყვას,
სხვისთვის თუ ბორგვა, არმორგება და აგონია,
ჩვენთვის იქ ტრფობა წამებულის ლამაზად ითქვა.

**კირბი სრულ უსაქმურობაას**

შორს ველარ წახვალ, რომ იცოდე ახლა ამ ფასით,
რა მოგეწონა ის მითხარი შენი ანფასის?
ჩვენ ვიღიმოდით და მესამე ჯერ არ გვსტუმრობდა,
ყველაზე მეტად ვისი ნახვაც ახლა მწყუროდა,
დღეს საღამოსაც ვისკი, ყავა, იგივ ფასადი,
შემდეგ ფიქრები, მოკლედ, სრული უსაქმურობა.



**რწმენის კირბი**

სიტყვათა უკან მოიწყინეს ნაღდმა გრძნობებმა,
ამ ხარახურებს ელოდება კვლავ დაობება,
რომ ხეიბრები მათ ბრძოლიდან ხელკავით გაჰყავთ,
ღამე უძინართ მზე ციდან რომ ლოცვით ჩამოჰყავთ,
თქვა არაკაცმა: ჯოჯოხეთი არ მელოდება,
ავაზაკებსაც ხომ მფარველი ანგელოზი ჰყავთ.

**უსიტყვო მორჩილების კირბი**

წუთისოფელი მეძავივით თავს შეგაყვარებს,
და მერე თავის ბილიკებზე უხმოდ გატარებს,
რომ სილამაზით კვლავ გაცდუნოს და დაუფლების
სურვილი აღძრას, დღენიადაგ რომ სხვა უფლებით
ვერც ისარგებლო, აქ ფარ-ხმალი რახან დაყარე,
და დაემონე სილამაზეს მაცდური ფრთების.

**E=MC2**

ის იმ დღეებში უჩვეულო სიზმარს ხედავდა,
ბოლო ჩვენება, რომლის თქმასაც ჯერ ვერ ბედავდა
ანადგურებდა ამქვეყნად ზიზღს, შურს და ნეიტრონს,
მან მოიფიქრა ყველას როგორ მოუგებდა ომს,
ფარდობითობით სივრცეს და დროს არ გაჭედავდა,
ხალხს შეუქმნიდა სამკურნალოდ სიყვარულის ბომბს.

**E=MC2 (2)**

ბირთვული ომით მოკვდავმა რომ ერთხელ იომა,
იმის შემყურეს თურმე ღმერთსაც ცრემლი სდიოდა,
ღრმა ზმანებებში ახსენებდა ახლა ვალენტინს,
ამ მასისა და ენერგიის ეკვივალენტით,
სიყვარულის ბომბს ელოდება კაცობრიობა,
დაბალი რანგით კი დამასთან ბორგავს ვალეტი.



**ეს ორი კირბი ეძღვნება სახელგანთქმულ ფიზიკოსს ალბერტ აინშტეინს, რომელიც თურმე, ზოგი ვერსიის თანახმად, სიყვარულის ბომბის შექმნაზე ოცნებობდა, რომლითაც განადგურებას უპირებდა ყველანაირ ბოროტებას დედამიწაზე.**

**სცენა ერთ -ერთი პერსონაჟის ცხოვრებიდან**

უბობოქრესი, გაფრენილი სწამს სტრიქონები,
ფერთა გამები საოცარი და მზის ტონები,
გზად მიდიოდა  დღე და ღამე რომ გაიყარნენ,
მედროვეები, მლიქვნელები იქვე ეყარნენ,
იქ კუდიანი ამფიბიაც (იხ. ტრიტონები),
მან გაიარა,  გაუღიმა ამ გარეწარებს.

**და  ა. შ.**

ჭეშმარიტება ზედაპირზე არასდროს გდია,
როგორც ის ცოდნა —სიბრძნეშია და სიღრმეშია,
ლამაზ სიტყვებით სიმამაცე კი აღარ ჩნდება,
ზეშთაგონება გადააქცევს მას შემართებად,
ვით სილამაზეს, ქუჩაში რომ არასდროს შია,
ერთი დანახვით უცებ სულში რომ გივარდება.

**ქალის  სილამაზე  და კაცები**

ქალს სილამაზის გარდა სხვა რამ არ შერჩენოდა,
მისი შემყურე, გარეთ ქარიც კი ჩერდებოდა,
ამ სილამაზით დადიოდნენ ახლაც მთვრალები,
სურნელი კლავდათ ღიმილების და დალალების,
ღამემ დაგვტოვა, ახალი დღე რაც თენდებოდა,
უკვე ქოქავდნენ საათივით კაცებს ქალები.

# სიმარტოვის ელეგიები

## (ესკიზები აბსურდის თეატრისთვის)

### I განმარტოებისთვის

ვატყობ მარტო ვარ, მარტო ვრჩები საკუთარ თავთან,
გავექეც ყველას თუ გამექცნენ, ვერ გამიგია,
ახლა კი ვხვდები, რაკი ბოლო ფიქრიღა წამცდა,
აქ სიმარტოვის ჩემი კოშკი რომ ამიგია.

წამალიცაა იგი, როგორც ტკბილი არაკი,
როგორც არაყი, შენ კი ლოთი, უარყოდ კვდები,
მძიმე დღის შემდეგ, სასურველი მარტოობა კი
ფიქრისთვისაა ისევ სარგო, განმარტოვდები.

შორს იხედები, იცქირები, მზერ საკუთარ სულს,
ხელაწეული, რაც სიმშვიდეს ბარდები გვიან,
ზღვებიც მიენდენ კალაპოტებს დაკანონებულს,
აღარ ღელავენ, საზღვრებს აქეთ არ გადმოდიან.

ყოველთვის გმირი არ ვყოფილვარ მეც ბუნებრივად,
ბოლო იმედიც ბევრჯერ ვნახე - თვალწინ კვდებოდა,
წამოვდგებოდი, ვიცინოდი, ასე მერჩივნა,
თუმც ჯვრის ზიდვაში ისევ ღმერთი მეხმარებოდა.



**II**
თუ ხანმოკლეა ყველაფერი, რასაც აქ ვხედავთ,
რომ აქ დაგვრჩება ჩინ - მენდლები და ეს ქონება,
ეს ღიმილებიც გაქრებიან, გაყვება სევდა,
წამიერია რადგან მთელი ჩვენი ცხოვრება.

გვიანღა ვხვდებით თუ რა გვიქნეს ჩვენ ამ ქარებმა
და შეგვაშინეს უთვალავჯერ  აქვე ხრამებმაც,
მაინც თუ მისი ლუკმა ვხდებით, სად გვეჩქარება?..
ვერ მოვასწარით ერთი თვალის დახამხამებაც.

თვალს  არხეინად გავუსწორებ, რაც წინ იქნება,
რომ გავაგრძელო, გზას შევხედო იმას და იქით..
გთხოვთ, ამიხსენით, სადღა არის ჭეშმარიტება,
ან რად იტანჯავთ თავს გეთაყვა მდაბალ ინსტიქტით.

ჩვენ კი ის ქარი გვიბერავდა ახალ დროების,
ვწუხვარ, ვერ შევძელ ვარდის შექმნა მე იმ ყოფიდან,
ანუ ისეთი, - რამე გიჟურ ნაწარმოების,-
როგორიც თვითონ ეს ცხოვრება არა ყოფილა.



**III**

ახლაც მარტო ვარ, კვლავ მარტო ვარ, ძვირფასო, მარტო,
ვნებამოწოლილს არც თავი მაქვს ამბავის თხრობის,
კვლავ არაფერი  არ მაცინებს და აღარ მართობს,
სანამ ვნება არ ამოხეთქავს გიჟურ მოთხოვნით.

აუტანელი ტანჯვისაგან კვლავ დასერილი,
ვზივარ ჩემთვის და ვგრძნობ ბოლოჯერ რომ ვიხარჯები,
ჩემი სისხლი და ხორცისაგან გადაწერილი,
კვლავ იქმნებიან  ხელახალი პერსონაჟები.

რომელ ნეკნიდან იშვა ევა, შენ ეს გადარდებს,
გახსოვს ადამი? - უცხო თიხას ხმაშეწყობილი?
-ეს იქ  წერია, ის წერილი იპოვოს ვინმემ,
დალუქული და ბოთლით ზღვაში გადასროლილი.



## IV

ოჰ, ერთ დროს   როგორ მიხაროდა  აქ  ყველაფერი,
მსიამოვნებდა ღიმილებთან თვით ტკივილებიც,
მაგრამ ბოლოს რომ დავაკვირდი დღეებს გაფრენილს,
მას გავატანე ის ცრემლებიც და ყვავილებიც.

მე წამოვედი, სხეული კი იქ დაიტოვეს,
გამოვიქეცი, განვმარტოვდი, დიდხანს ვირბინე,
სიმარტოვეში ჩემი ღმერთი მე აქ ვიპოვე
და საკუთარი თავი ასე გადავირჩინე.

ბოლოსკენ ბევრი  მე ხომ ცუდად მემახსოვრება,
(ბევჯერ სიკეთე სიძულვილით გადამიხადეს),
სულ გავურბოდი მე ასეთ ხალხს მთელი ცხოვრება,
ვისაც წინასწარ პასუხები ჰქონდა კითხვაზე.

მიხარია, რომ არ ვარ იმათ გარემოცვაში,
არ ვუღიმივარ, მათ ნათქვამებს გუნდრუკს არ ვუკმევ,
ის კი არადა, წამოვედი ჩემთვის ლოცვაში,
აზრი არ ჰქონდა რაც საუბარს იმათთან უკვე.



## V ვოლიერის პარლამენტი

ქურდებს, თაღლითებს და მეძავებს აქ ტაშს უკრავენ,
პარლამენტში  რომ გამოჭიმონ და გაუღიმონ,
აქ წურბელებს ხომ ეპყრობიან როგორც უკვდავებს,
და მზად არიან იმუშაონ, რათა არჩინონ.

საკუთარ აზრებს შემოავლეს შავი არშია,
უდღეურად ცნეს, სხვის ბრძნულ რჩევებს რაც მიაშტერდნენ,
გამოსავლის გზა სიზმარშიაც არ გააჩნიათ,
რაც მოვლენებით ნაკარნახევ აზრებს დანებებდნენ.

ქვეყანაში კი  კვლავ მძვინვარებს ეპიდემია,
რაც გაჭირვების ცეცხლი თითქმის ყველგან ანთია,
მასასთან სიტყვა მათთვის ხშირად ერთი ცრემლია,
თუმცღა ღიმილი საყვარელი უფრო ფანდია.

...ისევ ირჩევენ მოღალატეთ  და მატყუარებს,
ეს მერამდენედ ყველაფერი ასე დაიწყო,
წლობით იმკიდნენ უარესზე უფრო უარესს,
-ეტყობა ხალხი უკეთესის  ღირსი არც იყო.



## VI

მე კი უსაზღვრო მარტოობას ნაზიარებმა,
ვით არ აგიხსნა, რაშიც  სხვაზე მეტი ნდობაა,
გადაიარეს ნევროზებმა და იარებმა,
რის გამოც მთელი  ეს ცხოვრება მარტოობაა.

ეს ნევროზები, არამხოლოდ ჩემი თაობის,
არამედ არის დანარჩენის ავადმყოფობაც,
სიკვდილიც, - მსგავსი ერთი ვინმე არარაობის
კარებში იდგა, შემოსვლაზე სულ ორჭოფობდა.

და რა უნდა ქნა? - არ გასვენებს ისევ ქილიკი,
მათი შენდამი, შენ ამ მუდმივ რია - რიაში,
მუდამ ცდილობდი რომ გეპოვა შენი ბილიკი,
შენც, ამ ცხოვრების თავბრუდამხვევ ორომტრიალში.

და ისევ ფიქრი, აღარ იწვევს რომელიც დაღლას,
შენზე უკეთესს სად იპოვის და ანდა ვინ ჰყავს,
გამოსროლილი  უეცარი ძლიერი ტალღა,
თვალს რაც გაახელ, იმ ნაპირთან შენც გამოგრიყავს.



## VII ბაზარი

კაცი კვლავ მიხსნის, - ცხოვრებაა დიდი ბაზარი,
ყველა რაღაცას დიდის ამბით ყიდის და უძლებს,
ყიდვა- გაყიდვის პროცედურას თვალში ნაცარით,
ვიღაცა დგას და ამ ყველაფერს სურათებს უღებს.

სურათებს უღებს და იცინის, შემდეგ ხარხარებს,
იქვე კითხულობს, - რა დავარქვათ ახლა ამ გრძნობას?
რაც გახარებს და იქვე  სულს რო აღარ ახარებს,
-კუჭის მალამოს ანუ ბაზარს ანუ ბაზრობას.

მერე შეთხოვდი ღმერთს, აქედან რომ წაეყვანე,
როგორც ისინი,ყიდულობდნენ გუშინ  აქ ვარდებს,
შემდეგ კი არყით გალეშილნი იქვე ეყარნენ
და სიზმარშივე უფსკრულში რომ მყის გადავარდნენ.

როგორც იქ სხვები, როგორც ადრე დანარჩენები,
ყიდდნენ ყველაფერს, ყიდულობდნენ ირგვლივ რაც არის,
და მიდიოდნენ მიყოლებით, სვენებ - სვენებით,
როცა ცხოვრება იყო ერთი დიდი ბაზარი.



## VIII ნაწყვეტი ცოდვილის აღსარებიდან

ხან მტაცებელი ნადირი ვარ, ხან ჩვილი გული,
არ მწამს სიწმინდის,  და  ბუნდოვან წყაროს დავეძებ,
ხან ცდუნებათა შემოტევით გზააბნეული,
თვითონ არ ვიცი, ვეხეთქები რომელ განედებს.

მადლგაწურული არ მაოცებს სულთა სიმდაბლე,
ღამეებს ვათევ, მათ შორის ვარ, კვლავ მათთან ერთად,
ზოგჯერაც მჯერა, რომ სამოთხის სხივი ინათებს,
თუკი  მიუვალ იმ კლდეებში გზა გაიქრება.

ხორციელ ტკბობით გაჩენილი მართობს ხანძარი,
კვლავ  ფანჯარასთან ისევ ვნებით განაწამები,
სიგარეტს ვქაჩავ, ვისაც ვეძებ, ეგერ იქ არის,
მასაც ხანძრისგან გატრუსული აქვს წამწამები.

დიდების კართან უჩვეულო  კი რიგებია,
შემომეჩვია ლურჯთვალება  აქ  ტბის თოლია,
დღევანდელი დღეც ცარიელი ოცნებებია -
ასე დამტანჯა ოცნებამ და მელანქოლიამ.



## IX ზუგიდური ელეგია

როგორ გამყავს თუ მეც არ ვიცი, სად მივყავარ დროს
და თვითონ მიკვირს (მერამდენედ), რომ ვუძლებ ამდენს,
წვერის პარსვისას მინდა ყელი გამოვიღადრო,
თუ ვერ მივახრჩობ ძველებურად უღიმღამო დღეს.

მეგობრის სახლში ჩამეძინა (ღამით ვსტუმრობდი),
მე ის სიჩუმე ვატყობ დიდხანს მემახსოვრება,
ირგვლივ ყველაფერს ბეჭედი აქვს მარტოსულობის,
თუ არაფრად თვლი უაზრობად ქცეულ ცხოვრებას.

ღრმად ჩახედული ამ ჩემსავე სულის ქაოსში,
შევეფეთები ნაცნობ ღიმილს, აწ უკვე წარსულს,
სარკესთან მისვლას ვერიდები და ნერვებმოშლილს,
საკუთარ თავთან (მერამდენედ), შეხვედრა არ მსურს.

ბალიშის ქვემოთ მიადგება ხელიც იარაღს,
ვით თეთრი ღამით ლამაზმანის ჩრდილი ღობესთან,
რა ვქნა, ვერ დავცლი თუ ბოლომდე ტანჯვის იარას,
კი გავუძლებდი ამ ყველაფერს, თუმცა მომბეზრდა.



## X წერილი გულის ჯიბეში

სიკვდილი უნდა, ეს დღეები სიკვდილს დაეძებს,
გადასახდელი კვლავ აწვალებს უაზრო ვალი,
ცრემლი არ შრება განაწამებ მის შავ თვალებზე,
აქ სიკვდილია ერთადერთი გამოსავალი.

ნახა ქვეყანა, ურინციპოდ მაძღარი ჯოგი,
ღარიბის მადლი და მდიდრების გამათხოვრება,
არაღირებულს რომ უცინი ან ცრემლი რომ გდის,
-სიზმარი იყო ყველაფერი, მთელი ცხოვრება.

მერეც ასე და ანდა ისე, მარჯვნივ იარა,
მან ანდა მარცხნივ,-უჩვეულო ჰქონდა წარსული,
ახლაც ზის იგი და იშუშებს მორიგ იარას,
რომ სიკვდილს შეხვდეს უნაკლო და პირგაბადრული.

ნატრობს იმ წუთებს, ჯერარგავლილ გზაზე რომ გასწევს,
უსამართლობას სულ ებრძოდა... ათას ფობიას,
მოკლედ, - დანარჩენს დეტალურად წერილში აღწერს,
სიკვდილის შემდეგ მას ჯიბეში რომ უპოვიან.



## XI დილიდან

ვდგავარ ჩემთვის და შემოგყურებთ გაოცებული,
ყოველი სცენის სიღრმე თურმე საოცრებაა,
დანის ტრიალი, კარტით ბევრი გადაგდებული,
რომ გაკვირდებით - თქვენს თვალებში დიდი სევდაა.

იქვე შეხვდებით ძველ აქტიორს სულ სხვა სახელით,
მიზანს ესვრიან, ერთმანეთთან სინჯავენ მკლავებს,
ვატყობ ავტორი მორიგ როლით მოწყენას შველის
და  აღარ იწვევს დიდ სცენაზე ახალ ვარსკვლავებს.

ღამით, გმირების შექმნის პროცესს უღიმის მთვარე,
ადამიანთა ტიპებს ითვლის, ინიღბებიან,
რიგში მდგომებმა ერთმანეთი ვატყობ გათვალეს,
 უმანკო, წრფელი ქალწულები რაც წითლდებიან.

ხან სიდიადეს, ხანაც ურჩხულს ასახიერებს,
ზაფხული ახლაც უღიმილოდ მიგორავს მკაცრი,
სცენაზე კრძალვით უცქეროდა ადამიერებს,
არაგულგრილად მარტოხელა, ხნიერი კაცი.



## XII ჩამავალი მზის სევდა

ეს დღეც წავიდა, მიილია  ისიც  უჩუმრად,
როგორც წასულან სხვა დღეები, არც უჩვეულოდ
გამორჩეულიც არ ყოფილა, კუდიც უჩანდა,
თუმცა არ გეთქმის შენ აუგი, მისგან რჩეულო.

მზე ნელა ჩადის, მე სიმშვიდე მაინც ვერ ვპოვე,
ვერც სხვებისაგან ვერ მიიღო  ვატყობ მადლობა,
პირად ტანჯვად და ჯოჯოხეთად შევიგრძნობ ყოველს,
ადამიანთა მოდგმის მთლიან უნიათობას.

თუკი სიცხისგან გაჭირვება კვლავ აშმორდება,
სხვას არაფერზე გული წყდება, ვინაც გზას აცდა,
მოჩვენებითი მას სიმხნევე აღარ შორდება,
თავდავიწყებით  ვინც  ეძლევა სევდიან განცდას.

ახალგაზრდები კი არქმევენ ამ დღესაც ლამაზს.
ურთიერთტრფობის ეჩვევიან  გულით  ტარებას,
დანებდებიან  სიყვარულის  რაც გიჟმაჟ თამაშს,-
იქ  უჩვეულოდ შეიგრძნობენ ამ ნეტარებას.



## XIII თვალთმაქცური თამაშები გალიაში

რატომ გძულთ ასე ერთმანეთი, რად ცხოვრობთ ზიზღით?
მძულს თვალთმაქცური თამაშები ამ მობეზრების,
სასაცილოა ბოლო აზრიც, თავში რომ გიქრით,
გულმოწყალების ანუ ყალბი ქველმოქმედების.

ან  უსამართლო ამ დღეების ეს ძლიერება,
თვით ღიმილებსა და ცრემლებში სიყალბის ძალა,
გამშველებელი ამ ბრძოლებში რას ჩაერევა,
ის არასოდეს არ იქნება, რაც არ მომხდარა.

მას კი თვალები შერჩა მაინც მექანიკური,
გაოცებული ვინც იძახის, - ჰე, ეგერ გია,
თეთრ ღამეების გადაშალოს რათა დღიური,
ცრემლმორეულმა მოისმინოს ეს ელეგია.

მდაბალი კლავდა მასაც მუდამ ახირებები,
გულს უამებდა თუმცა იქვე შემდეგი გრძნობა,
არ ასვენებდა უცნაური ახლა ვნებები,
ლამაზ სიტყვებში ვერაგობა რომ შეიგრძნობა.



## XIV გარეულ მხეცებთან ვოლიერში

განსაცდელის წინ უჩვეულოს ის აფრქვევს აზრებს,
დარწმუნებული - ყველაფერი რჩება ზეიმად,
საკუთარ ინსტინქტს მინდობილი, უფსკრულის თავზე,
მოხეტიალე ნახირივით დგას არხეინად.

კონკრეტულად კი თავსატეხი ყველას თავისი,
აღარ ასვენებს, ამ ფიქრებში მაინც ვერ ახსნის,
იმედით სხვისი (ბოლოს მაინც აღარავისით),
განსაცდელისგან სულ კლავთ ფიქრი მათ თავის დახსნის.

პატივმოხვეჭა აქ ბუნებრივ ხრიკთა გარეშე,
არ იარსებებს, ფანდები რაც უთვალავია,
უნდობლობა კი მათ სულებში სულ დათარეშობს,
და სიხარბისგან დილიდანვე ყველა მთვრალია.

კვლავ მისტირიან გამართლებას, თავიანთ იღბალს,
ზუსტს ვერ გეტყვიან, ვის კვებავენ ან რად არჩენენ,
აქ დიდ საქმეში სერიოზულს ირგებენ  ნიღაბს,
ნამდვილ სახეს კი წვრილმანებში გამოაჩენენ.



## XV მხეცი სარკეში

კატასტროფათა შედეგია აბერაცია,
უკმაყოფილო წამწამები კვლავ იხურება,
სულიერების მწვერვალებზე აღარ ანთია,
მბჟუტავი ცეცხლიც, რაც სარკეში ის იყურება.

რა ქნას, თავისთავს მან უყურა თვალდახუჭულმა,
სულის კიბეზე ჩარბის ახლა ეს ჩივილები,
კედელზე ბზარი შეამჩნია გულდათუთქულმა,
სარკეზე კვალით ცრემლებია და ღიმილები.

ახლა კი იცის, მატლი დახრავს გიშრისფერ თვალებს,
მალე და ისიც, რომ დათვრება, დაეძინება,
ზედმეტ ფიქრებით ჰორიზონტებს არ გააწვალებს,
სულის ცვლილებას სარკეც ამჩნევს და ეღიმება.

გაღიმებულზე ეს ნაოჭი გაუჩნდა როდის?...
სულთან კონფლიქტში იცის, ხორცი ვერ გადარჩება,
თვალებმა სარკეს დამთავრება აუწყეს ომის,
რაც გადაწყვიტეს - გამარჯვება რომ სულს დარჩება.



## XVI „გაიძვერა მხეცებიდან..“

შველას თუ ითხოვ, მოკურცხლავენ, გაღმა რჩებიან,
(მოსაჩვენებლად ერთი იქ ხმალს ვიღაცას უქნევს),
აქ მხიარულნი უფრო მალე ჯანსაღდებიან,
ავადმყოფობაც არ მიელტვის მხიარულ ფიქრებს.

ყველაფრის მერე, გამოყოფენ თავს იმ მსჯელობით,
რომ სულ აქ იყო თქვენს გვერდით და ის სულ აქ არის,
სინამდვილეში არ ატყვიათ მათ ჯერჯერობით,
სიქველისა და სასახელო საქმის ნიშანი.

ასე ეჩვევი ამ ყველაფრის ახლა ერთობას,
აწ არ გიზიდავს სიხარული, სიმართლის პოვნის,
ამ სითვალთმაქცეს შენ უყურებ, როგორც გართობას,
ვით კეთილსა და ბოროტს შორის ნაპოვნ კომპრომისს.

აქ სუფთად გასვლის, რომ იცოდე, შანსი მცირეა
და სხვაზე ცხელი მუდამაა ისევ ივლისი,
რადგანაც შური, სიძულვილზე უფრო მძიმეა,
და აღარავის არ აღელვებს შენი სინდისი.



**XVII**

თქვი, როგორ უძლებს დედამიწა ამდენ სიავეს
და ბოროტებას გულისამრევს, რაიც აქ ხდება,
რომ მერამდენედ (დღესაც) გულზე გადამიარეს,
და  გული მტკივა, სიკეთე რომ ისევ მარცხდება.

ევოლუციის სიტკბოება სიტყვას იძლევა,
ამდენი შურით, თვალთმაქცობით, ბოღმით ამდენით,
უჰაერობა სულ მაწუხებს, ახლაც ვიგრძენი,-
ვეღარ ვიპოვე საიმედო მე დასაყრდენი.

მივდივარ ჩემთვის, ასე სევდა სულ დამატარებს,
შემეფეთება გზად სულელი, ვინმე ავყია,
იქვე დავჯდები, რაც დავრაზავ ჩემს გულის კარებს,
გზად სიგარეტის ნამწვები და ბოთლები ყრია.

ვატყობ ამინდი რომ ნელ -ნელა ახლაც იცვლება
და წვიმაზეა ალბათ ისევ ეს დღეც ორსული,
ბალღური სული უიმედო სევდით ივსება,
რაც  ყველაფერი უკვე ყელში აქვს ამოსული.



**XVIII**

შენ ღიმილების კვლავ გაოცებს დიდი ტირაჟი,
სხვა რამეს დარდობ, რადგან სხვა გზაც არ გაგაჩნია,
ბოლოს კი ხედავ ყველაფერი არის მირაჟი,
რაც განდგომილი მარტოსულის დაღი გაჩნია.

ეს უამრავი, გალეული თმენად დღეები,
უბადრუკობას მისას მაინც აღარ მორჩება,
უყურებ მათ და აღარ ცდილობ ძველი წყენების,
უფაქიზესად ღრმა გრძნობების აქ გადმოცემას.

გამყინვარებულ ამ სიფათებს ის სიბერედ თვლის,
მძაფრ  ემოციით თუ გაექცა მატარებელი,
ისიც ბნელი და წამბაძველი სხვის ინტელექტის,
უსირცხვილო და უთავბოლო მიმთვისებელი.

რაკი უკვალოდ არასოდეს იკარგებიან,
თბილი სიტყვები გულის ფსკერზე გრძნობენ სხვაობას,
ეცინებათ და ახლა უკვე  არაფრად თვლიან
უაზრო რამით გამოწვეულ ძველ კინკლაობას.



## XIX მხეცის სიკვდილი

ისიც  კვდებოდა, უყურებდა თავის დასასრულს,
მისსავე კუბოს, აბრეშუმით და ყვავილებით,
პირდაპირ ცხვირში მასუნთქებდა მყრალ ამონასუნთქს,
მესმოდა, სულის დამშოკავი ის ქავილები.

როცა მივედი, დაბალ ხმაზე ის საუბრობდა,
თავი მივადე, თვალი-თვალში რომ გავუყარე,
ახლოს ვუყურე... აწ სიცოცხლე  აღარ უხმობდა
სახის მკვდარ ვენებს,ნაოჭებს და კანის იარებს.

სიცივისა და შრომისაგან შესიებული
მისი ხელები მყის დაბერდა  და ვერ ინახა,
ვეღარსად მისი მჩქეფარება სადღაც დაფლული,
თავი დახარა მან და მერე ამოიოხრა.

მე წამოდგომა დავაპირე და რაღაცის თქმა,
რაც უხერხული იქ სიჩუმე უცებ გადიდდა,
თვალნი აქ ღიად დარჩენოდა, თვითონ დაინთქა,
თურმე ჩემს თვალწინ კაცი მოკვდა, სადღაც წავიდა..



## XX

შეუცნობელის ზღვარზე მდგარი იქვე ყანაში,
ერთურთს აცნობდნენ უკანასკნელ ექსპერიმენტებს,
და სიდიადის დარდი კლავდათ იმ ქვეყანაში,
სად დიდხანს ყოფნას მათთვის ზეცაც კი არ იმეტებს.

ზემოთ წაიყვანს, დაუწესებს ახალ მარშრუტებს,
ჭეშმარიტების საიდუმლოს არ აზიარებს,
და გაუყენებს შორეულ გზას იმ ქარაფშუტებს,
დანაშაულს რომ ზოგჯერ სულაც არ აღიარებს.

საწუხილოა ყველაფერი, რაც დამიწდება,
უკმაყოფილო დარჩა ბევრი ამ პირობებით,
როცა შეხედავ, არასოდეს დაგავიწყდება,
თვალები სავსე დარდითა და დაპირებებით.

დღე  კი გადმოდუღს, მორიგ ამბავს არ გაიოცებს,
და ისევ უცხო ეს  ხეები სულ შრიალებენ,
აქვე  ქალები მამაკაცებს, ვით იდიოტებს,
თავის  ჭკუაზე ძველებურად ატრიალებენ.



## XXI საუკუნე მხეცებთან გალიაში

წარმოადგენენ მეომრები შოკოსმომგვრელ სივს,
რათა ბრძოლაში არ წავიდეს ვინც ძაბუნია,
აქ უჩვეულო გემო დაკრავს ერთმანეთის სისხლს
და ცრემლები კი გულებისთვის კვლავ სალბუნია.

მათი ღიმილი ბევრ რამეზე კვლავ მიგანიშნებს,
თუკი რიტუალს მერამდენედ შენც შეესწრები,
გაოცებს ზოგჯერ ამტანობა, სიდარბაისლე
და გასაჭირში უცნაური ქცევის წესები.

ერთმანეთისთვის შეთხზული აქვთ მათვე მითები,
ყველა გმირია, როცა კითხავ, არ დაგიმალავს,
თურმე იოლად სრულდებიან იქ შეკითხვები,
რაკი ეჭვები შეარყევენ საკუთარ ძალას.

გაუტანლობა მორიგ დღესაც ისევ ძლიერობს
და გაბრწყინებას სიხარული ახლაც ვერ ასწრებს,
შენ აქ სულმდაბალს არ აღირსებ სამაგიეროს,
რათა იტანჯოს მისსავ გზაზე, ბოღმისგან გასკდეს.



**XXII**

მგრძნობიარეთა ხვედრი თურმე ახლაც სევდაა
და სწორიცაა, როცა ბედი უცხო ხელშია,
აქ მეგობრობა თუ ღალატის ისევ დედაა,
იქ სიყვარული დამერწმუნე, კვლავ საფრთხეშია.

სასწაულების ბევრჯერ სწამდათ და დაიჯერეს,
არ  შინებიათ  შხამიანი მათაც ისრების,
სად არ დადიან, ვინ არ ნახეს, რა არ იგემეს,
ტკბილს მწარე სდევდა, მწარეს ტკბილი, მერე ისევ ის..

უცქერი ამათ და ყურს უგდებ მხეცთა ჟრიამულს,
მორიგ საათებს დაუვიწყარ ფონად რომ ადევს,
ბოლოს ყველაფერ ამას არქმევ- ადამიანურს
და დღესდრეობით, შეფასებას უმაღლესს აძლევ.

გაგიღიმებენ, ცოდვის სხივი თუკი არწიეს
გონებაში და იმ დროს  თვალში უნდა უცქირო,
თურმე   ყოველდღე ახალთახალს ქმნიან პარტიებს,
რომ საბოლოოდ აქ ერთმანეთს დედა უტირონ



## XXIII

ლექსის იდეა ახლაც ისევ ჩნდება ფრაზიდან,
პირველი სიტყვით, მუზის მიერ ნაკარნახევით,
ოქროს სიტყვები იპარება რითმის რაზიდან
და აღარ რჩებათ შანსი უკვე უკანდახევის.

ლექსს ვიწყებ ასე, - „ჩამაგონებს ვიღაცა სურვილს..",
რომელიც ახლა ჩემთვის ახალ ამბავს პოტიკობს,
ღიმილით მორბის ან პირიქით, დაგროვილ ურვით,
ვინ შთამაგონებს? - მუზა ქვია იმ ინკოგნიტოს.

თავბრუდამხვევი მიხვედრები და მსჯელობანი,
აღმოჩენების კასკადებით ტკბობის უნარი,
მზიან დღეებზე უჩვეულოდ მშვიდი რომანით,
და შემოდგომის ამ ფერებით, გაუხუნარით.

ფარულ მიზეზებს ჯადოქრობა ვეღარ მოარჩენს,
უცნობი წიგნის იხიბლები ახალ გვერდებით,
ის სიტყვებს მიღმა თუ ბევრ რამეს ჯერაც ვერ ამჩნევს,
შენ, დაჟინებით, მერამდენედ ჩააცქერდები.



## XXIV

არსებობს ღმერთი და ჩვენს ყოფას გამოაკეთებს,
-მწარედ მოთქვამდა ერთ დროს ეჟენ რასტინიაკი.
და თუ არადა, უაზრობა ყოფილა ესეც,
(აქ დაფიქრებით ათქმევინებს ამას ბალზაკი).

ვინაც ადვილად შეუნდობდა ცოდვას მის გმირებს,
მიეტევება, ამბობს, - ისიც მიწის შვილია,
და შედევრები, სადაც სიბრძნე სულ დომინირებს,
თითქმის მოძღვრული გულგრილობით აღჭურვილია.

მასწავლებელი არის ტანჯვა, შენ კი მოწაფე,
თავშესაფრად კი მეგობრობა და სიყვარული,
გზად ტანჯვას შური, სიძულვილი გაგიორმაგებს,
თავისდაღწევას მისგან ცდილობ ჩქარ სიარულით.

წუთისოფელი უხეიროდ მოწყობილია,
აქ უამრავმა თურმე სიკვდილს თვალში უყურა,
ის გრძელი კაბა კვლავ ცრემლებით გაწყობილია
და ყველაფერი კი მოიცავს ცხოვრების სურათს.



**XXV**

როგორც სიზმარი ბერიკაცის, ჩვენი ცხოვრება,
გრძელი სიზმარი უშნო თვალთვალს არ მოადუნებს,
გამოღვიძების წამი აღარც გემახსოვრება,
რადგან სიკვდილი უკვე კარზე მოგიკაკუნებს.

ისიც სხვებივით ამაყობდა თვისი სახელით
და ოცნებობდა ამ სახელის უკვდავებაზე,
კარგი აკეთა, ბევრჯერ ცუდი, თითქოს სხვა ხელით,
თუმც მასაც მიხვდა, არ ყოფილა თავის ნებაზეც.

არგაჩერების მელოდია, ისევ  გაჟღერდა,
გაჩერება  კი უძრაობას და სიკვდილს ნიშნავს,
რომლის გამოც მან სულ იარა და არ გაჩერდა,
თუმცა იმ ღამით ეგონა რომ ხელახლა იშვა.

გაყვითლებული, შემოდგომის ხეთა ტოტები,
დაგვიანებულ ფრინველებს იქ კვლავ ასვენებდნენ,
გიორგობისთვეს იქ ისმოდა თბილი ნოტები -
ფართო შარაზე მიცვალებულს მიასვენებდნენ.



## XXVI

აიღო ნოტი, მხოლოდ სამი, ახლა ბულბულმა,
იქ მოსეირნე წყვილი ნახა და ხმა გაკმინდა,
ასე უყურა შეყვარებულთ ხმაგატრუნულმა,
გოგონას თვალთან რაც დალანდა კურცხალი წმინდა.

ენას მოსწონდა ეს სიმუნჯის მდგომარეობა,
ბუჩქში შემძვრალი რაც გაოგნდა, იქვე დადუმდა,
მშვენიერებას მიყრდნობილის გული მღეროდა,
ენამ კი ამას ვერ გაუძლო და იყო ჩუმად.

გულსმონაწოლი ნაღველისგან სატრფო ტიროდა,
ჰოს არა სდევდა, არას კი ჰო და ჭიდაობას,
ორ სიტყვას შორის, ამ ცხოვრების აზრი მიჰქონდა,
-ვაჟი ხედავდა მისი სულის ამ მოძრაობას.

მთელი ამბავი მაინც არის ძლიერ მარტივი,
როგორც ბაყაყის რეფლექსები, თქვა იქ გამვლელმა,
რის სიყვარული - ჩაახველა ბრძენი კაცივით,
რაც არ არსებობს, მუდამ მჯერა მისი ნაკლებად.



## XXVII

იქ იყო მიწა, სადაც ახლა დაბობოქრობს ზღვა,
აქ არვინ იცის და ვერ გეტყვის, ხვალ რა მოხდება,
შეუძლებელი არის როცა მისი განსაზღვრა,
(თან ყველაფერი, რაღაცაზე დაყრდნობით ხდება).

ვით ზოგი კაცი, სიბერეში რომ გახუნდება,
(ბევრნიც უკვალოდ ქრებიან და იკარგებიან)
და საბოლოოდ იგი მაინც ბრბოს უბრუნდება,
და სხვებთან ერთად იმ დიდ ბრბოში დაინთქმებიან.

ადამიანი უჩვეულო არის ქმნილება,
ის ღმერთმა შექმნა, ვინც თავისთავს უდგამს ბიუსტებს,
მან დიდი დოზით შეიძინა აქ გარყვნილება,
არ აღიარა წრფელი გულით მისივ სისუსტე.

როს დამთავრდება ყველაფერი, შეწყდება სუნთქვა
და სასეირნოდ გასწევს ყველა, ქარი დაქროლავს,
რათა ერთმანეთს გამოუტყდნენ, ანუ ღმერთს უთხრან,
რაც ჩაიდინეს, ყველაფერი რაც გულში ჰქონდათ.



**XXVIII**

სხვისი რამდენჯერ გაგიხარდა ბედნიერება?
ზოგმა თქვა - ჰოი, არც კი მახსოვს, ზოგმა არც ერთხელ,
თუმცა ეს იყო უდიდესი სიამოვნება,
ცას ასწვდებოდა სიხარული, მთას და იმ ვერხვებს.

შურის გარეშე ბევრი ცხოვრობს, ვიცი ახლაც კი,
ბევრსაც ეწვია უბედობა მოულოდნელი,
ან რამდენია, შენ მითხარი, ჩვენი ასაკი,
 სამოცდაათი ანდა სადღაც, ოთხმოცი წელი.

გამოწვეული ქრილობებით, გულისტკივილით,
მძაფრ ემოციას, ჯერარნახულს, მისცემს გასაქანს,
შენ ბრძოლის ველი კი დატოვე ბრძნული დუმილით,
არ მოგეწონა ეს კონცერტი, რაც დღეს ჩატარდა.

მწერალი იყო, აჯამებდა განვლილ ცხოვრებას,
ახლა მის საწერ მაგიდასთან, ფიქრი თავნება...
ნუ, როგორ გითხრა, პოულობდა საშუალებას,
იგიც საკუთარ იმ სინდისის დასაწყნარებლად.



## XXIX ნაწამები  მხეცუნა

ფრიად კარგია ის ქალი და არ დაბერდება,
ბოლომდე დაცლის შავ დღეებით სავსე ფიალას,
აღარ გატყდება, ღიმილს აღარ მიაშტერდება,
ეწამება და არ გაჩვენებს თავის იარას.

ენაზე მომდგარ ყველა სიტყვას არ რატრატებდა,
ახლაც ასეა, რასაც ფიქრობს, იმას იქ მარხავს,
ფიქრს ვერ ბედავდა ბევრ რამეზე, ტაბუს ადებდა,
ვიცი, ყველაფერს თავის კეთილ გულში ინახავს.

სიკეთის გზაზე მან იარა მართალი გულით,
გზა კი უკვალოდ არასოდეს იკარგებოდა,
საკუთარ თავში  იყო მუდამ ჩაღრმავებული,
და ის ფიქრებიც ზედაპირზე აღარ რჩებოდა.

მას წარმატება არ აბნევდა და კონტექსტს ასცდნენ,
როცა ეგონა ბევრს გულცივი და უკარება,
მდგომარეობას (ის მიღწეულს), თვლიდა მოსაწყენ
საქმეებისგან თავის დახსნის საშუალებად.



## XXX უნიჭონი ვოლიერში

პრიმიტიული მიდგომები მიზანს კვლავ აღწევს,
წინ დაუდგება ნიჭს ბინძური ფანტაზიებით,
აქ უნიჭოთა ამბიცია ყველაფერს ამსხვრევს,
ვეღარ ძღებიან ყალბ  მედლებით და პრემიებით.

ისევ მედლები, პრემიები, სცენა და ტაში,
ჯერარნახული, პიკანტური ვოიაჟები,
კარგი გარემო უნიჭოსთვის ვარდია თმაში,
ვით ციდან მთვარის ჩამომღები ანტურაჟები.

საქართველოა და ნიჭს  აქ არ დაგიფასებენ,
თან  დეტალები მუდამ ახსოვთ განვლილი ომის,
ნიჭიერთათვის კი ყოველთვის მახეს აგებენ,
აქ გააწვალეს ნიკალა და გალაკტიონი.

ე.ი. სულ ემზადება მორიგ მარშისთვის,
ის ნაწყვეტებით,  უნიჭოთა ფერმკრთალ დღიურის,
ზის იგივ სკამზე, იგივ კაცი და ფერსაც იცვლის,
კვლავ უკვდავების კონკურსებში წევრი ჟიურის.



## XXXI პანტერა

ჩემო პანტერავ, მოდი გულზე გადამირბინე,
შენ რაც ირბინე, ბედის წიგნში იმან ჩაწერა,
ვინც გადაწერა და ითვლიდა გულზე სირბილებს,
ნერვთა სირბილემ შეუტია რაკიღა წნევას.

რატომ  გადადე განზე ჩემი ბაგიბუგები?
რომ ვიღუპები, ვინ დაითვლის აწი იმ ვარდებს,
წაიღებს დარდებს ის სურვილი გადაბუგვების,
შიშის უფლებით - უფსკრულში არ გადამივარდე.

შენი თვალები, ო, თვალები შავო ავაზა,
ვით ყვავილს ვაზა, უხდებოდა გრძელი ფეხები,
როცა გეხები, აქ ოცნებას ედება რაზა,
მყის გადარაზავს რაიც ფიქრებს იმ შეხვედრების.

ვინც გადაურჩა, ვერ მაბარებს ბედის გაკვეთილს,
ასჯერ გაკვეთილ იმ ოცნებას ფეხი დაუცდა,
თქვა, - არა უშავს ჩემს სიგიჟეს აქ ფეხაკვეთილს,
სასოწარკვეთილ ნოსტალგიას რაც გადაურჩა.



## XXXII პანტერა - 2

შავი ქალები ახლაც ჭკუას მაკარგვინებენ,
გულისცემას რომ მეც ავყევი, ალბათ ავჩქარდი,
რაც ოცნებებმა უკან წასვლა აღარ ინებეს,
იქ დამათენდა თურმე ხელში ნამიან ვარდით.

დილით მეძინა, როს ზმანებას შემოყვა იგიც,
ვაიმე, - მე ვთქვი,- ყოფნა შემრჩა გაძაღლებული,
ვუხსნიდი იმას ისეთ ტონში, (გამიქრა რიდიც),
ვით აქტიორთა ენა არის ამაღლებული.

და გაეცინა, ასე მითხრა, -ნეტავი, ნეტავ,
ეს შემძლებოდა, თუმც მოვედი იმასთან გულით,
ვინც იყო უფრო პოეტური  და უფრო მეტად,
სხვაზე ნაკლებად გარეგნულად სერიოზული.

განშორებისას ვუჩურჩულე - მე შენ მიყვარდი,
რომ აღარავის გაუკვირდეს ტანჯვით გაცემა,
შემომაჩეჩა ფანტაზიამ როდესაც ვარდი,
ულამაზესი ბანოვანის პატივსაცემად.



## XXXIII

თქვა -  ეს თეატრი იცოდეთ, რომ განწირულია,
სერიოზულად არ უყურებს ის საკუთარ თავს,
თუმც განაჩენი ჯერაც კიდევ არასრულია,
და ცოტა ხანშიც  საბოლოოს მოვისმენთ სიტყვას.

შეურიგებელ სისასტიკეს ავლენდა ხორცის,
აყურადებდა, თვალთა მიღმა აღარ ტოვებდა,
ხორციელსა და მის სულს შორის არსებულ კონფლიქტს,
რომელიც თვით მას  აგრერიგად ასაზრდოებდა.

საქციელი ხომ სულს უშხამავს მუდამჟამს  ავთა,
სიბინძურე კი  სულ ეხურათ მუდამ საბნებად,
რა არ უცდიათ, სასიკეთოდ საკუთარ თავთა
და პატიოსან გონებათა კვლავ დასაბნევად.

გულს უმშვენებდა  კვლავ  იმედის სქელი კედელი,
შეტაკებების  და ბრძოლების  მძიმე დღის შემდეგ,
უიმედობა კი გაიქცა ნაცნობ ხედებით,
ხელის მოსაჭიდ ხავსს, რომელიც, დადის და ეძებს.



## XXXIV (სიკვდილთან ახლოს)

გამეღვიძება ღამის სამზე, იგიც აქაა,
ზის და მიყურებს, ჩემი ყველა ნაბიჯი იცის,
ეს სიკვდილია, ყველაფერზე ვიცი მზადაა,
შორს რომ წავიდე, ვაგვიანო, ვიცი დამიცდის.

წადი, მე შენი! (შევუკურთხე), აღარსად მიდის,
მყის ყავარჯენი მოვუქნიე, რაც ახარხარდა,
აღარასოდეს არ მჯეროდა შენი ამინდის,
გულისამრევად მან მიყურა, სიბნელით ყარდა.

უკიდურესად დაიძაბა ჩვენი ცხოვრება,
უკვე არაა ეს ცხოვრება... არამედ სულ სხვა,
თეთრი დღეები მისი აღარ გემახსოვრება,
რაც ჩამოწერა უჩვეულო ტანჯვათა ნუსხა.

ბუხარში ცეცხლი ითამაშებს მგონი დილამდე,
მტანჯავს ტკივილი, თან კი ღამეს მინდა ვუცქირო,,
დრო ასე გამყავს, ალბათ ახლაც მივალ იქამდე,
გამთენიისას ვერაგ სიზმარს რომ გავუცინო.



## XXXV

შეხვედრებია რაც გვაღელვებს, განშორებები,
მძიმედ დაჭრილის  ან ჯანმრთელის სცენიდან გასვლა,
შავ - თეთრ ფერებით სიზმარშიაც მოგონებები,
დამშვიდობების რიტუალი ცრემლის ფანტანთან.

ყოველდღიური ცხოვრებისგან მაგალითები,
როცა  გაფიქრებს, ანდა როცა აღტაცებას გვგრის,
შენ მშვიდად მაინც , ამ მიწაზე ვეღარ იქნები,
გიჭირს და იცი, რომ ვერაფერს შესჩივლებ ვერვის.

რაც გულისცემას გვიჩქარებდა ჩვენ დილიდანვე,
გულისჯიბეში რაიც გვქონდა მუდამ ალიბად,
დაბადებისას დიდი ხონჩით გამოიტანეს
და ხასიათი მანაც ჩვენი სულ აყალიბა.

აქ მრისხანებამ დაუბნია კი  ბევრს გონება,
უფრორე ბრიყვებს, ჭკვიანი კი მყისვე დამალავს,
რადგანაც იგი, უფრო მეტს გრძნობს მოვალეობას,
როცა  გონებით იმორჩილებს ამ  მრისხანებას.



## XXXVI ელეგია ბებერი ღამისთვის

უკბილო ღამევ, ოჰ, მე შენი დედაც ვატირე!
მყრალსა და წამხდარს, თქვი, რა უნდა გელაპარაკო,
რამდენი ვინმე არ დაინდე, იქვე გაწირე,
იმედთან ერთად და ზღაპრებთან ან უარაკოდ.

არცერთი იმ შენს საიდუმლოს არ აზიარე
და უსასრულოდ  გაუღვიძე მოგონებანი,
ბევრმა კი შენთან ის ცოდვანი მყის აღიარა,
როცა დაგნებდა და ამოთქვა შეცოდებანი.

მათ გაუმარჯოს, თვისი ნებით რომ არ დაგნებდნენ
და სიამაყის ნიშნად შუბლში იხალეს ტყვია,
და სასიკვდილო გზებს გმირულად ფიქრებს  აჩვევდნენ,
შეხე, რამდენი ნატყვიარი ახლაც გატყვია.

შენ მეათასედ ფიქრობ ახლაც, თუ რატომ ვერ ხსნი,
ასჯერ, ათასჯერ ნასწავლსა და კვლავ გადაღეჭილს,
მერე კი მოხვალ, დაეგდები იმისი ფერხთით,
რომ გაუღიმო ახლაც ღამეს, ლოყებდაღმეჭილს.



## XXXVII ადამის ძეთა მორიგი დაცემისას

თქვი, ამ დაწყევლილ ქვეყანაზე ასეთი ხალხით,
ამათ შემყურეს ჭრილობა ვით დაგიამდება,
ახლაც იხილე რაც დაცემა, შენივე თვალით
და მერამდენედ დაკნინება ადამიანთა.

რაიც გულს გიკლავს, სულს გიშფოთებს და არ გასვენებს,
ამ ვირეშმაკულს, შენი სული ვერ მიეჩვია,
შენ ამ დილითაც მათი მოდგმა კვლავ შეაჩვენე,
რადგანაც თვალწინ, სახიფათო კვლავ მეჩეჩია.

საქონლის ტვინით ახლაც რას არ მოიგონებენ,
მითხარ, რომელი ნემსის ყუნწში არ გაძვრებიან,
ფუი, მე მათი!... და  დაბინდულ ამათ გონებებს,
ამათი დედაც!..   ჯოჯოხეთის ლუკმა ხდებიან..

ჩემს პესიმიზმს კი არასოდეს ედო საფუძვლად,
სამყაროს ზიზღი, ვერატანის მისის სურვილი,
თქვა -  სულ ვებრძოდი საკუთარ თავს, ასეა ახლაც,
და საკუთარი სულის სიღრმის მკლავს სიძულვილი.



## XXXVIII ომის თანამედროვე 3D ვარიანტი ვოლიერში

სავარაუდო თარიღები ისევ აწუხებთ,
თუ როგორ  გაჩნდა ყველაფერი და დამთავრდება,
თუ როგორ უძლებს ეს სამყარო ასეთ მარწუხებს
და უმიზეზოდ ქვეყანაზე რომ არც რა ხდება.

ომის სიმღერა და ყიჟინა ერთად გვხვდებიან,
როს მიელტვიან საბრძოლველად ღამეს პოლარულს,
„პატრიოტები“  გულზე მჯიღის ცემით კვდებიან,
(ჩოხას იმშვენებს, თანაც ბევრი, ნაციონალურს).

აქ სამშობლოზე საუბარში მყის ფხიზლდებიან,
უცხო სიტყვებით შეამკობენ ლამაზ მდელოებს,
ეს ადგილები საოცნებო, ზღვასთან მთებია,
რა შეედრება აქ  წარმოთქმულ სადღეგრძელოებს.

თუმცა კი ომში ვერ წავიდნენ, ისევ გადადეს,
ჰამაკებში რომ ოცნებობდნენ მთელი ცხოვრება,
ლამაზ ღიმილზე ტარიფები ისევ გაზარდეს
და ბროდვეის სელფს უფრო მეტი აქვს მოწონება.



## XXXIX დავა გალიაში

ისე დაობდნენ, ცხარედ, ხშირად საზღვრებს სცდებოდნენ,
დანის ტრიალი, ტყვიის სროლა, ფრაზით - მიყვარხარ!
მეორე დღეს კი ერთურთს ძმობას ეფიცებოდნენ,
კვლავ კითხვით-სად ხარ?  როგორა ხარ? იქ რატომ არ ხარს.

აქ ათასნაირს აკადრებენ ერთმანეთს სიტყვებს,
მუცელზე დანით ან მაკარის ლულის მინეტით,
წამებულ  დღეებს იხსენებდა იმ ღამით ის ტყვე,
მაგარი შხვართი, იქვე იჯდა ვინმე , ნონეტი.

არ შემიძლია ერთის ნიჭი არ ვაღიარო,
რომ ღამის სამზე ნერვიულად გაეღვიძება,
და მოიყუდებს ბოთლით ბორჯომს, ამტვრევს „დიარონს“
ქუჩაში კაცს სცემს და საკანში გაეღიმება.

ნუთუ არ მოვა ის კაცი, ვინც სიმართლეს იტყვის,
წამოაბოდა ძილში იქ ერთს, ფრაზა ისროლა,
ფიქრში წასული ვერც გაერკვა, ვით გასცდა სიკვდილს,
რათა უცქიროს დუმილისფერ მარადისობას.



## XLI დრამატული ბედის პოეტები

უჰაერობამ  შემაწუხა, ღამეა მორგის
და ვხედავ უკვე, სულერთია საათიც და დროც,
აქ საიმედო დასაყრდენი მექნება როდის,
თვალდახუჭული რომ მივენდო სულის მალამოს.

რაც გამაჩნია, მსურს ფანჯრიდან რომ გადავყარო,
ბედნიერება იმ დღეებთან ერთად გაფრინდა,
ვერ ვეგუები მე ამ ციცქნა, დახშულ სამყაროს,
და მერამდენედ, გასვლას ვცდილობ ამ ყველაფრიდან.

არადა ერთ დროს, მიხაროდა აქ ყველაფერი,
სატრფოს ხილვისას უჩვეულოდ ნაზი ფრენები,
შემდეგ კი იყო, შენ  უცქირე ხელებს გაშვერილს,
როდესაც გვარქვი, - უცხოდ რთული ფენომენები.

უკუნ ღამეში გზა ვერაფრით ვერ გავიკვლიე
და მას შევკადრე უჩვეულო კომპლიმენტები,
შენ კი წახვედი, შენთვის ხელი რომ ჩაიქნიე,
დრამატულ ბედის, რაც გვიწოდე ჩვენ პოეტები.



## XLII ზუგიდის ბაზარი - 2

მე ბევრი ვიცი, ვინც განუდგა საკუთარ სხეულს,
ვეღარ გაუძლეს აქ სულების გამყინვარებას,,
დაშორდნენ იმათ, სამუდამოდ, მათთვის ქვადქცეულთ,
და გაამჟღავნეს უცნაური ის მღელვარება.

იქ რა უნდოდათ, ან თუნდაც აქ, - დღე ვით უძლებდა,
სიძულვილიდან წამოვიდა ხედავ ეს ცოდვაც,
მათ ხომ პუბლიკა უფრო ხშირად ყურს არ უგდებდა,
ხოლო კი როცა დაუგდებდა, აღარ ესმოდა.

აქ  ხომ წაქცეულს იმწუთშივე გადაგივლიან,
გაუხარდებათ და თან გულში გაეცინებათ
და მოწყალების საათები სულ დათვლილია,
აქვთ ჩვეულებად, ერთმანეთის კვლავ დამცირება.

ყურში ჩამესმის უცხო ხმები (ალბათ სულდიდის),
გავდივარ გარეთ, ცხოვრება დუღს, როგორც ბაზრობა,
დიდი ბაზარი, აზიური, თუნდაც ზუგდიდის
-და მე ვუცქერი ამ ცხოვრების კვლავ უაზრობას.



## XLIII კორიბანტები ფრიგიაში

### 1

ის ახლა მშვიდად დადიოდა ხალხმრავლობაში,
წყაროს რაკრაკით მოდიოდა ხმასთან უარიც,
თითქოსდა სადღაც მისეირნობს, შორს, ხეივანში,
და მარტოდმარტოს თავისთავთან სურს საუბარი.

კორიბანტია და ზეცასთან ის ლაპარაკობს,
თავისთვის ფიქრობს, თან ჩაესმის ძველი მუსიკა,
ის მელოდია, ცრემლებით რომ ღამეებს ალბობს,
ადრეც მან ბევრჯერ ამ საუბრებს დიდხანს უსმინა.

იქ მაფშალიამ მოუტანა მას ანბანთქების
ასო- ნიშანი და ნისკარტზე ჩამოიკიდა,
რამოდენიმე ვარიანტი მოჩუქურთმების,
ფერის სიმუქეც გაღიავდა, გადაიწმინდა.

მეხთატეხაში, ქვის სიმბოლომ მას გაუღიმა,
ახალი მთვარის სადიდებლად სხივი აჩუქა,
ამოდის მთვარე და ამოაქვს ფიქრი ღუნღულა,
რომელმაც ჩართო მუსიკა და აღარ გაჩუმდა.



**2**

ციდან ჩამოსულ ქალღვთაებას ართობ ცეკვებით,
იქვე სიზმარში ხედავ ყველა კოლხს თუ იბერელს,
ანტიკურ ხანის მალამოა ეს სიმღერები,
ფრიგიის მთები უკვდავ სცენად ექცა კიბელეს.

ისეთი დროა, ვინ ახსენებს დღეს მეფე მიდასს,
რომ დიდ ხელმწიფეს  მართლა აქვსო ვირის ყურები,
ვინც ამდენ ოქროს ანაცვალა ბუნაგი წმინდა,
დატოვა ყველა და გაერთო მისი ყურებით.

დადიოდნენ და არიგებდნენ ყველა ხელობას,
კირბანტნი, სახლის  აშენებას და გადახურვას,
ფუტკარის მოვლას, სიმღერებთან ლექსს და მწერლობას,
რომ რიგიანად დახვედროდნენ  ლხინსა თუ ურვას.

თავს მახსენებენ კორიბანტები ფრიგიაში,
ცხელი დღეები ანბანთქების  ა. ბ. გ- იათი,
ასონიშნების გამოფენა ქვის სამრეკლოში,
გრძნეულ გელათის მსგავსი ფორმის გალერეაში.



## XLIII

ის სულ ამბობდა, რომ სამყარო თითქოს გახუნდა
და დედამიწა რომ უფერულ ნავს დაემსგავსა,
რომელიც ერთ დროს თურმე სადღაც წავიდეს უნდა...
ასე მოძრაობს და ტაატით იმ ბორცვსაც გასცდა.

აქ შენ თუ ატყობ, ქუჩები კვლავ დაცარიელდა
და ჭორიკნები უკვე გარეთ ცხვირს ვეღარ ყოფენ
დაისადგურა რაც სიკვდილმა, გამეფდა ელდა,
მოლოდინისთვის საათებმა ნერვები ხოცეს.

სიკვდილს აგინებს, - ყველაფერი რაც ხელთ მოხვდება,
უნდება თავზე მას დააფშვნას, იქვე აჩეხოს,
მისი შხამი ხომ შეუცდომლად ისევ მუშაობს,
რომ შავ უფსკრულთან მიგამწყვდიოს და გადაგჩეხოს.

სიკვდილის კართან იმ კაცს ახლა, თქვი, რა აცინებს,
აქ პრობლემები არასოდეს არ დაბერდება,
ავადმყოფობაც ნაკლებს ართმევს ღარიბ პაციენტს,
მეტი არა აქვს, იცის მისგან ცოტა ერგება.



## XLIV გათენების სურათი სამხეცეში

შენი ყურება არ ბეზრდება და ნაბიჯები
გადათვლილი აქვს და სად მიდის, მან ყველა იცის,
ერთხელაც, უცებ, ყველაფერზე გადაბიჯებით,
იგი გაქრება და სადღაც შორს შენაც დაგიცდის.

ერთიც ლოთობდა, ერთობოდა და დღეც დაობდა,
ვით ხეზე სოკო, მოვარდნილი წვიმების რიგად,
ნიავს რომ მოყვა, წყალზე ნაზად დანანაობდა,
მთვრალი ლოტოსი, ათასწლეულს რაც გაურიგდა.

დილას ხატავდა, გათენებას ასურათებდა,
ერთი გოგონა და ნახატი იქ ჩამოკიდა,
დასაბამიდან ვინც ღამეებს აქ სულ ათევდა,
იმას უხმობდა, სული რაიც შვებას მოგვრიდა.

სხვა ან  რა გინდა, გაიცინო და გაიხარო,
ბედნიერების ხუნდებით დღეს თავზე აზიხარ,
აქ ეს სიტყვები დღეში ბევრჯერ უნდა იხმარო,
როგორიცაა -მიყვარხარ და რა ლამაზი ხარ.



## XLV აბსურდის დრამის პერსონაჟები

ბუნებრიობას დააბრალა ირგვლივ რაც ხდება,
მისი სიტყვებით, - „სისულელეს არ უთმობდა დროს“
და სწამს, ძლიერი სიყვარულის გამოსაცდელად,
დროგამოშვებით, ვინმე ქალი რომ  შეიყვაროს.

მოხეტიალე მუსიკოსებს დაჰქონდათ ფრთები,
სკივრი, (იქ იჯდა დედოფალი და ა.შ.)
ამოძვრებოდნენ გლეხები და კუდიანები,
მარიონეტებს აქ ისინი ათამაშებდნენ.

დამღლელ დღეებზე მერანდენედ კვლავ აღებინა,
არავისი სწამს, ეს  საღამოც, ხედავს ილევა,
ბოლოსდაბოლოს, ამან ხელი ააღებინა,
საყოველთაოდ იმ დროს გამხდარ ვალდებულებას.

ნათელ გონებას ვინაც ფლობდა, არავითარი,
ილუზიები არ ჰქონია, სხვა განგაშებიც,
მას სიზმარშიაც არ შორდება, სახემღიმარი,
აბსურდის დრამის ეს მორიგი პერსონაჟები.



## XLVI აბსურდის დრამის პერსონაჟები (3)

სიუჟეტები მან ისესხა სინამდვილისგან,
აჯადოებდა ახლაც მისი დახვეწილობა,
ვერცერთ წიგნში რომ წაუკითხავს, ხედავს დილიდან,
ერთად :სკეპტიკოსს, გარყვნილსა და იქვე ზრდილობას.

როცა ღიმილი ფანტაზიის საზრდოს იძლევა,
დიალოგები გვაჩეჩებენ ფიქრების დასტას,
ეს ტრიუკები კი დილამდე არ დაილევა
და გაგვართობენ, ამ ღამემაც რომ უხვად გასცა.

ქალის თვალებში წაიკითხავს ღამეს გატეხილს
და შეაფასებს უკანასკნელ ოცნება -ლტოლვილს,
იმ მორიგ ფიქრსაც თვალს შეავლებს, წყურვილატეხილს
რაც იმ ავხორც კაცს ჩაუვარდა სულიერ ლტოლვით.

განმარტოება გადაწყვიტა, ცრემლი დასდინდა,
მარჯვედ დადგმული, რაც ხაფანგი, ნახა შორიდან,
ეს ჩვენ ხომ ვიცით, უამრავი, მსგავსი ამბიდან,
დაღდასმული და დაშოკილი რომ გამოვიდა.



**XLVII**

ეს ნაბიჯები, ასე ლაღად წინგადადგმული,
ბევრჯერ მცდარია, ნამდვილივით თავს მოგაჩვენებს,
ნაიარევი ულვაშებში აქვს  ჩამალული,
რაინდს ის ახლა, ძვირფას ქვაზე მეტად ამშვენებს.

არაბულ რაშებს ღამე სჭედდა ვერცხლის ნალებით,
ხმალი ბრწყინავდა იმ ომებში, ვერცხლით ნაფერი,
სული  მებრძოლი  ისევ ბორგავს ამ აალებით,
მახსოვს ასე თქვა -ყველაფერი ან არაფერი.

ეს მისი ცეკვაც საკუთარი თავით  ტკბობაა,
და არასოდეს სხვისთვის თავის არმოწონება,
სატრფოს თვალებში კი უსაზღვრო თურმე თრობაა,
სუფთა ცხოვრება კი წავიდა, ჟღერს მოწოდებად.

ღამის ცრემლებს კი ქარი უღვთოდ კვლავ გააშვილებს,
როცა ღიმილი ჯერაც სხვასთან გულით ერთობა,
ავდრით მომავალს ვიცი აწი ვერ შეაშინებს,
გამზადებული ბედისაგან ეს თავხედობა.



**XLVIII**
**I**

პრანჭია რითმამ დიდ ხმაურში გზა გადაკვეთა,
ქკუაც გააჩნდა და სითბოსთან თურმე სიცივეც,
ავტორმა მკითხველს ააცილა სასოწარკვეთა,
თავისი ლექსით მან აჩუქა დღესაც სიმშვიდე.

ბევრს სწყინდა მისი პესიმიზმი ასე მოვლილი,
თუმც დიდი სევდაც საუბრებში ბევრგანაც არ ჩანს,
ვით აკრობატი, თავის მიერ გამოგონილი
ტრიუკის მიმართ, საბოლოოდ ერთგული დარჩა.

გამეორებით სულ ცდილობდა გამოსწორებას,
საკუთარ თავის -სჭირდებოდა იგი აი, რად,
(სხვა კი იცოდა, რომ იმისთვის მეორდებოდა,
სანამ მკითხველი არ შეცვლიდა აზრს სხვანაირად).

დუმდა ამ წუთშიც, დამპყრობელი სულთფანტაზიის,
ის   უქონლობას სწუხდა ახლაც და განიცდიდა,
გრძნობს, დამბლოკავი ბარიერი ფიქრებს კვლავ ასდის,-
ლექსის ბოლო სტროფს შეურჩია ღარიბი რითმა.



## XLIX ესკიზები მორიგი  მორიგი მოქმედებისთვის

## (12)

ბოლო ღიმილიც  ახლებურად მის სულს დააჩნდა,
მრავალფეროვან იმ პალიტრას, ახლა  ვნებიანს,
აქ განაჩენი  ჯერ კიდევაც აღარსად არ ჩანს,
ეს ყველაფერი, ხომ უბრალო ესკიზებია.

ან სიხარულით უეჭველი ასე დათრობა,
მის უხვფეროვან  პალიტრაში როგორც პოპური,
მორიგ განცდებით მწამს ცოდვაში არ ჩაეფლობა,
ვით განწმენდისთვის ფრიად სარგო, ცეკვა სოფლური,

ის საკუთარი ხასიათის სიძნელეთაგან,
გამომდინარე, კვლავ დილეგში, ანუ კარცერში
მყოფი - მოვლენის მსვლელობაზე აღარ ახდენდა
უკვე გავლენას, ამიტომაც არავის ერჩის.

დღე კი გველივით მერამდენედ, პერანგებს იცვლის,
იგი კი იდგა, უცინოდა, ასე თავნებას,
ბავშვობის დღეებს იხსენებდა, ჩხუბსა და სიცილს,
ანუ - ცხოვრების ამ მოდელის გათამაშებას.



## L სცენაზე პერიფერიაში

მაშინვე სცენა განალაგა მან სათანადოდ,
იქ მსხდომთ გააცნო ეპოქა და ეს  ვითარება,
რაც წმინდა გრძნობა ააჩქეფა, სხვა რამ გადადო,
იქ შეაჩერა მოქმედების განვითარება.

მერე ფიქრობდა - რად იმისთვის არ მოიცალა,
რაც სიურპრიზს ქმნის მაყურებელს რაც შოკში აგდებს,
იმ დღეს ავტორმა ყველაფერი უცებ  შეცვალა,
და საკუთარი ჩანაფიქრი მან უკუაგდო.

ადგილზე დარჩა სიუჟეტი და თვით პიესა,
ავტორი უკან  რომ დაბრუნდეს აქ განაჩენით,
საკაცობრიო მზა იდეებს რახან მიეცა,
ხალხს დაავიწყდა, - ინტრიგაა აქ დანარჩენი.

მაყურებელი ამ ყველაფრით აღგზნებულია,
მის თავში ახლა ათასგვარი აზრი ირევა,
ავტორმა კი დღეს მოახერხა უკვე სრულიად
მივიწყებული თვისი თავის დემონსტრირება.



## LI ლამაზ მხეცუნებთან, თეატრში..

ჭკვიან მხეცებს ხომ გაიძვერა ფიქრები ტანჯავთ,
და სანადიროდ კვლავ არჩევენ მზიან დღეს, უქმეს,
ბოლო ცენტამდე ატყავებენ გამვლელებს, რაჟამს,
იქ ამზადებენ  ერთმანეთის ტყავისგან ქურქებს.

ლამაზ მხეცუნებს დარდი მოკლავს გრძელი ფეხების,
თვალწინ უდგებათ ირონია მახინჯ არსების,
ძილშიც მათ სახელს ახსენებენ, როცა ეხები,
სძულთ ღიმილიც კი  ნევროზიან პერსონაჟების.

როცა ბალახი მობეზრდებათ, უნდებათ ხორცი
მათ გასკდომამდე, ერთობიან ერთურთის ჭამით,
გამთენიისას  არემარეს იპყრობს ხორხოცი,
სიავის ძლევის, ბოროტისგან, რაც დგება ჟამი.

მცირე დეტალის შეცვლაც არ სურთ საკუთარ თავში,
პატივისცემის ერთურთისგან სძაგთ გაგონებაც,
თუ დამარცხებულს იხილავენ ერთმანეთს, მაშინ,
გრძნობენ უდიდეს, ჯერარნახულ სიამოვნებას.



## LII ოცნება კარცერში

ამ ოცნებაზე თვითონ ღმერთიც ახარხარდება,
როცა მოისმენს, მერეც დიდხანს გულში იცინებს,
ღამით, სიზმარში, ყურში გეტყვის -მითხარ, რა ხდება?!
ხომ მშვიდობა გაქვს?  ან ვინ გაწვდის ამ ამბიციებს?

ღმერთო მაღალო (იქ შენ ეტყვი), გთხოვ მაპატიო,
მინდოდა უკეთ რომ მეცხოვრა, მეტს აღარ ვიზამ,
რა სიგიჟეა, ოცნებაში ღამე ათიო,
გახსოვს? შურიან მეზობელთან ვით ვდებდი ნიძლავს.

ახალმა დღემ კი უკვე თავზე გადაგახია,
ნანინანატრი ის კადრები, ასე ცელქები,
ნაოცნებარი, იატაკზე ხედავ რომ ყრია,
გადაღებული ბროდვეიზე შენი სელფები.

აქ ხომ პრობლემა ყველასა აქვს, მაგრამ შენ ცდილობ,
კეთილგანწყობით დაამარცხო  ომში ყოველი,
გინდა სამყაროს შეეთვისო და გაუღიმო,
-რადგან ესაა სასურველი ქცევის მოდელი.



## LIII კლოუნადა გალიაში

აქ ამაყობენ არტისტული მონაცემებით,
გულზე ჯვრებით და მიხატული მკერდზე ხატებით,
თვალთმაქცობისთვის გაკიცხულნი და ნაცემები,
ნიღბის მორგების უჩვეულო დიდოსტატები.

იმას კი სჯერა, რომ თვითონ არ გაკლოუნდება,
დგას და რეპლიკებს ამჯერადაც   უაზროდ  ისვრის,
ყალბი ცრემლები  ღიმილებთან ერთად ხუნდება,
საბედისწერო არც აშფოთებთ იდიოტიზმი.

ვინც მასხარების სახელებს აქ  ღიმით ჩამოთვლის,
ნიჭიერების, უნიჭოთა, კვლავ ღრმა ნაფაზით,
ყველაზე სანდოს მივარდება, ნიღაბს ჩამოხსნის,
და ხედავს ისიც, სასაცილო არის ჯამბაზი.

ზიან, სამყაროს აღსასრულს კვლავ ელოდებიან,
ღამის შფოთვების მიზეზად ხომ იგივე დარჩა,
იმაზე სწუხან, ვინ სად წავა - შიშით კვდებიან,
თუმც აღსასრული კარგა ხნის წინ აქ უკვე დადგა.



## LIV გაქცევა

მთელი ცხოვრება ის ხედავდა ერთფეროვან და
უმისამართოს, უჩვეულოსც ყოველღამ სიზმარს,
ბოლო ეტაპი კი ფერადებს, მსგავსს ხელოვანთა,
რომ ნახულობენ და დეტალებს არჩევენ მისას.

კეთილი გული ვისაც ჰქონდა გაუხუნარი,
ვისგანაც წყენა ჯერ არავის აქ არ ეღირსა,
იქვე ხომ, ყველა ადამიანს სულ აქვს უნარი,
სხვისთვის ზიანის, გულისტკენის მიყენებისა.

ცხოვრების ხერხებს დეტალებში ბევრი სწავლობდა,
როცა ეცადა იგი მისთვის დაემარტოვა,
ვისაც სიკეთით სხვაზე მეტად თავი მოჰქონდა,
თვითონ ცხოვრებამ აქ ისინი მშრალზე დატოვა.

ბევრი იქ მიხვდა, მასთან ერთად არ ღირს გაქცევა,
ყოველ ნაბიჯზე ვინც ღალატის სცენას გაჩვევდა
და გულმხურვალე სიყვარულის გამოსაწვევად
იაფფასიან იმ ეფექტებს სულ შეარჩევდა.



## LV

დღეს ვესწრებოდი ძმაო მე ჩემს დასაფლავებას,
ამ უსასრულოდ გაწელილი დღეების შემდეგ,
ამქვეყნიური ვოიაჟის ამ დამთავრებას,
ყოველდღიური რაც ფიქრები მყის გადაშენდნენ.

მივაცილებდი სისხლგამშრალი საკუთარ სხეულს,
აქ თვით ურჩებიც, მე დავრწმუნდი, რომ ყუჩდებიან
და ვიხსენებდი მათთან ყოფნის წამთ გამორჩეულთ,
სიხარულით და კვლავ წამებით რომ მღირსებია.

მივუყვებოდი ზმანებათა თანმიმდევრობას,
კომბინაციებს, კონტრასტების აღქმების ზვავით,
ძიების ირგვლივ რაც ჩაწვება ეს უწყვეტობა,
ფიქრთა ნაკადდთან სამუდამო იდება ზავი.

აქ უჩვეულო ნეტარების სიტკბო მყის გაქრა,
მსოფლმხედველობის დაუნდობელ სხივით ფარულით,
რაც ხორციელი სურვილები აღარა მტანჯავს,
გულგატეხილი არ ვყოფილვარ, არც მხიარული.



**LVI**

დღე ანანავებს ლაღ ოცნებებს, კვლავ ნიავქარულს,
ვეღარაფერი შეაჩერებს ამ მდინარებას,
უძლებს სამყარო კანონებით მართულ სიყვარულს,
ჩვენთან რომ მოაქვს უდიდესი ბედნიერება.

ბევრმა კი თავი გაიგიჟა, წყალში გადახტა,
ვინღა ამტკიცოს, დღე ერთურთზე რომ ძლიერია,
მარადისობის გზას გაუყვა, ბევრიც გადარჩა,
-ყველა შედევრი თავისთავად მშვენიერია.

უსიყვარულოდ ვინც იცხოვრა, მან ვერ იპოვა,
ცხოვრების აზრი, მოწყენას რომ ასე ახშირებს,
მკითხველის გულში ისადგურებს დაბნეულობა,
აღფრთოვანება რამაც ჩაკლა ჩანასახშივე.

გიჟი დღეები უძილობის რია - რიაში,
სხვადასხვა დოზით ყველაფერზე მაინც მოქმედებს,
ღორმუცელა მღვდლებს უჩვეულო აქვთ ხასიათი,
ვით ტკბილეულზე შეყვარებულ ლაღ ქველმოქმედებს.



## LVII

ახირებები მერამდენედ იყო მდაბალი
და ისევ, ისევ, მისგან გული გადაუხსნელი,
ის ამტკიცებდა, ცხოვრებაში იყო მართალი,
მობრუნებულს კი მას  ხვდებოდა ისევ კედელი.

მაშინ დარწმუნდა, ვერაფერი მასზე გაიგო,
(ეს ყველაფერი დღიურებში იმან აღწერა),
რაც გონებაში დიდი წრთობის ნაყოფი იყო,
-აუტანელი ყოფისაგან თავის დაღწევა.

ვისი არსებაც ასე ძლიერ გაჯიჯგნილია
მადლის ქმნისა და ხორციელი იქვე ლტოლვითაც,
მსხვერპლად შეწირვის თარიღები აქ წაშლილია,
ის მიატოვებს ყველაფერს და წავა ლტოლვილად.

თვლიდა,-  მდაბალი ინსტიქტებით იტანჯებოდა,
ჰიპოთეზების მსხვერპლი გახდა და სული მისცა,
არავინ დარჩა, უწოდებდა ვისაც მეგობარს,
თქვა: ყოვლის შემდეგ იქნებ შევძლო მე ღმერთთან მისვლა.



## LVIII სიზმარეული ჩანაწერებიდან

თავშესაქცევმა თამაშებმა შორს წაგვიყვანა...
ნაცნობები კი აღტაცებას  კვლავ გრძნობდნენ მისით,
უცებ სიკვდილმა ამ სცენიდან ის გაიყვანა,
გზად შეუჩერა პოეტური თვალების ნისლი.

ბრწყინვალებაა ლამაზ დღეთა  მისი ეს სტილი,
გაშლილ სუფრაზე, წყლისპირას ან ხელში იებით,
თხრობის მანერით, რიტმით, ალიტერაციებით,
მღეროდა პირველს ან მესამით იწყებდა ტირილს.

ვინც ყვავილებით მიმართავდა ამ მყვირალობას,
თქვა -დავბრუნდები, დამელოდე თუ აქ იქნები,
დაეჯერება ყველაფერი, გაყვება თუ მას,
რადგანაც ხშირად, იტყუებიან ეს წიგნებიც.

ქუჩის ხმაურში ფანჯრის მინები ზიმზიმებენ,
სადილთან ერთად ბერიკაცი თვალებს აცეცებს,
ბეღურები კი ფანჯრის რაფასთან ჟივჟივებენ,
დალოდებულნი სადილიდან პურის ნამცეცებს.



## LIX მზის სათვალით „პამეშენია“

გამთენიისას სერენადა უმღერა მთვარეს,
რაკი გათენდა, -თქვა, ვიპოვი ვინმე ჩემიანს,
მთელი დღე იჯდა და მალავდა ნაცრისფერ თვალებს,
რომელშიც იჯდა მზის სათვალით პამეშენია.

ბებრები მისთვის ხითხითებდნენ, ერთი ამბობდა,
რომ ვერაფერი ვერ გაუგო ახალ დროებას,
მეორემ „დინჯმა“ ახლა სხვებს რომ აქ ასაკობდა,
თქვა, - ამას ქვია ჩემო ძმაო გამოყ.....ბა.

პირველი ამბობს - გთხოვ, კოჟრებზე ნუღარ აბიჯებ,
ხედავ, დილიდან ასეთი ჩანს ის დარდიანი,
დარწმუნებულმა, ყველაფერი უკვე იცოდა,
მარიონეტი რადგან არის ადამიანი.

იტანჯებოდა არსობის და არარსობისგან,
ზოგჯერ კი, როცა განიცდიდა ფარულ სიხარულს,
სინდისის ქენჯნა აწუხებდა ძველი ცოდვისგან
და მორიგ მსხვერპლთან ოცნებაში უვლიდა დავლურს.



## LX

უჩვეულოა ახლა მისი ეს გადაგება,
ძვირფასზე ფიქრი, სანატრელი თავშესაფარი,
დღესასწაულის მიზეზს ვინაც ესადაგება,
შორს არ წასულა, მალე მოვა, აგერ აქ არის.

დღეს ბაღს სტუმრობდა და იქ დიდხანს დაყიალობდა,
როცა  ყვავილებს  სახელებით ის მიმართავდა,
იქვე ჩამოჯდა, კარგა ხანი არც რას ამბობდა,
სანამდის მისი გრძელი ფიქრი აღარ დამთავრდა.

ბავშვობის გზაზე, ვინც სიზმარში ესალმება მგზავრს,
ვერ გადაფარავს ვერაფერი იცის ამ ზიანს,
ვინც ძველებურად ისევ ისე სჯერდება იმ აზრს,
რაც რომ ნაზია უცილობლად ის ლამაზია.

არ აძინებდა ჭლექიანის ღამით ხველება,
(რამე რომ იყოს, იგი მისთვის კიდეც ადგება),
ბევრჯერ ცდილობდა ღვთაებრივის გამოყენებას,
საწებელივით, ფიქრობს ყველგან გამოადგება.



## LXI აბსურდის დრამის პერსონაჟები (11)

ვირტუოზობით ისიც ხშირად ბევრს ანცვიფრებდა,
სძულდა უფერო, უბრალო და მოჩვენებითი,
სიტყვათა ზუსტი მნიშვნელობის აზრს არიგებდა
უჭკუობასთან, - ზოგს ესმოდა, ზოგიც ვერ მიხვდა.

ადამიანის    მთელი ღამე ისმის ძახილი
სამყაროსადმი,  პასუხად კი ისევ სიჩუმე,
რითაც აბსურდის გზას მიყვება  ჩქარი მარხილი,
და აძლიერებს იმ  უაზრო იდეას  თურმე.

ჩვენი ბავშვობის ჯადოსნური სამყარო დარჩა,
უკან, სიზმარში , აქ რეალურს ფარავს გრძნობები,
შენ კი უსიტყვო პანტომიმის წესების დაცვას,
ისევ ახერხებ უჩვეულო  მოძრაობებით.

და ეძებ იმას, რაც სევდიან ნაკვალევს წაშლის
და აჰა იგიც,...  გიხარია, შენთვის უვლია,
ბედნიერების სურვილს იგრძნობ საკუთარ თავში,
აქ ყველაფერი ნათელი და მხიარულია.



## LXII

სულიერებას კვლავ მოაწყდნენ შორს წასულები,
ფილოსოფიას მიელტვიან სულ სხვა დონეზე,
ასე ლამაზად სიმაღლეში გადასულები,
ისევ ღელავენ მაღალზე და მიუწვდომელზე.

რომლებიც ადრე თვითონ წერდნენ კუჭის კანონებს
და აზროვნებდნენ მხოლოდ მისგან გამომდინარე,
სულიერებას ებრძოდნენ და ვერ დაამონეს,
აქეთ დამონდნენ, და შემდეგაც ასე იარეს.

მძიმე ყოფაში არ სურს დარდი კვლავ აბოგინოს
და სევდის წვიმას საღამო ჟამს კვლავ ეტყვის არას
კვლავ ლამაზმანთა ოცნებები რომ აბოგინოს,
ვიწრო ბილიკებს გაუყვება თუ ფართო შარას.

ზოგ -ზოგიერთებს კიდეც შერცხვა და ჩუმად იყვნენ,
როცა იწამეს, აქ სიკეთე ზურგის ქარია,
მწარედ დაფიქრდნენ (ხან ტიროდნენ), ბოლოს კი მიხვდნენ,
რომ წუთისოფლად არავის არ გაუხარია.



## LXIII აბსურდის დრამის პერსონაჟები (9)

თქვი, რამდენია განდეგილი გენიალური,
ვისაც არასდროს არ უგრძვნია დიდების სუნთქვა,
გამოგონება ხალხს აჩუქეს შედევრალური
და განერიდნენ, დანარჩენი არც რამე უთქვამთ.

საუბრებშიაც  აღარცერთ ჟესტს არ აკეთებდნენ,
არც „გამარჯობას“ არ ამბობდნენ და არც „ნახვამდის“,
ან ვისთვის ეთქვათ, აქ სულიერს არ დაეძებდნენ
და იყვნენ ასე, ამქვეყნიდან მშვიდად გასვლამდის.

მათთვის დიდება არც არაფერს არ წარმოადგენს,
სწამთ მარტოობას ვერასოდეს დაუსხლტებიან,
და არც უცდიათ, თანაც იქვე, შრომობდნენ  იმდენს..
შვეს  შედევრი და  განერიდნენ ხალხში ხეტიალს.

ეს უარყოფა არ ყოფილა უძლურებისგან,
ან იქნებ ხარკი იყო, უცხო რამ ძალებისთვის.
ხალხს საჩუქარი უხარია ახლა უფლისგან,
-ამოუცნობად დარჩნენ ასე, მოკვდავებისთვის.



## LXIV ბოდვის სტილის პოეტები

რომ ევროპაში დაისია, მზე გააცილეს,
სიზმარშიც ვეღარ ნახულობენ გოეთე - შილლერს,
დიდი ხანია რაც ელოდნენ ისინიც ამ წამს -
ასე ვუყურებთ დასავლეთის სულიერ გახრწნას...

და მოდაშია პოეტები დღეს ბოდვით სტილში,
სამყაროს ხსნას რომ დაეძებენ ბაღლინჯოს ჭრილში,
ასე ნელ -ნელა უაზრობა დაქრის ქარული,
რაც ყველაფერი მათ უარყვეს აქ საკრალური.

თუ მამათმავლებს მხარს არ უჭერ, ქვეყნის მტერი ხარ,
ვაი, სამყაროვ, ავადმყოფის გჭირს გართულება,
და ეს ქანები რომ ინძრევა, ვიცი იქ მიხვალ,
ასე ღირსი ხარ ჩაგიხუტოს აწ უფსკრულებმა.

სამარის ქვაზე მიაწერეს გარყვნის ფასები,
მე სხვა ევროპა მიყვარს, მათ კი იმის არ ესმით,
ღმერთო, გვაშორე, აღზევება პედერასტების,
ვშიშობ, სამყაროს ჩაიყოლებს ეს დეკადენსი.



## LXV თვითმკვლელობა სამხეცეში

არ აკვირვებდა არავისი მას იარები,
მისთვის მოთქვამდა, უცნაური ჰქონდა ჩვევები,
გაეღვიძება - უდაბნოში ცხელი ქარები
დაძრწიან, როგორც შემზარავი მოჩვენებები.

ბევრად მდიდარი, საოცარი ის ქმნილებებით,
სხვებს რომლის მსგავსი, არასოდეს არ შეუქმნიათ,
შავბნელ დღეებთან ამაყობდნენ თეთრი დღეები,
აქ შურის გამო ჯერ კიდევაც რომ არ უქიათ.

არვის უკვირდა მისგან ახლა ეს გინებები,
აპოკალიფსის მოლოდინში ეს ცივი გული,
სხვისი დაცინვით, ირონიით, განქიქებებით,
ცნობიერება მისი გახლდათ  ტრამვირებული.

სუიციდური მისწრაფებით უცქირა ივლისს,
ხელი შეუწყვეს მეგობრებმა, ახლოს მცხოვრებმა,
რაც ვერ გაუძლო საშუალო ასაკის კრიზისს,
მან თვითმკვლელობით დაასრულა იქვე ცხოვრება.



## LXVI

უფსკრულის პირას შეისუნთქა როდესაც ჯანღი,
თვალი შეავლო ეკალ -ბარდებს იქვე ამოსულს,
ის გზას გაუდგა, გადალახა რაც სულში ჯანყი
და ცას ახედა, ცრემლებიან ტანჯვისგან ორსულს.

აქ ფერხთითაა უფსკრულები პირდაფჩენილი,
გახსოვს ამ გზაზე დადიოდა ხალხი მილეთის,
ბევრიც აქაა, უკვირს, არის გადარჩენილი,
ათასნაირად დახვეწილი რთული ილეთით.

და დედამიწა, როგორც ერთი დიდი ჰარემი,
გარყვნის ბურუსში ირწევა და აღარ მთავრდება,
იქ ბედისწერა, ვით ვეება ტალღებში გემი,
მას ეხეთქება, იცის მალე გადაგვარდება.

ნამუსახდილმა სევდით ყველას გადააჭარბა,
მიმოიხედა და გულში თქვა, - ჩემზე ახია,
როდესაც თეთრი, საქალწულო თავისი კაბა,
უფსკრულის პირას ეკალ - ბარდებთან მიახია.



## LXVII ᲘᲡᲔᲕ ᲣᲤᲡᲙᲠᲣᲚᲗᲐᲜ

უფსკრულის თავზე ვცეკვავდი და კვლავ ვიცინოდი,
როგორც მორიგი პერსონაჟი კომედიიდან,
ამ დროს, გულრწფელი ჟღერადობით ჩემს სულს შველოდი,
მონოლოგების ბრწყინვალებით, პოეზიიდან.

როდესაც მწერლის ბუნებრივი გენია შეგშლის,
ვით შუაღამით, შენს კარებთან ქარის გოდება,
წყვდიადის გამპობ უჩვეულო მატარებელში,
ერთი ბილეთი დაჯავშნული, შენც გელოდება.

გენიალობა კი ტექნიკით არ აიხსნება,
ბუნებრივია, როგორც წყარო და მირაკრაკებს,
საოცრებებს კი შენი ტაში ძლიერ უხდება,
გთხოვ, ამით დატკბე და ნუ უსმენ სხვის ლაპარაკებს.

აი, იღვიძებს გოგონაში შეყვარებული,
ან თუნდაც ქალი და ფიქრებში ფეთქავს გრძნობები,
ფაქიზ სულისთვის ჯერ კიდევაც ადრეა წყლული,
ნოსტალგიური, ბოლო ფონი დამშვიდობების.



**LXVIII დრამის პერსონაჟები**

რაც გამოუჩნდა მას ახალი ახირებები,
იგი გარყვნილთა უჩვეულო ილეთებს ხმარობს,
და შეამჩნია  საკუთარ თავს მან ცვლილებები,
ახლა მათსავით, სხვის თვალთვალში ატარებდა დროს.

ზოგჯერ დუმილით, მე ხომ ვიცი, ის ხარკს უხდიდა,
იმ უჩვეულო ეფექტებს და უძღვნიდა ოდას,
ასე ნელ -ნელა სამყაროს წესს არაფრად თვლიდა,
საკუთარ თავზე წარმოდგენით ღმერთსაც დაშორდა.

და მაინც, მაინც, ის ერთგული ისევ რჩებოდა,
იმ ოცნებების საოცარის, მისთვის ძირძველის,
წუხელ ესიზმრა,- მის ფანჯარას ეხეთქებოდა,
ღამის ბრამეა, პონტოური, ხავერდისფერი.

საკმარისია განიწმინდოს სათავის ფსკერი,
ამბობდა კაცი, სახით მკაცრით, ვით დაპირება,
თუმც ეს ადგილი სულ ინახავს შლამს პირველჩენილს..
და იმ გაწმენდილ სათავეშიც შლამი ირევა.



## LXIX

ყველაფერი კი  მყის დაშენდა აქ ჩვენს გულებზე
და სიცოცხლეზე, - ღიმილებით, ცრემლიან დარდით,
რაც განგვიცდია და რაც ახლა სურვილებს ეძებს,
ამ დროს უეცრად აქტიორი სცენიდან გადის.

შენი პიესა ამ პიესის კულისებს მიღმა,
როგორც რომანი იმ დიდ რომანს მყის გამოება,
უყურადღებოდ აღარ ტოვებს ფიქრთამჩენ იღბალს,
ზოგჯერ ყველაზე უმნიშვნელო გარემოებას.

გულდასწყვეტი ზოგიერთი ეპიზოდები,
მორიგი აქტის დასასრული... ფარდა დაეშვა,
შენ ნამდვილ ამბავს სცენაზე კვლავ გაუტოლდები,
აპლოდისმენტებს  რომ წერტილი აღარ დაესვას.

აკლია სტილი თუ ყველაფერს და იმ ევრიკებს,
სცენაზე გიხმობს იქ ავტორი და სულში გწვდება,
სცენა მოითხოვს (შენ ამბობდი), ისეთ რეპლიკებს,
რაიც მიზანში უცებ ხვდება და არ მთავრდება.



## LXX

ეს დღეც ხომ  ჩემი პორტრეტივით უცებ ჩერდება,
შემდეგ თვალს ახელს, ისევ ცეკვავს და ველოდები,
იმ ბრწყინვალე წამს, როცა იგი კვლავ აფეთქდება,
ფანტაზიების ლირიკული მონოლოგებით.

აქ მიეჩვივნენ რითმებით მარადიორობას,
(ითხოვს სიგიჟეს მკითხველი და ღიმილით იქ თვლემს),
შეუფერებელ, ლექსისათვის ჟონგლიორობას,
ის ზურგს შეაქცევს, ვერ აიტანს და არ მოისმენს.

ცრუპენტელებად დაგანახა დღემ ლაქლაქები,
გადაავიწყდათ პრანჭიებად აწ გამქრალები,
ქცევას ატყვია უჩვეულო ახლა ლაქები,
იმ მოსულელო, ამპარტავან ქვრივი ქალების.

და  მაინც, ეს დღე, ვით ყვავილი ბრწყინვალე ატლასს,
გულზე ებნია, არტისტული სხივით თბებოდა,
თავისი ფერი მას გააჩნდა, იწყებდა ხატვას
და ეს სამყაროც კვლავ მის ფერში იღებებოდა.



**LXXI**

დიალოგები დღეს უსიტყვოდ ისმის სცენაზე,
თუმც სიჩუმესაც თავისი დრო ვატყობ რომ გასდის,
ვერავინ ივლის აქ უაზროდ, თავის ნებაზე,
ყველაფერს მისი სიდიადის ბეჭედი აზის.

ბარიერები, რომლებიც ჩვენ გზას გვიღობავდა,
საწინდარია წინსვლისა და მორიგ მიგნების,
კინო ხიბლავდა ბევრს და ღამით ოცნებას რგავდა,
(მკურნალად დარჩა სხვებისთვისაც კარგი წიგნები).

რომ ცხოვრებაა ეს უჯიშო, მას არ ესმოდა
და მელოდიას, იმ უცნაურს აქ სული უკრავს,
დაჭრილი გული ძლივს ფეთქავდა, ისე ეტრფოდა,
ენამოსწრებულ, დამცინავ და ვინმე კეკლუც ქალს.

მისგან დაჭრილი როცა დადის, ხშირად ჰგავს შეშლილს,
თვისი ცხოვრება არ ადარდებს, კაპიკად უღირს,
გულის ყოველი სისხლნარევი ამონახეთქი,
აღიარებად ისევ მისთვის,- თქმული ლუღლუღით.



**LXXII**

ჭეშმარიტებას სულ ვეძებდი, მთელი ცხოვრება,
სიუჟეტები გზად ყველაზე ძვირფასს კარგავდა,
აგიზგიზებდა რეალობა ჩემს აზროვნებას,
ბობოქარ აზრებს კი სიმართლე სულ წარმართავდა.

როცა გრძნობებით გადატვირთულ ამ თბილ საღამოს,
მოულოდნელად ნათელ ცაზე მყის  გაიავდრებს,
შენ გასაჭირში ჩავარდები სიმართლის გამო,
თუმც გადარჩები, საბოლოოდ კი გაიმარჯვებ.

მტრულმა ღიმილმა ბრძოლის ველზე გაინაპირა,
შეპირებულით უამრავჯერ და გადათქმულით,
ჩვენ საკუთარ თავს ისევ ვშველით უფსკრულის პირას,
ჩვენი ბუნების გარყვნილების ასე დათრგუნვით.

განიწმინდება ჩვენი სული ღმერთის მიბაძვით,
... ასჯერ ნაყიდი ერთმანეთი, გაყიდული და..
მორიგ ჩანაფიქრს ალბათ მეტის სურნელი ასდის,
ყველაფერი  ხომ, მაინც იშვა ცხრაკლიტულიდან.



**LXXIII**

ერთი შეხედვით, ეს სამყარო დასრულებული,
უცებ იცვლება -ქარიშხლები და მოქცევანი,
ასხვაფერებენ იმის სახეს, - დაკვირვებული,
მყისვე შეამჩნევს, რომ არაა სხვა არჩევანი,

ეს ბუნებაა, იბატონეს სულ სხვა ტონებმა,
ასეც იქნება, მათ სულები როცა არჩინეს,
ქალაქურ მოდას აყოლილმა ქალბატონებმა,
იოცნებეს და ეს ამბავი აღმოაჩინეს.

წასულებს ჰქონდათ იმედები როცა აქ ხსოვნის,
თუმც კონკრეტულად არ იცოდნენ, როგორ და ვისგან,
ძლიერ მოსწონდათ შუაღამის ეს მონაქსოვი,
სიუჟეტები ამ მორიგი სინამდვილისგან.

ათასნაირი საუბარი ისმის ოთახში,
შემოიჭყიტა დრომ და ტახტზე უჩუმრად მიწვა,
პატარა დანით ყვავილს რგავდა თიხის ქოთანში,
იქვე პაწია, იღიმოდა, ჩიჩქნიდა მიწას.



## LXX IV თვითმკვლელის სევდა

გამთენიისას, ვინც საკუთარ სხეულს განუდგა,
თვალცრემლიანი ჩამომჯდარა საფლავის პირას,
ბოლო სიტყვები მან ხომ თავის თავსაც არ უთხრა,
ოხვრით ტუჩები ჩაიჭამა, როცა იტირა.

ვინც კარგა ხანი სინანულის სევდით იწვოდა,
(ჰა, ეგერ მისი მეზობელიც სიკვდილთან ბრძოლობს),
იცოდა მალე ამქვეყნიდან რომ გავიდოდა,
რაც მესაფლავეს დაუტოვა გროშები ბოლო.

ქარაფშუტას და ერთდროულად სენტიმენტალურს,
მას,  ვინც უყვარდა, საბოლოოდ გული დაწყვიტა,
აღარც პასუხებს არ ითხოვდა იგი, დეტალურს,
ერთ მშვენიერ დღეს, როცა ადგა, ეს გადაწყვიტა.

ესიზმრებოდა მესაფლავე რუმე ფერებში,
პირველთაგანი მაინც გახლდათ სიკვდილის თემა,
მისი ცხოვრების იმ სევდიან ჩანაწერებში,
იმ დღეთა ფონი, ნაღვლიანი, მუდამ დარჩება.



## LXXV გულახდილი საუბრები ვოლიერში

შენაც გბეზრდება ეს სოფელი სულთამხუთავი,
წყლიან თვალებით ცას ახედავ, კვლავ რიჟრაჟიანს,
გულს ვისაც უხსნი, ადექი და იმას უთხარი,
მიდი, უთხარი, - ეს ცხოვრება, რომ მირაჟია.

ბევრი გიჟდება უჩვეულო როცა აქციით
და იხიბლება ათასნაირ თანამდებობით,
ადამიანის ღირსება არც  გეოგრაფიით
განისაზღვრება, რომ იცოდე, არც გარეგნობით.

მუდამ აღმასვლა ჩემო კარგო აქ ხომ არ ხდება,
ზოგჯერ სიკეთით გაბრწყინდები, ზოგჯერ ზიანით,
როგორც აზრისთვის აფრენა და დაბლა დაშვება,
ასევე არის ამქვეყანად ადამიანი.

ვინაც ამბობდა, - რაც გამშვენებს, მეტი ზრდილობა
და არა ისე, ვინმეს თავი რომ მოაჩვენო,
საკუთარ  თავთან მუდამ  გვმართებს გულახდილობა,
დაუსმევ კითხვებს და მთელი დღე არ მოასვენებ.



## LXXVI გზა არსაით

ვინაც ცდუნებას დამორჩილდა, ბედნიერია?
დამისაბუთეთ, ყველაფერი რომ ცარიელი
ოცნებებია, ეს ღიმილიც რომ ცბიერია,
გულღიაობა გადალახულ იმ ბარიერით.

ის მუდამ ცდილობს, გადაურჩეს ამ სნეულებას,
თუმცა სულ მალე, მცირე ზომის უჩნდება ლაქა,
რომელიც გახლავთ ხრწნის ნიშანი, აძლევს უფლებას,
იმას, ყოველდღე გაიზარდოს, რაც უცებ არ ჩანს.

ასე სნეულნი სად მიდიან ყველა ესენი,
სადღაც უკუნში, თან რომ მიაქვთ ეს სნეულება,
აქ ხომ ყველაზე გადამდები არის ეს სენი,
სიხარბითა და სიძულვილით დასნეულება.

მოინანია ეშაფოტზე დანაშაული,
უკანასკნელი (მას სჯეროდა), ცოდვა დარჩა იქ,
სიკვდილს ბარდება, ჟრუანტელი ისევ დაუვლის,
იჯდა, ფიქრობდა, ან რა იყო, ეს გზა არსაით.



## LXXVII პატიოსნება სამხეცეში

რაკი დარწმუნდა, უკვე მშვიდად ვეღარ ივლიდა,
გაამჟღავნებდა ალბათ სურვილს ღამეც დილამდე,
სულში ჩახედვით, იგიც სხვების სიძულვილიდან,
საკუთარ თავში ამაღლდა კვლავ სიძულვილამდე.

მას, განსხვავებით, ეგერ, მისი მეზობელივით,
პატიოსნებას ვინაც გახლდათ შეფარებული,
სიამაყე კი, მასაც ბევრი იქ სულელივით,
ხელს უშლიდა, რომ ყოფილიყო შეყვარებული.

ოფიციალურ და ამ სოფლის ფერთა ნარევით,
იდგა ისეთი ჯადოსნური იქ სიწარმტაცე,
ერთმა უწოდა, სიწარმტაცის იმას ჰარემი,
რაც უცხო ხმებმა სურვილები კვლავ წარიტაცეს.

და ეს კი, ვიზეც ვყვებოდი და თვალი მომწყვიტა,
ისე ამაღლდა,დაიწმინდა, აღარ ირევა,
მან ცოდვას თავი აარიდა და გადაწყვიტა,
ხორციელ ლტოლვით ატეხილის იგნორირება.



## LXXVIII თუქსუსიადა

### 1

ეს თუქსუსები გულს მირევენ  და აშარები
ღირსია ბევრი, იმ დღის, რა დღეც ღმერთმა არგუნა,
მათ სიყვარული  არ იციან და ლაჩარები,
ასე მიდიან სიძულვილით  იმ დასასრულთან.

რომ სიყვარული ადამიანს რწმენით აღავსებს,
თვისი სიდიდით აქ არაფერს რომელიც არ ჰგავს,
თუმც უძლურია ის წმინდანთა რწმენის წინაშე,
წმინდა რწმენასთან კუდიანიც კი ძალას კარგავს.

ბრძენად იქცევა იგიც, როცა ღრმად ჩაეფლობა,
იმ მყრალ ჭაობში და სიმღერას მისას იმღერებს,
აქ ნებისმიერ გამოჩენილ შესაძლებლობას,
მის სასარგებლოდ ყველა მუდამ გამოიყენებს.

მისებურად კი ამ ამბიდან გამოაქვს აზრი,
(თავისებურად აქ რაღაცით ყველა ერთობა),
ვერ შეუგრძვნიათ სიყვარული ასე მიბაძვით,
როცა ორმხრივი გაგებაა ურთიერთობა.



**2**
თვალწინ დამიდგა ის დღე, როცა ის გაასვენეს,
ასე დადუმდა,... იქაა და არაფერს ამბობს,
შვილს, ვით ჯარისკაცს, მწარე ფიქრი აღარ ასვენებს
და ღამღამობით ბალიშს ცხელი ცრემლებით ალბობს.

ჩვენშია იმის გადაწყვეტა, თუ წავალთ რა გზით,
ჩავეხუტებით და მივიღებთ თუკი მზისა ფერს,
განიწმინდება ჩვენი სული ღმერთის მიბაძვით,
ბოლოსდაბოლოს, ასე წავალთ სიკეთისაკენ.

ღრმა სულიერი და დიდი ხნის გარდაქმნის შედეგს,
რაც მიიღწევა საკუთარი თავის შეცნობით,
მას დრო გაჰქონდა ხალხთან თბილი ურთიერთობით,
რაც ჯანმრთელობამ უღალატა და ა. შ.

მისი ცხოვრება კი საოცრად უბრალო გზაა,
სახეზე ფერი აღარ ედო, ფერი მეტყველი,
ბოლოს რომ ვნახე, ერთზე ვკითხე, თქვა, -ის არც რაა,
თუქსუსია და აზროვნებით ახლომხედველი.



## LXIX

შენ კი ორეულს მერამდენედ წვდები კისერში,
(შორიდან მესმის საყვარელი ქალის კვლავ კვნესა),
შემდეგ კი  ვიღაც, დაბალ ხმაზე დაუკრავს გერშვინს
და სიგიჟეში ნდობის მარცვალს ისევ დათესავს.

ახალი გზებით გამიტაცა ახლაც ცხოვრებამ,
თვალდახუჭული ისევ სადღაც მივექანები,
მისი ღიმილი კი იქნება სულის ცხონება,
რომელიც არ ჩანს...  ისევ გზისკენ გარბის თვალები.

ქიანურდება მეტისმეტად ახლაც პასაჟი,
ამოვიკითხავ მის სახეზე ახლაც დროებას,
მთიდან მოსული ნიაღვარი, როგორც მასაჟი,
-მწამს უხმაუროდ გააცოცხლებს გარემოებას.

დამელოდება ოცნებების საძინებელი,
მბჟუტავ ფიქრებით, ახლაც თვალი ვერ აიტანს რულს,
სასაცილოა სიყვარულის მაძიებელი,
ახალის ხათრით ვინც ღალატობს მის  ძველ სიყვარულს.



**LXXX**

მეოცნებეს თუ სილამაზე გვერდით ეგულვის,
გზად მიაბიჯებს, იგიც მორიგ ჩანაფიქრებით,
განსაცვიფრებელ შთაგონებით გამართლებული
ცრუ თავმდაბლობით ხორცშესხმული მაგალითები.

გზად სიყვარულის მაძიებელ მეოცნებებთან
ახალ პოზებში  არ შორდებათ კვლავ გორგონები,
ფორტეპიანო მსუბუქ ჟღარუნს აიტანს შენთან,
თუ სილამაზეს კვლავ ღიმილით დაემონები.

ეს ნაბიჯები, ასე ლაღად წინგადადგმული,
შენ ყოვლისმომცველ ბრწყინვალებად რომელსაც ჩათვლი,
ლამაზი ქალი არ გშორდება მთელი ზაფხული,
მზად ხარ მის გამო კვლავ საფრთხეში  ჩაიგდო თავი.

საყოველთაოდ გავრცელებულ ჩვეულებიდან,
დამაფიქრებელ მაგალითებს ვინაც ავლენდა,
ინტუიციის იმ საოცარ მიხვედრებიდან,
ის პოეტური მოგონებით იქვე დანებდა.



## LXXXI ტალახით ნაშენი ქალაქი

ჭეშმარიტება დადასტურდა ბევრჯერ წარსულში,
სიტყვატა ზუსტი მნიშვნელობით მოდის ზიანი,
ელდანაკრავმა ჩავიხედე ტყუილად  სულში,
რადგან იქ უკვე არ სახლობდა ადამიანი.

თქვი - ვინ იყავი და როგორი გტანჯავდა დარდი,
სულში დაგროვილ ჩანაწერებს ან ვის უმალავ,
ვწუხ, კლასიკური საგანძურის მფლობელიც გარბის,
და ცათამჯენი ვერ აჩუქა ტალახის ქალაქს.

მან სილამაზეს მერამდენედ მიაყურადა,
შენ გაგიკვირდა,თქვი -ხორციელს ასე რად მონებ?
სიამოვნების ჩაიხუტა იმან ყულაბა,
მარადისობის ვინაცაა იმედის მქონე.

ტალახიტ ნაშენს, საუბარი იმ პრობლემებზე,
აღარ გეხება და გამშვიდებს ოდა ფიცრული,
ოცნებანი რაც დაასვენე უცხო ხელებზე,
ის, სილამაზის ძველ სკივრიდან ამოზიდული.



## LXXXII

ვიცი, აქედან სინანულის გარეშე წავალ,
ან თქვენს შემყურეს, მითხარ რისი იმედი მქონდეს,
ვერ მიეჩვია ჩემი სული თვალთმაქცურ ჰავას,
როგორ არ  მინდა ეს სიყალბის ქარი აქ ქროდეს.

ბევრს ხომ ისედაც სატრაბახო არაფერი აქვს,
ვინაც არ ცდილობს კვლავ მართალი კითხვების დასმას,
გაიძვერობის უღრან ტყეში კიდებენ ჰამაკს,
მაცდურ ბილიკებს რაც მიენდნენ და სხვისი არ სწამთ.

ვინაც გიყვარს და გულის წუხილს ვინაც მუდამ სძლევს,
ის უნდა ნახო, შენ წამებში გაოცებისას,
სული გიტოკავს მის სახელის გაგონებაზე,
უზენაესის, ვით არსების მოგონებისას.

აგერ ის კაცი, საუბრისას ხმას რომ აბოხებს
და ბოლო იმედს ფანტაზიის წყალობით შველის,
სხვაზე ნაკლებად წააგავდა დღეს მეამბოხეს
და დღის  ბოლოსკენ, გააღვიძა სულში მაშველი.



**LXXXIII**

სხვადასხვა წლები, პერიოდი, როგორც წესია,
ადამიანში ბუნებრივად ცვლილებებს იწვევს,
ვით ჩვეულებრივ, აყალიბებს კაცს პროფესია,
გადაეჩვევა როცა უკვე იმ წესს და იმ წრეს.

დიდი ხნის მერე, გიკვირს, ასე არ იყო გუშინ,
ღიმილი ახლა მის სახეზე ქრება, ხან ჩნდება,
მისი მსჯელობა ადრინდელზე უფრო პირქუში,
როგორც სიახლე (ვითარც სხვაგან), მალე ბერდება.

ეჭვიანობის ობიექტი ხშირად არ იწვევს
იმ ეჭვს და მისი საქციელიც სხვა რამეს ფარავს,
დროა მკითხველი ბევრ რამესაც თავისით მიხვდეს,
წინ  გაირეკოს დღემ ბუნდოვან ფიქრების ფარა.

უმშვენიერეს ქმნილებებით ვინც მკურნალობდა,
(როგორც მკთხველი უახლესი, კარგი წიგნებით),
პოლიტიკოსზე გამეცინა, ბრბოს ძალას გრძნობდა,
არ აშფოთებდა და ართობდა ახალ მიგნებით.



**LXXXIV**

ჩვენი შვილების სიხარული როგორ გვახარებს,
ახლაც ცრემლებად დაიღვრება ზეცა ობლებთან,
ყველაზე მეტად ნათელია ის წმინდა მხარე,
რომლის შესახებ სულ ვსაუბრობთ ჩვენ ახლობლებთან.

შენ  გიხარია გათენება, მზე რომ ფრთებს გაშლის,
საღამოც დგება, რაც ფიქრების დიდი აცმაა,
როგორც ყველანი, ვყალიბდებით ჩვენ ბავშვობაში,
დღეც ასევეა, დილიდანვე იცი რაცაა.

მიჩვეულიდან ისევ უჭირს მას გადაჩვევა,
ვინაც ბრწყინავდა ადრე, მუდამ თავსგასულობით,
ღამეა, თუმცა ადვილია მისი გარჩევა,
აკვარიუმში როგორც თევზის მოხაზულობის.

ხედავ ვერაგულ ამ ხაფანგებს დუმილი მოსდევს,
გაჩუმებული შემოდიხარ უკვე  სხვა კარით,
როგორც მის ღიმილს არასოდეს ჩათვლიდი მოწმედ,
-თუმც სიუჟეტთან რაიც მუდამ კავშირში არის.
-



## LXXXV ლექსმწერი

მკაცრ შეფასების კრიტერიუმს ჩვეულ უნარით
უნარჩუნებდა ვინც კრიტიკულს მის აზროვნებას,
სიკეთისათვის მებრძოლთ რიგში ვინაც სულ არის,
უკეთესისკენ შეიცვალოს რათა დროება.

ზურგი აქცია, ყველამ ვისაც გაკარებია,
ასევე მათაც, წრფელი გული ვინაც აჩუქა,
ჰოდა, არცერთ ქალს, რომელიც კი მას ყვარებია,
მისთვის ამ გრძნობით არასოდეს უპასუხია.

არაა ფანი დადაფნული აღიარების
და გვირგვინების გაცილებით უკვდავებაში,
გართობს ჭეშმარიტ უკვდავების ნაზი ღარები
რომელიც ცოცხლობს  მასში მუდამ, მის გონებაში.

მონოლოგების მღელვარება, თავაწყვეტილი,
მსმენელი მოწმე უჩვეულო ხშირად გარეპვის,
ყველაზე ტკბილი სასჯელია, ხშირად წერტილი,
სახრჩობელაზე ამავალი განწირულ მსხვერპლის.



## LXXXVI

წერის მანერას, როგორც სულის გარეგან ფორმას,
არამგონია თუ ოდესმე ის შეიცვლიდა,
სუსტმა ნიავმა მას საღამო გადაუფორმა,
ისე ლამაზად (იცის სატრფოც იქვე დაიცდის).

ვინაც ტრაგიკულ სამოსელში ეხვევა თვისით,
მელანქოლიამ რაც შეუქმნა დისჰარმონია,
მარტო მეგობრებს და საყვარლებს ესმოდათ მისი,
მხოლოდ ისინი ჭვრეტდნენ მასში კარგ ადამიანს.

მას შეუძლია ის რითმები ქვესკნელიდანაც,
ამოიღოს და იმავ წუთში ვარსკვლავს წაართვას,
აქ მოქმედება ვითარდება რომ მთვარიდანაც,
და სიუჟეტნი ერთმანეთში იწყებენ ათვლას.

ახალი ღამეც მოვარდება მორიგ ნადავლით,
ვიღაც ჯოჯოხეთს უძლებს, ის კი შედის ედემში,
ეს კი ისეთი ხელუხლები არის ამბავი,
როგორც ვერაფერს ვეღარ  შეცვლი ნამდვილ  შედევრში.



## LXXXVII ფრონტელ მეგობარს

სიტყვა „ცდუნება“ თურმე ბერძნულ სიტყვიდან მოდის
და ნიშნავს ტყუილს, რაც გიბიძგებს ბოროტებისკენ,
მუდამ კარგ  შედეგს არ მოიტანს აყოლა მოდის,
შენც კარგად იცი, სად მიდიხარ, როგორ და ვისკენ.

ერთს ნელი ცეცხლი კვლავ  შეუნთეს მწარე რეპლიკით,
მაინც არ გატყდა და თქვა მათი  შესანდობარი,
ვინაც ცრუ გზაზე მიდიოდა და ასე ფიქრით,
გაყიდა ყველა, ჩააბარა მტრებს მეგობარი.

შავი  დღეები ძილს გიფრთხობენ, ოდითგან კრული,
ერთი სული გაქვს, მოიშორებ როდის ამ ხუნდებს,
სულიერების იმ პასპორტით ესთეტიკურით,
შენ ხალხში დგახარ, შენს ძალებში აქ რომ დარწმუნდე.

გუშინ ცალთვალა შემომიჩნდა ერთი მეკობრე,
(ო, თქვენ რომ არა, უსათუოდ ჩავიძირები),
არ ვსაყვედურობ არასოდეს ფრონტელ მეგობრებს,
მე მაოცებენ ზურგში მყოფი ფსევდოგმირები.



## LXXXVIII უჩვეულო მგზავრი ქალაქში

გზად მიდიოდა ერთი კაცი, გულზე იარა
ჰქონდა მრავალი და გახადა იგიც საჯარო,
ნახა ქალაქი, თქვა, ქალაქში რომ შეიარა,
-კაცობრიობას ელოდება უფლის სამჯავრო.

როგორ და რა გზით დამთავრდება აქ ყველაფერი?
როდის იქნება, იქნებ ღამით, ან რომ ინათებს?
მას კითხა ერთმა და პასუხად ესმა გარკვევით,
-იმ სამჯავროზე, ვიცი თავს რომ ვერ გაიმართლებთ.

ადამიანებს, აგერ გუშინ, რომ ატყავებდით,
ლამაზ ქალაქებს რომ ბომბავდით და წვავდით რუბენსს,
კაცის ტყავისგან ხელთათმანებს რომ აკეთებდით,
გონების რჩეულთ უჩვეულო მახე დაუგეთ.

ჩაიძირება ყველაფერი, არ გაპატიებთ...
თქვი, ხალხმა რა არ ჩაიდინა, რაც სულ იომა,
გთხოვთ გონზე მოდით და სიკეთის დროშა აწიეთ,
ო, ღმერთო, ღმერთო, შენ უშველე კაცობრიობას!



## LXXXIX

ფიქრში,ბავშვობის მან შეაღო ლამაზი კარი,
კედელზე წაშლილ  ნაწერს ეძებს, სად რა წერია,
გახსოვს ხილვებში გვიძებნია მშობლების კვალი,
მზით განათებულ იმ ნანგრევებს როცა ვწვევივართ.

სასწაულების ახლაც სჯერა მის ლამაზ თვალებს,
როცა თვალები მუდამ გულის გასაღებია,
იღებს გასაღებს, აღებს კარებს და სილამაზეს,
სტუმრობს იმწამსვე, სადაც თურმე ელოდებიან.

რაც ფული ჰქონდა, მუდამ სადღაც ის ინახავდა,
თავისთვის იყო, უიღბლობას მუდამ ჩიოდა,
არ დახარჯავდა არაფერს და მყის დამალავდა,
არც რესტორნებში, არც ქალებში არ დადიოდა.

თუ ბავშვობაში ბევრი რამე მან დაიბრალა,
აწამებდნენ და აღარ გატყდა, რაიც მოუხდა,
დღეს კი ადგა და თვისი თავი მან შეიბრალა,
არამგონია ეს კარგ რამეს ახლა მოუტანს



## CX ახალი წელი ვოლიერში

ოცდათერთმეტში აქ დადიან უმაკიაჟოდ,
რადგან ამისი თავი ახლა არავის არ აქვს,
კოცნაზე კოცნით პასუხს ისევ , მითხარი რა სჯობს,
ღიმილით სავსე სახეები თუ ყველას დააქვს.

პირველი ჭიქით დიასახლისს ადღეგრძელებენ,
(ყველას თავისი ნახევარი ბოლომდე ხიბლავს),
ძალად ღიმილსაც იქ ბუნებრივს მიუერთებენ,
ქალიშვილობის გვარს იხსენებს ბებერი ვირთხა.

ატმის ხილფაფის კრუასანით ხელში ფაკირი,
ამბობს, ეს წელი იშიმშილა, ელოდა ამ დღეს,
უფრორე ამ წუთს, არ უხდება მას ხარაკირი,
და თქვა - თორმეტი საათია, ყველას ვთხოვ, ავდგეთ.

საოცრებაა ვოლიერში ფოიერვერკი,
არ გამოტოვა მან წყალობა ახლაც ბედისგან,
უკმაყოფილოდ თავს აქნევდა ნიღაბში ერთი,
ვერ გაერჩია ტრაგედია კომედიისგან.



## XCI

ოჰ, ენავ, ენავ, მისახრჩობი ხშირად როცა ხარ
და ისეთ რამეს ამოქექავ  რაც არსად ყრია,
სულ რატომ ფიქრობ, უცოდველის ცოდვას ინახავ,
ზოგის ქება რომ უადგილო ანდა კარგია.

შენ რომ არ იყო, ასე კარგად ვერ ვიცინებდი,
ახალ ამბებზე, ძველ ზღაპრების ელვარებაზე,
შენი ლაქლაქით მონუსხული ჩავიძირები,
როცა ფიქრებში, მაშინ ღიმილს ხშირად ვეღარ ვძლევ.

ნაძირალების ზურგზე ხშირად იშხუილებენ,
უტლაშუნებ და უტლაშუნებ, შენ როგორც გინდა,
ამდენ მათრახებს ანუ ენას ვერ გაუძლებენ,
მათი სიმართლე  აქ სიცრუედ თუკი დადგინდა.

მიწისქვეშეთში ყველა საგნის იცი სახელი,
შეუძლებელსაც ხშირად შეძლებ, თუა საჭირო,
იქნები სულის საიდუმლოს მუდამ გამცემი
და სულ გვავიწყებ, ენას კბილი რომ დააჭირო.



## XCII

ფეხი აუწყო მან თანდათან  ამ გრადაციას
და ვერ გაექცა (თუმც არავინ უკვე არ იჭერს),
იქ სხვაც ამჩნევდა მის ყოველ ყალბ ინტონაციას,
თუმც არ იციან, მას აბსურდი რა როლს ანიჭებს.

კვლავ მოგიბრუნებს თუ მოძახილს უცნობი ექო,
გაგიკვირდება, არაფერი შეგრჩება ხელში,
როცა პრობლემას შეიძლება მყის შეეჩეხო,
გადამღლელი დღის ნებისმიერ ბნელ მონაკვეთში.

იქ საყვარელი ხედავ შენი კომედიანტი,
აბსურდს თამაშობს, კმაყოფილი მიარხევს სხეულს,
დაატარებენ ღრმა გრძნობები, კედელს მიაფშვნის,
როდესაც ღიმილს და სამყაროს არარად ქცეულს.

არავინ იცის, ის  წუთები რას გააჟღერებს,
დროის ხარხარმაც ვერ აღმოფხვრა გაუგებრობა,
ვგრძნობ ეს საღამოც ახლებურად გამოამჟღავნებს,
ადამიანში ჩამარხულ ამ შესაძლებლობას.



## XCIII

მახსოვს იმ დღესაც შანსი მისცეს, რომ ყოფილიყო,
თურმე  ყველაზე ლამაზი დღე მთელს ცხოვრებაში,
ვერ  შეიფერა  დღემ, პასუხად მონახა ვიწრო
საფეხმავლო გზა, ეკლიანი და უთხრა, გასწი!

დილიდან ყველა საფიქრალი თავისით მიწვა,
იყო საღამო უაზრო და არაფრისმთქმელი,
ნაქარბორიალ სიზმრებისგან მოჟამულ მიწას
დღეს მერამდენედ აწუხებდა ფიქრი თვითმკვლელის.

გადაგდებული ოცნებები კვლავ იკოცნება,
იმედის სხივით,რაც მანამდე წასვლას ცდილობდა,
ახლა მან სიზმრის ახდენაზე კვლავ იოცნება,
წუხელ რომ ნახა, ქვაზე იჯდა და რომ ტიროდა.

ამ ხარხარისგან  შეიძლება გულიც გაუსკდეს,
მორიგი დღეც ხომ ძველებურად მისთვის ომია
და სადღაც გარბის, თავს უშველოს, კვლავ რომ დაუსხლტეს,
ადამიანურ ყოფითობის ანტინომიას.



## XCIV

მასაც ამ გზაზე უჩვეულო ბევრი უნახავს,
სიცილ - კისკისით რაც აუყვა ცხოვრების კიბეს,
ამ ყოველდღიურ წვრილმანებში, მას გაუწაფავს,
არც კი უგრძვნია, ამ ყველაფერს ეფარა რიდე.

ახლა რომ ფიქრობს, იმ ღიმილებს ხარჯავდა რაში.
და ახსენდება რაც იმ დღეებს ის უცემია,
თუმც ტანჯვა ბევრჯერ უგემნია მას ცხოვრებაში,
სასოწარკვეთას კი არასდროს არ მისცემია.

როცა წვრილმანებს დაფარავდა უეცრად ნისლი,
გაჩუმდებოდა, თავისთავსი შემოსვლა სურდა,
ბევრმა ჩათვალა, რომ მშვენივრად ესმოდა მისი,
თუმც საბოლოოდ გამოცანად დარჩება მუდამ.

რაც კი ღირსებას ეხებოდა ანუ, ღირებულს,
არ გაუცვლია ძვირფას თვალზე, იმას, ოქროზე,
და ასე მისთვის მიდიოდა, იმშვიდებდა გულს,
გზას იკვალავდა ამ ცხოვრების ოღრო - ჩოღროზე.



## XCV

მიყენებული აღარ  უკვირს აქ ბევრს ზიანი
და სიკეთეზე ნაკლებს ფიქრობს ბევრის გონება,
უშეცდომო კი არ არსებობს ადამიანი,
ოღონდ ესაა, გააჩნია იმ შეცდომებსაც.

ბევრს ეს არ ესმის, იქვე სხვასაც იგივეს ურჩევს,
თუ ღრმად შეტოპავს, ის ერთგული რჩება ამ მოდის,
თვლის, სინანული უსარგებლო რომაა უკვე,
გამოსწორება გვიანია და არ გამოდის.

შენ კვლავ გაოცებს მძიმე დღეთა ბევრი დეტალი,
რაც გახსენების ღირსი თურმე უკვე არც არის,
ეს მერამდენედ  შენს ღიმილებს კაწრავს ეკალი,
შელახულია რაკი ბევრჯერ სულის მაქმანი.

ახლა, ვით უხმო მომღერალი, გულში იმღერებ,
ცივ ზამთრის შემდეგ გაუღიმებ რაც გულით აპრილს,
ვერგამოსული იმ შოკიდან, უფრთხი სიძნელეს,
რაც გააცილებ იმ ძველ ფიქრებს, ნაოჭებდაყრილს.



## XCVI

ვინც აცოცხლებდა უძრაობას, მოძრაობაში,
ანდა პირიქით, ხელოვანის ნატიფი მზერა,
დაატარებდა წინ და უკან, უაზრობაში.
აზრს რომ ჩადებდა, უხაროდა იმ ღამით მწერალს.

ალოგიკურში კვლავ ლოგიკას აღმოაჩენდა,
დუმილის დროს კი, უჩვეულო ეს რებუსები,
უაზრობისგან დაღლილ დღეებს ისევ არჩენდა,
სივრცე - დროიდან ამოსული პარადოქსებით.

განსხვავებული სიღრმეების ექსპერიმენტით
მოყავს ნაწყვეტი ამ შეხვედრის ილუსტრაციად,
გაიხედავ და -ის დაისის სიმშვიდეს ეტრფის,
მას ეს საღამო პერანგივით ისევ აცვია.

ეს ფანტაზია რომ არ იყოს, თქვი, რა უნდა ქნას,
კლავდა დუმილი, თუ მის ირგვლივ არც რა ხდებოდა,
იდგა მთელი დღე ასე მარტო, უყურებდა ცას,
იქ ძველებურად არაფერი არ იცვლებოდა.



## XCVII აბსურდის დრამის პერსონაჟები (8)

ის, მოსროლილმა უცებ ტალღამ ააგდო ზემოთ,
რაც სინანულმა კვლავ დაიპყრო, სევდამ დაფიფქა,
სურს საიდუმლოს გაუსინჯოს აქ დღესაც გემო,
თუმცა ვერცერთმა მონაკვეთმა ვერ ჩააფიქრა.

და ახლა ცდილობს გაარკვიოს, ვის ემონება,
(იმ დღეს კი ვერსად უპოვა მან მანკიერება),
სევდით აღვსილმა კვლავ დაძაბა ახლა გონება,
სურს გაიხსენოს ის სისუსტე ან ძლიერება.

ადრე, თეატრის დიდ სცენაზე როცა  აღმოჩნდა,
დღე გაახსენდა  წინანდელი, ღიმით ჩავლილი,
ღიმილებს მიღმა ის სიბნელე როცა გამოჩნდა,
მაშინ გასრისა ბოროტებამ იქვე ყვავილი.

მიუახლოვდა ერთი ქალი და უთხრა - მგელი
სულ იყავი და მეც გესროლე მზერა აშარი,
გამოუთქმელი მხიბლავს შენი ის უთარგმნელი
მიმზიდველობა და ფარული, ღრმა კაეშანი.



## XCVIII

იმ ქვეყანაში წასასვლელად გამზადებული,
ბევრჯერ ყოფილა, თუმც აქ დარჩა და ამას დარდობს,
მარტოობისთვის ვინაც იყო დაბადებული,
-და ამიტომაც იგი მუდამ ცხოვრობდა მარტო.

თავს არიდებდა ღამისთევებს, ახლაც ღრეობას
და მაგალითი გამოჰქონდა ისევ იმათგან,
აღასრულებდნენ აქ თავიანთ მოვალეობას,
ვინაც ცხოვრების მწვერვალებზე ისე ამაღლდა.

იქვე ბევრი სხვა, თვის თვალთმაქცურ დღეებს ითვლიდა,
და  სიძულვილის მწველი ცეცხლი კვლავ არ ქრებოდა,
ვინც ბოროტება, ბოროტებით გამოისყიდა -
და ყველაფერი ღვთის სახელით ისევ ხდებოდა.

ჩამოეცალნენ რიგრიგობით მას გზაზე მტრები,
და მიდის მარტო გზაზე, რაიც სწორი ჰგონია,
დაღვრილ ფიქრებთან აგებებენ თუ ტკივილს წლები,
სწორედ იქაა მისი ყოფის მელანქოლია.



## XCIX ჩვეულებრივი დღე სამხეცეში

აქ ეს დღეები სიზმარია აუტანელი,
ძარცვავენ, კლავენ (უჩვეულო ეს ხომ ტილოა),
ბევრს შენს რწმენაზე ეცინება, რადგან არ ელის,
აქ უკვე მისთვის, შენი რწმენაც სასაცილოა.

არც მეგობრობა არ იციან, დადიან ბოღმით,
სადაც არ ელის, მოღალატეც ზუსტად იქ ესვრის,
ახლობელს ზურგში... ერამდენედ მას ტკივილს მოგვრის
და მეფობს ცოდვა, დიქტატორი უსასტიკესი.

რაც დიდ სოფელში დადგა ცოდვის კორიანტელი,
დედამიწას რომ  ჩასაძირად უკვე ეყოფა,
(არსებობს კიდევ უამრავი ვარიანტები,
რაც  უნებურად, სულ ამძაფრებს მდგომარეობას).

ურთიერთობებს ძველი ხიბლი უკვე არ ახლავს,
უცნობ სურვილით უჩვეულო ქრიან ქარები,
ფიქრობს სოფლელი, ქალაქი რომ ჯერ არ უნახავს
და კვლავ აწუხებს ყვრიმალებთან ძირმაგარები.



**C ყელში ამოსული დღეები**

მისი სურვილით მას სურს ცაზე თვით მზეც ქრებოდეს,
და შეიყვარა ბევრი რამე, რაც ადრე სძულდა,
ნებისმიერი უნდა ფერი რომ უხდებოდეს,
განსაკუთრებით კი ის, რაიც გაპრესტიჟულდა.

ვიღაცა სულში კვლავ უღვიძებს ვნებათაღელვას,
თვალისდახუჭვა ბევრ რამეზე უწევს და თმენა,
მას არ უჯერებს, საუბრებში რომელიც ღელავს,
რომელსაც მოკლე ჭკუა აქვს და თან გრძელი ენა.

მასში ბევრია მზეც, ღრუბელიც, სხვაგვარად ვერ ძლებს,
ღიმილთან ერთად მის სულს ცრემლი სულ ჰყავს მდგმურებად,
ვით გაქცეული პატარძალი, ასეა ეს დღეც,
დაფეთებული აქეთ -იქით რომ იყურება.

მასხრად აგდებით, გინებებით ვერ გააკვირვებ,
მან  თქვა: იცინონ, დასცინიან საკუთარ თავებს,
მე კი ამაზე გაბრაზებას აღარ ვაპირებ,
ან სულელების დასაცინი რა აქვთ ჭკვიანებს.



## CI

ბილიკის პოვნა ამ ცხოვრების ორომტრიალში,
ჩვენ რაც გვერგუნა ბედისაგან, ძნელი ყოფილა,
ღვთაებრივ ციმციმს ვკლავთ ღამეში, ანდა დილაში,
შემდეგ კი ისევ მას მივიჩნევთ იმედის სხივად.

მძიმე დროსაც კი იმან შეძლო, რომ წამიერად
იმ ნეტარ ფიქრებს აჰყოლოდა, რაც მათთან ყოფნამ
მიანიჭა და გულზე ნაზად გადაურა,
მიესალბუნა (და პასუხმაც არ დააყოვნა).

თქვა,ფიქრო ჩემო, მითხარ სად არ დაიარები,
თქვი, სად დარბიხარ, რომ დაღლილხარ და იმალები,
თუნდაც ამდენი, ამ ნაკვთებზე ეს იარები,
რაში გინდოდა ან ვის აწყობს ეს სპექტაკლები.

მოკლედ ესაა, რაც მინდოდა და შეიძლება
ფრთხილად მომეთხრო ის ამბავი, ვინ იცის იქნებ,
ეს მცირედიც კი საკმარისი მთლად ვერ იქნება,
რომ შინაურად თავი იგრძნოს, ისევ დაფიქრდეს.



## CII გზები აბსურდიდან აბსურდამდე

ამოვარდება ამ ღამითაც აშარი ქარი,
ბოლოს კი დილა გაისტუმრებს ცივი უარით,
გზადაგზა ქარი იამაყებს მისივ ხარხარით, -
უკვირს,  საიდან  უჩვეულო ეს მონაგარი.

ელოდებიან მეზობელთან სიკვდილის აქლემს,
უცნობ მხარეში ისევ ეძებ ვინმე შენიანს,
რომ შორს გაიქცე, მას გაექცე, აქ ბნელში რაც თვლემს,
თუმცა მითხარი, სიკვდილს ვინმე გადარჩენია?

ზოგჯერ თოჯინად რომ ვიქცევით და მექანიკურ
იმ მოძრაობებს სიჩუმეში ვასრულებთ ჩვენთვის,
სხვა დროს კი ისევ ვემონებით იმ შიშს პანიკურს,
რაიც არ ვიცით რას გვიმზადებს და ვგავართ შეშლილს.

ნეტავ იცოდე, რომ მიდიხარ, საით და ვისკენ,
აქ პრეტენზიით რომ დადიხარ, მითხარი, რა გსურს,
გზები მიხვეულ - მოხვეული უცნობ მიზნისკენ,
გვაახლოებენ აბსურდიდან ჩვენ ისევ აბსურდს.



**CIII**

მისი სახელი რომ დაერქვას ირგვლივ ყველაფერს,
ამისთვის ალბათ კარგა ხანი მოცდა მოგვიწევს,
იქ ამბავს ერთი კვლავ ყვებოდა ახალ ერაზე,
ნამყოფი სადაც ის არაა, ყველას იქ იწვევს.

მთელი დღე წვიმა უწეწავდა მაშინაც ნერვებს
და შავ თვალებში ძველებურად ცრემლი არ შრება,
გაზვიადება ბევრი რამის მას უკვირს, მერეც
კვლავ უჭირს ან რას მიაწეროს  ეს გატაშება.

მას ბევრ რამეზე  თუ არ ჰქონდა კვლავ თავი დავის,
ამ ამბავსაც რომ კარგი ბოლო, ატყობს, არ უჩანს,
თუ საკუთარი შეიბრალა იმანაც თავი,
არა მგონია ეს კარგ რამეს იმას მოუტანს.

მე ის სოფელი მუდამ კარგად მემახსოვრება,
ბევრს საცხოვრებლად მოეწონა და იქ რჩებოდა,
სტუმრის პატივი და  ხალასი მათი ბუნება,
კვლავ უჭირს, ან რას მიაწეროს ეს გატაშება.



## CIV სიყვარულის რაფსოდია

ახალგაზრდულ წლებს  ალამაზებს ემოციები,
რაიც სიბერეს არასოდეს არ მოუხდება,
ვით ნაზ სიყვარულს გათოშილი ხელით იები,
სატრფოს რომ აწვდის და ლილისფერ  თვალებით თბება,

მასთან შეხვედრა მუდამ უხმობს სულში გაზაფხულს,
როგორც მზის სხივი, თავის ქსელს რომ ყველგან გააბამს,
ვეღარ პოულობ შენს თავს როცა მასში ჩაკარგულს,
მინდა იცოდე, სიყვარული ქვია ამ ამბავს.

მას კი მძიმე და სევდიანი უდგას დროება,
გარეთ რაც სევდა დათარეშობს ცრემლით და ქარით,
არ აპატიეს უჩვეულო დღეთა როლებმა,
სატრფოზე ფიქრი, სანატრელი თავსესაფარი.

მშვენიერება ემოციებს ისევ ელოდა,
როცა ეწვია, კითხა, ნუთუ ახლაც გახსოვდი?
ის გაიხსენე, ფანჯარასთან ვინც გიმღეროდა,
-მოხეტიალე მომღერალი, ანუ რაფსოდი.



**CVI აბსურდის დრამის პერსონაჟები (5)**

ვინც სულ ეტრფოდა მარადუჭკნობ ყვავილის სურნელს,
პოეზიაში ვინაც ახალ ჰორიზონტების,
იყო გამხსნელი და ებრძოდა სენს განუკურნელს, -
მას აბორჯებდნენ სიზმარშიაც კორიბანტები.

საბოლოო აზრს კი სიკვდილის სურნელი ასდის,
კაშკაშა შუქი როცა ქრება, იცის ღვიძილმა,
სიჩუმე დაფრთხა შეძახილით, აქაა  აზრი...
რაც დაასრულა ხელოვანის უცებ სიკვდილმა.

მას ერთგულობდა აბსურდული ასკეტურობა,
როს მარტოდმარტო თავისთავთან მშვიდად რჩებოდა,
თან აოცებდა მავან ქალთა კოკეტურობა,
ვინც ილუზიის ვარდებით კვლავ იკვებებოდა.

პერსონაჟებით კმაყოფილი თუ არ რჩებოდა,
ახალ ამბების აკვანს იგი მისთვის არწევდა
და უჩვეულო, ისეთ ფორმით ქმნიდა მსჯელობებს,
რომ ნებისმიერს ახლა ეჭვებს გაუქარვებდა.



## CVI აბსურდის დრამის პერსონაჟები (3)

ის ამ დილითაც დაიბადა ისევე მშვიდად
და გაღიმებას მისას მოყვა  სხივი ციური,
რაიც გამოყვა წუხანდელი მას სიზმრებიდან,
რაც არ  ყოფილა აგრერიგად ამბიციური.

დილას კი მოაქვს ის, რაც გრძნობებს   აღაფრთოვანებს,
საღებავები ზეთისაა ან აკრილები,
რომ ფერწერაში ის განკურნავს, იცის  იარებს,
ღარიბი, თუმცა მშვენიერი ქალიშვილების.

ხატვისას იქვე, ის ლამაზმანს ფლირტებით ათრობს,
ამბობს - ცხოვრება საოცარი თურმე ტილოა,
ათასნაირი შეიძლება მან დღე მოქარგოს,
პასუხად ესმის, -  ვერ გავიგე.. რა საჭიროა..

მშვენიერება ემიჯნება მოუსვენრობას,
პირველყოფილი მოქანდაკის იმ შეძახილით,
მოუწესრიგა ნდობა, როცა თხოვა შენდობა,
სილამაზისკენ გზას გაუყვა მშვიდად  მარხილით.



**CVII**

აქ პირდაპირი მიზნის გარდა სხვა ყველაფერი,
რაც კი უცხო და უმნიშვნელო რამ საქმე ხდება,
ხშირად აზრს ჰკარგავს, - სხვა არ ახსოვთ მათ არაფერი,
( თან არ იციან, ოცნებანი ვისი ახდება).

თუ მიმოხვრაში სხვაზე მეტად ისევ ამჟღავნებს,
ყველაზე უფრო ნერვთა მომშლელ ახლა ამ წამებს,
იგიც წავა და ამ მოწყენას რაც გააჯაზებს,
გამობრუნდება და დაუწნავს იმას ნაწნავებს.

როდესაც იცი, ამ ყველაფერს უკუნი გასდევს,
მის უკან კი თვლემს ის უძირო სიცარიელე,
რომელსაც თურმე ვერაფერი ვერ ამოავსებს,
შობს სისასტიკეს და არ იცი როდის იელვებს.

ბნელ მორევში კი სულ იდუღებს ველური ძალა,
თავს ვერ მოთოკავს რაც ვნებების ოკეანეში,
საინტერესო დასკვნა კი ბევრს ისევ შეზარავს,
ყველაზე მეტად განათლებულ საუკუნეში.



## CVIII

ჩამოეკიდა ყველაფერი რაც მოდის კაპრიზს,
უღიმილობა ხალხს ახრჩობდა და პასუხს სთხოვდა,
საქმოსნები კი სთავაზობდნენ ხან არას, ხან კის,
რადგან საეჭვო წარმოშობის სულ იყო მოდა.

სხვათა ქონების შეფასებას ის შეეჩვია,
ათას ხრიკების მანევრებით გამოხმობილი,
მით სულდგმულობდა, ის ქვეყანას რადგან ერჩიათ,
ის სულთმობრძავის სარეცელთან დღეს დამხობილი.

ის მათთან იყო, ბევრჯერ ვნახე მათთან ერთადაც,
როცა არჩევდა უჩვეულო ახლა ამ ფერებს,
ვეღარ გაექცა (თუმცა ვიცი, ბევრჯერ ეცადა),
თვისტომთა შორის გავრცელებულ ამ მისწრაფებებს.

ხალხის ხმაურში იგი დაჯდა, როგორც ფაკირი
და უკრავს მათთვის (რაც არასდროს არ არის გვიან)
ხედავს რომ სულთა დერეფნებში ათასნაირი
ღიმილნარევი ოცნება და ცრემლები ყრია.



## CIX

შიშველი აზრი ფორმას ეძებს და ვერ პოულობს,
შემდეგ კი ხედავს ის, გრძნობებით ანთებულ სხეულს
და აწი ყველა  შემთხვევაში მისთვის ლოცულობს
და მას შენატრის, ჩუმად, წარსულს , აქ გადაჩვეულს.

დილის სხივი კი მის ხასიათს ისევ შუქს მოფენს,
ესთეტიკური მისი კრედოც იძენს უფლებას,
იქ სიმარტოვის განცდა ფიქრებს, ვიცი მისცემს ფრთებს,
მოუშუშებელ ტკივილებს რაც განეკუთვნება.

მბორგავი სული, სიმშვიდეში ანაწყობს დაშლის,
როცა ღიაა დილიდანვე ყველგან კარები,
მისთვის პირველი მუდამაა საგანთა არსი
და არა ვინმეს სახელი და გრძელი გვარები.

არ ასვენებენ უჩვეულო მას ღამეები,
თავს ახსენებენ გრძნობები, შორს გადაკარგული,
იმ ბუნდოვანი, მისტიური აღსარებებით,
მათ აღარ  მოაქვთ არც  ზამთარი და არც ზაფხული.



**CX ყელში ამოსული დღეები -2**

ერთხელაც უთხრა სიცივისმთქმელ  მან გულგრილობას,
თითქოს ვიღაცის ასრულებდა ისიც დაკვეთას,
როდესაც იგრძნო შემზარავი მარტოსულობა,
ხელაწეული რაც ჩაბარდა სასოწარკვეთას.

დადგა ზაფხული და  აწუხებს ცხელი ივლისი,
თუმც მიეჩვია  და  ყველაფერს მშვიდად  ღებულობს,
ეს დღე კი როგორც გაიძვერას შავი სინდისი,
ისევ  მზადაა გაუღიმოს და „უერთგულოს“.

მთელი ზამთარი, ის ბუხართან ბებერ ძვლებს ითბობს...
შემოსწრებული უცხო კაცი სპობს გარინდებას,
გაოცებული მას გახედავს, როცა შეიტყობს,
მოულოდნელად გაცხადებულ ჭეშმარიტებას.

მწამს ბევრ კითხვაზე იქ პასუხი მას არ ჰქონია,
თუმცა ამ ამბავს ძველებურად ისევ იტანდა,
უბრალო გახლდათ, თავმდაბლობა მისთვის ფონია,
რადგან იცოდა, მან შიშველი რომ დაიბადა.



**CXI პერსონაჟები ვოლიერში**

შუახანს გასცდა, მერამდენედ ის მეორდება,
სტუმრად წასული, იღიმება, სადად აცვია,
და შეგრძნება აქვს , რომ კარებთან სულ ელოდება
ცხოვრების წიგნის ხალხმრავალი პრეზენტაცია.

ის ბავშვობა კი ჩაიკარგა სადღაც სიზმრებში,
ახლა რომ  სადღაც  უპატრონოდ ათოვს და აწვიმს,
მწარედ აფიქრებს  მას წარსულიც უცხო მითებში,
ეს მზეც, რომელიც ჩაესვენა ახლა მის თვალწინ.

აქ სევდიანი სიმღერები აღარ დამთავრდა,
(მას თურმე გულზე მერამდენედ გადაუარეს),
გამაჟრჟოლებელ იმ ცრემლების ახლა არ სწამდა
და აღარც ერთ აზრს იგი უკვე არ იზიარებს.

მუდამ ჰგონია, მას საღამოს სადღაც ელიან,
და წასასვლელად სულ მზადაა,  (ეტყვიან რა დროს),
მისტიციზმი კი  სევდიანი საბურველია,
ცნობისმოყვარეს  რაც გაუჩენს  კვლავ  ახალ საზრდოს.



## CXII ავტორები და პერსონაჟები

გახსოვს ის კაცი, ის დღეები რომ ითამაშა
და უშეცდომო სიყვარულით რომ ამაყობდა,
იქ ახალგაზრდამ, ერთხელ მუშტი რომ უთავაზა,
ვინც, უჩვეულო ეგზემპლარი ვარო, ამბობდა.

იქვე ქუჩაში დადიოდნენ უშინაარსო,
ლამაზ თვალებზე უფრო მეტად ამპარტავნები,
უსიზმრო ძილით, რაც ახდენილ ოცნებას არ ცნობს -
და დამფრთხალები იქ ქალები, კენარტანები.

ვინც ნატურასთან მუშაობდა ის პერიოდი,
როგორც მხატვარმა თვისი თავი მან აიძულა,
რომ შეემეცნა ის ბოლომდე, (მისთვის ვტიროდი,-
უთხრა მეგობარს) და ის ჟამი სწამს თაიგულად.

თუმც პერსონაჟი მის ავტორზე რაც მაღლა დადგა
და თავბრუდამხვევ სიუჟეტებს აქეთ ეტყოდა,
საოცარია, ჯერ  შემოქმედს გაუთანაბრდა
და წინ გასწია, რაც ავტორი ჩამოიტოვა.



## CXIII პროფესია სიგიჟე (მეგობარ პოეტებს)

თუ თვითმკვლელობას მერამდენედ შენ დააპირებ
და სულიერი შემოტევის გხიბლავს იდეა,
იქ დარწმუნდები, ერთადერთი, რაც თავგზას გირევს,
ესაა  შენი პროფესია, რაც სიგიჟეა.

იუმჯობესებს ნამცხვრის ჭამით თუ სხვა ხასიათს,
შენ ღამეს ებრძვი, არ შორდები სანამ არ შეგშლის,
ჩაგესმის ხმები იმ ხარხარის, რაც სულ გზაშია,
ან სხვანაირად როგორ გინდა დაწერო ლექსი.

გაგახსენდება, ის ვინც გიყვარს და რომ არ ჭკნება,
სულში წამოშლის ათასნაირს ვინაც სიმღერებს,
თუნდაც წაართვან სილამაზეს იგი კლანჭებმა,
ლოყებდაღმექილს ჩააბარონ რაგინდ სიბერეს.

შენ ხარ პოეტი, გეექვება გაძლო დილამდე,
ყველაზე ახლოს, რომ იცოდე, თვით მზეც მიგიშვებს,
ემოციიდან კვლავ საზრდოობ ემოციამდე,
-რადგანაც შენი პროფესია არის სიგიჟე.



## CXIV პროფესია სიგიჟე - 2 მეგობარ მხატვრებს -მამუკას და მურთაზის

ჩალით დახურა, ქოხს აჩუქა თბილი ფერები,
ცივი ფერწერა ამ სურათში ვატყობ თავს იკლავს,
გაიღიმა და თვალით ნახატს ის ეფერება,
ამბობს - ვინა თქვა, მოძველდაო თითქოს კლასიკა.

გასამხნევებლად შემოვიდა იქ ახლობელი,
შებინდებისას ის ღიმილით სახლში ეწვია,
ჩვეულებრივი ვინაც იყო დედამიწელი,
და ახალ ამბავს რომ უყვება, ისიც ბლეფია.

მათი ოცნება ერთი ქალის ღიმილს ანკესად,
გამოედო და მის გარშემო დიდხანს დარბოდა,
არ  ავიწყდებათ კეკლუცობა მისი, სარკეთან,
(ის თან ხატავდა, თვითონ ცოტას ლაპარაკობდა).

სურათზე უკვე თენდებოდა, რასაც თან ახლავს,
ის მტრედისფერი და რაც ხიბლავს სხივთა ფრთებია,
ბოლოს გახედა დილას, ანუ საკუთარ ნახატს,
და თქვა -რა მალე თურმე თავზე დამთენებია.



## CXV ურწმუნოს აღსარება

არ მომწონს თქვენი საქციელი შეშინებულის,
როდესაც ფიქრობთ - აქ არაა თქვენი ადგილი,
ცდილობთ გაქცევას, გიკანკალებთ გული დაღული,
თქვენი ყურება კი არაა იმ დროს ადვილი.

იცეკვეთ და მით შეებრძოლეთ დაკომპლექსებას,
ცეკვა არდაცვით ყოველგვარი ახლა ეთიკის,
გწამდეთ, ყველაფერს დაამარცხებს გამოცეკვება,
ჩვეულებრივი როდესაც ხარ ეგოცენტრიკი.

ისევ ზოგადი დოგმები და არარსებული,
სიწმინდის დაცვა მორიგ დღესაც კვლავ გამოება,
დათრგუნულობა არსობრივად ოდით დაღულის,
ვინაც არ იცნობს თვისი სულის უსაზღვროებას.

არ სურთ დაემსხვრეთ ერთად ყოფნის ეს მექანიზმი
და იგონებენ ათასნაირს აქვე აქციებს,
ნაკლებად მინდა მე მჯეროდეს თქვენი ქარიზმის,
რაკი ბოლომდე მორჩილდებით რეგულაციებს.



**CXVI**

რაც მოდერნიზმმა პერსონაჟებს გააფრენინა,
თვით უვალ გზასაც დაამჩნია კვალი ტორების,
ცხელი დღეები წინ და უკან კვლავ არბენინა,
ფანტაზიებით შორს წავიდნენ რაც ავტორები.

უმისამართო, ახლაც მღლიან ეს ღიმილები,
ასე მგონია, მე ხვალ უკვე აქ არ ვიქნები,
ირგვლივ დაძრწიან შავი გულით, თეთრი კბილებით,
სინდისწაშლილი ნიღბიანი „რეალისტები“.

აუხდენელი ოცნება, ვით უთოვლო ზამთარს,
მიაჩერდება.. და გაცურავს ზღვას უნაპიროს,
მისთვის უმთვარო ღამეები ბოლომდე გასტანს,
ვინც ნერვიულად აქ ეწევა ახლაც პაპიროსს.

ის პერსონაჟიც, დილით ავტორს რაც აუმხედრდა,
გამოიყენა ის ილეთი, ჯერაც მოქმედი,
გაოგნებული, ცივი სახით მას მიაშტერდა,
საღამო,  როგორც ეშაფოტთან ბოროტმოქმედი.



## CXVII LA FINE

ამით დამთავრდა ყველაფერი, გთხოვთ დავიშალოთ,
დე გზას გაუდგეს ყველა მისას, ბურუსით მოცულს,
იქ ბნელ შუკებში თქვენი მაინც არ დაიშალოთ,
როს დაადგებით გამთენიას ბნელისგან ორსულს.

თქვი, რა გაუძლებს ამდენი ხნის უძინარ ქარებს,
ელმავალივით რაც გასცდები ფიქრთა სადგურებს,
ღიმილი ქრება, როცა სცენა შენ გაგაქვავებს
და უჩვეულო ის სიჩუმე გაგანადგურებს.

გამთენიისას კი ხმა გეტყვის -ჰა, მეც მოვედი,
თუმც შენს სამყოფლოს ჯერ - ჯერობით ისევ გარს ვუვლი,
მე სხვებისაგან განსხვავებით, ვიცი პოეტი,
რომ თავისუფალ სულად არის დაბადებული.

გზას გავუყვები, დასაბამით სადაც უვლიათ,
ვეღარ შევხვდები აწ ოცნებით მორიგ აისებს,
მშვიდი სიკვდილი ლოგიკური დასასრულია,
და შენც ღიმილით თვალს ჩაუკრავ ცერემონმაისტერს.

2018 წელი.

# კერიასთან მოსაყოლი რობაიები (სამასი რობაი)

### 1 მინაწერი რობაიების წიგნზე

შუახნის მერე, რაც რობაი მოდაში ჩნდება,
მეც მომაკითხა და მითხრა, რომ ჩემთან დარჩება,
აქვე გაათევს თურმე ღამეს, აღარსად წავა
და სამუდამოდ ჩემს აწეწილ სულს დააჩნდება.

### 2 არაფერი აქ არ შეცვლილა

სულმოკლე კაცი კვლავ წვრილმანით კმაყოფილდება,
როგორც  სიძუნწე, ხშირად ყველა ზღვარს გასცილდება,
გვტანჯავს სირცხვილი, ქედმაღლობა კი მოგვდგამს სენად,
-ამქვეყნად მაინც არაფერი აღარ იცვლება.

### 3  ლამაზი ქალის რობაი

თუ  არ არსებობს უშნო ქალი და ლამაზია,
აქ ირგვლივ ყველა, რომელსაც კი კაბა აცვია,
ამაყად დადის თუ მახინჯი და ამპარტავნობს,-
რა დააშავა ლამაზმა რომ თავზე აზიან?



## 4  ცხოვრების რობაი

როდესაც ლომი ახალგაზრდა, ბებერს მოკლავს ლომს,
ძალაუფლება რომ წაართვას, მისი დადგეს დრო,
მას უხარია  ეს ტრიუმფი და ავიწყდება,
შემდეგ სხვა მოვა და სიცოცხლეს იგიც რომ დათმობს.

## 5 საფლავიდან ამოსული ხმის რობაი

 დრო იყო, როცა, წუთისოფლის ვიყავი მგზავრი,
ვისი ზრახვებიც ბოლომდე ვერ გამოვიცანი,
ვისვენებ, მახსოვს რაც იქ ვნახეთ, რაც იქ ვეწამეთ,
მთელი ცხოვრება რომ ყოფილა ობლის სიზმარი.

## 6 ოცდაათი ვერცხლის რობაი

მძულს, მეგობრები მეგობართან გზად რომ მიდიან,
შემდეგ კი უცებ მას ოცდაათ ვერცხლად ყიდიან,
სად დახარჯავენ ნეტავ იმ ფულს, რა ჯანდაბაში
როდესაც ცოდვა რაც დაიდეს, ასე დიდია.



**7 კლოუნადის რობაი**

ჩვენ ვიბადებით ცრემლებით და  გულახდილები,
შემდეგ კი გველის ეშმაკობის გაკვეთილები,
ეჰ, კაი იყო არ გაგვევლო კლოუნთა სკოლა,
არ ვიქნებოდით მაცდურები და გაქნილები.

**7 ალი რომელიც არ წვავს და პირიქით**

თუ ადექი და დავის ცეცხლი შენ გააჩაღე,
მზად უნდა იყო  დაელოდო სხვა რამ დანარჩენს,
ნაპერწკლიდან რომ მალე ალი აგიზგიზდება,
არ გაგიკვირდეს თუ დაგიწვავს იგიც შენ სახეს.

**9 ორი რეგვენის რობაი**

მოჩხუბარებში, ერთმანეთს რომ ტალახს ესვრიან,
დანაშაული მუდამ ერთის უფრო მეტია,
იქ ჭკვიანია დამნაშავე, რეგვენს რომ აყვა,
-აბა იმისთვის ყველაფერი ხომ სულ ერთია.



## 10

სხვის სიძლიერეს ვეღარ  ვიტანთ თუ თავს ვგრძნობთ სუსტად,
ძლიერება რომ სიკეთეა, - ეს არ სწამს სულსწრაფს,
გონებაში თუ ძალა არის , ის ძლიერია,
დანარჩენი კი სუსტია და ყოველთვის სუსტს ჰგავს.

## 11 საკუთარი ძალის შეფასებისას

თუ შეაფასე ძალა ზუსტად, შენ საკუთარი,
გაგაძლიერებს მაშინ უფრო, მჯერა უფალი,
დიდი ძალები, რაიც სულში დავანებულა,
სითბოს ელტვიან და სიკეთეც მუდამ იქ არის.

## 12 გამდიდრებული ნათესავის რობაი

რად, გამდიდრებულ ნათესავს რომ მყის ავიწყდები,
ასე ჰგონია, ვერასოდეს ვეღარ მისწვდები,
ის დაავიწყდა, წუმპედან რომ ამოათრიე,
მიდი, უთხარი, -ისევ მანდ ხარ და  იქ იქნები.



## 13 სერიოზული რობაი

ნუღარ დასცინი,ამ ცხოვრების, მე გთხოვ, ნაოჭებს,
ამ საქციელით შენ ვერავის ვერ გააოცებ,
თუ არ მორჩები სისულელეს, მინდა იცოდე,
ისე დაგცინებს ეს ცხოვრება, რომ გაგაოგნებს.

## 14 სიგიჟის რობაი

გახსოვს, მითხარი, არვინაა დალაგებული,
სიბოროტისგან დადის ყველა, გაგიჟებული,
ულამაზესი რაიც დარჩა ადამიანში,
მხოლოდ კეთილი გრძნობებია, ამაღლებული.

## 15 უსაქმურობის რობაი ანუ ცის ნამი სულის მალამოდ

უსაქმურობამ მაწერინა რობაი ჰამო,
(ზოგჯერაც ვფიქრობ, ვით გავერთო, რომ დავაღამო),
მე ახლა ისე მშველის, ლექსის ყველა საზომი,
ვით ბალახს კურნავს ცისა ნამი დილა- საღამოს.



## 16 მორიგი სცენა ყველაზე ცბიერი მხეცების ხოვრებიდან

ოღონდ მის სახელს არ მიადგეს ახლა ზიანი,
მუდამ სხვის განსჯას ის ესწრაფვის პირდორბლიანი,
საკუთარ თავში კი ჩახედვა არასდროს უნდა,
-ეს იმიტომ, რომ  თავხედია ადამიანი.

## 17 პოეზია  და მეტრები

ევროპულ სონეტს, აზიურს კი, რობაის ვეტრფი,
გზაგასაყარზე მირახრახებს თან ჩემი ეტლი,
ხმა კი მომძახის, სონეტი სჯობს... არა, რობაი,
ქირს წაუღიხართ (მეცინება), თქვენ  თქვენი მეტრით.

## 18 ვისთვის როგორ

კაიფიაო, ერთმა მითხრა, რობაის წერა,
არ გაწუხებსო, ნაღდად იცი, როდესაც წნევა,
თუ კაიფია, არ მოეშვა და იკაიფე,
შენც ადექი და წერე, როცა აგიტანს წერა.



## 19 ხელოვნების უკვდავებისთვის

ისევ ის ნაკლი ამ ცხოვრების, დღეებს დღე მისდევს,
როცა სიტყვები ნაკლებია, გრძნობა გიზგიზებს,
დარჩება ძმაო, პორტრეტი და ავტოპორტრეტიც,
ოღონდ, რაც გაქრა, უკან იმას ვეღარ აღიდგენ.

## 20 ომის შემდეგ

როცა მთავრდება ომი, დგება კვლავ გლოვის ხანა,
შიმშილობს იგი, ვინც ცოცხალი დატოვა ხმალმა,
„მშვიდობას რა სჯობს“- ფიქრობს გლეხი და მოხნავს მიწას...
შორიდან ხელი დაუქნია ლამაზმა ქალმა.

## 21 ომებში გამარჯვებული არ არსებობს

ომი ყველასთვის არის ცრემლი, მოაქვს სიკვდილი,
ჭაბუკთა სისხლში რომ ბანაობს  ეშმას დობილი,
იქ არ არსებობს არც ერთ მხარეს გამარჯვებული,
-    რაც წამებაა, დედებისთვის გამოგონილი.



**22 ძირს ომი, გაუმარჯოს მშვიდობას!**

ამდენ ომისგან დაიღალა კაცობრიობა,
შენ ის მითხარი, ხალხმა რისთვის აქ არ იომა,
მინდა გაიგონ, ომი მართლაც რომ სირცხვილია,
რაც დედამიწას ალამაზებს, მხოლოდ მშვიდობა.

**23 რომ კითხო, ყველა ყოველთვის მართალია**

უბედურება მოიტანეს ქვეყნად ომებმა,
ბოლო შედეგით ყველაფერი აქ იზომება,
თუკი მათ კითხავ, ორივ მხარე სულ მართალია,
თუმცა კი ბევრჯერ, აქ ლომობაც დათმეს ლომებმა.

**24 ცრემლიანი შეხვედრები და განშორებები**

ბევრს ხიბლავს წამი, შეხვედრების, განშორებების
და სიზმარშიაც სულ აშფოთებთ ეს მომენტები,
ამით ცხოვრობენ, ამ წუთებით და ავიწყდებათ,
ცრემლიანი რომ მუდამ იყო ეს მოვლენები.



**25 ლამაზი და უშნო დღეები**

სულ ვაკვირდები ლამაზმანებს, ავლილთ და ჩავლილთ
და ამიტომაც სილამაზის სულ მადევს ვალი,
დღეს კი არავის ვალი არ მაქვს და ვზივარ ჩემთვის,
რადგან თვით დღეა უჩვეულოდ გაუპრანჭავი.

**26 გაფრენილი ოცნება**

მაშინ კი ფრთები ეკვეცება ლამაზ ოცნებას,
იმ დროს - რეალურს უბრუნდება თუკი ცხოვრებას,
მუქი ტონები დაედება საღამოს სურათს
და ის ოცნებაც უკვე არვის ემახსოვრება.

**27 შენი ღიმილის რობაი**

ო, ეს ღიმილი ჩემთვის დიდი საჩუქარია,
გახვეულს ფიქრთა ნისლში, შენსკენ მომიხარია,
რაც მახალისებს და ცხოვრების იმედს რაც მაძლევს,
შენი ღიმილი, რომელიც კვლავ ზურგის ქარია.



**28 მასხარებისთვის**

თუ სათამაშოდ მათ აქციეს მთელი სამყარო,
არავინ ეტყვის აქ ერთმანეთს, - ეჰ, რას გავხარო,
ოცდამეერთე ისევ გახდა მორიგი სცენა,
არ წითლდებიან და ირგებენ ღიმით ახალ როლს.

**29 მორიგი დღე ვოლიერში**

თავს იწონებენ, აქ მორიგ მსხვერპლს როცა ელიან,
ეშმაკუნობა არ გძულს მათი, გახსოვს, ძველია,
ამ საქციელზეც  გეღიმება, რადგანაც ხედავ,
მაინც ყველაზე თავმომწონე ის ცხოველია.

**30 სიჩუმე, გთხოვთ სიჩუმეს!**

ვითხოვ სიჩუმეს, რომ ვიფიქრო, ისევ ვიფიქრო
და ბევრი რამე ისევ, ისევ გადავიფიქრო,
ამ ყველაფერს კი მარტოობა ვატყობ სჭირდება
და შიში არ მაქვს, უცხო რამეც რომ ჩავიფიქრო.



**31 დამშეული მხეცების რაფსოდია**

მისას ყველაფერს ისევ ძვირად დააფასებენ,
სხვისას იაფად, -როგორც ადრე, არად აგდებენ,
ხედავ და იცი, უწესობა მათი წესია,
სიცარიელეს ახალ დღისას ამით ავსებენ.

**32 წინასწარ გათვლილი დღეები ვოლიერში**

შეთანხმებული ღიმილები, ქორწინებები
და სამარცხვინო კონტრაქტის წინ დარიგებები,
აქ დუღს ცხოვრება და ერთობა მორიგ ილეთით,
დაზავებებით და სავაჭრო გარიგებებით.

**33 სიკვდილის წინ**

მან ერთადერთმა ცხოველებში იცის, მოკვდება,
ზოგჯერ დაჯდება, ფიქრობს - ვაი, რა ეშველება,
მერე კი დგება, სისაძაგლეს კვლავ მორიგს სჩადის,
იცის ამ საქმეს არაფერი არ ეშველება.



### 34 ნდობისთვის

მერწმუნე, მინდა ისევ გული გადაგიშალო,
რომ ეს განწყობა ერთსავ წამში გამოიცვალო,
არასდროს არ თქვა, რომ ვიყავი არაგულრწფელი,
მსურს უნდობლობის თასი აქვე კვლავ  დაიცალოს.

### 35 ცხოვრებაც გარბის

რასაც არ უნდა შენ ეცადო, დრო არ ჩერდება
და რასაც ადრე ფლობდა იმას არ დასჯერდება,
საღამოს იტყვი, -ოპ, რა მალე დაღამებულა!..
როდესაც გული უჩვეულოდ აგიძგერდება.

### 36 ბოლომდე გამოუცნობნი

ჩვენ ერთმანეთის უნდობლობა ბოლომდე მოგვდგამს,
ვით მითთაჟამის თქმულებების ათასი ბოდვა,
და მაინც ისევ არ გვასვენებს იმაზე ფიქრი,
ერთიმეორის როდის შევძლებთ ბოლომდე ცოდნას.



## 37 გამოცდილებას კი მუდამ სიბრძნე მოაქვს

ჭაბუკს უკვირდა უჩვეულო ბედის ხლართვები,
მოხუცმა უთხრა, - რაღად გიკვირს შენ ეს ძაფები?
რამდენი ტანჯვა ამ დღეთაგან ჩვენ გვიგემნია,
ცხოვრებისეულ წვრილმანებში გაიწაფები.

## 38 როცა ვინმე გეხმარება

მჯერა, მივახრჩობ საღამოსაც, დღესაც ამჯერად,
ვერ იქონიეს ვეღარცერთმა  ჩემზე გავლენა,
ვიღაცა მოვა და უკბილოდ კვლავ გაიხუმრებს,
ამ კომიკური ეფექტების გამოსავლენად.

## 39 გზები, ო, გზები..

სუფთა სინდისის კაცი მუდამ სწორად იქცევა,
ქარი სადაც ქრის, ის  გაქნილიც იქეთ ირწევა,
მართალი ხალხი იმედად დგას და არსად მიდის,
გაქნილის გზა კი ეშმაკის გზად გადაიქცევა.



## 40 ანტები და ზანტები

ბევრს ძველებურად კვლავ იზიდავს და უყვარს ანტი,
ზოგს ვერ გაუგებ საითაა და აქვს ეს ნაკლი,
სხვისი აზრებით და ფიქრებით სურს რომ იცხოვროს,
რადგანაც იგი თურმე არის ბუნებით ზანტი.

## 41 მეოცნებენი

ერთიც ხატავდა და რომანსებს ქალს უმღეროდა,
თან ოცნებებში აშენებდა ძველებურ ოდას,
სადაც ისინი იცხოვრებდნენ, გაიხარებდნენ,
-და მთელი ღამე ოცნებების ისევ სჯეროდა.

## 42 მგრძნობიარენი

თავს ცუდად გრძნობდა, ღამით ადგა, ვერ დაიძინა,
მგრძნობიარობა მან დილითაც გამოიჩინა,
ბოლოს ისეთი მას ამბავი შეატყობინეს..
ძლიერ აღელდა, თვალებიდან ცრემლმა იდინა.



**43 გულგრილობის გარეშე**

ამოირჩია რაც ალაგი ჭაბუკმა გრილი,
მთელი ზაფხული ფიქრს სდიოდა ხიბლი ნარგილის,
ნახა ის ქალი, იდგა ქერა, თმაგაწეწილი,
მწამს ვეღარავინ იქნებოდა მასთან გულგრილი.

**44 ქებისთვის**

აქ მწამს ერთმანეთს იშვიათად რომ შეაქებენ,
რადგანაც ვიცი, პირფერობას ამას არქმევენ,
ვისაც აქებენ, იგიც ამას ღებულობს ჯილდოდ,
იმ ძვირფას ჯილდოდ, რასაც ყველას აქ არ აძლევენ.

**45 ქვეყანა, სადაც დიდი ბავშვები არ არსებობენ**

კვლავ მიკვირს, ცუდად რად იცნობენ აქ საკუთარ თავს,
რომ სივერაგით აქ ერთმანეთს არავინ არ ჰგავს,
კარგები იყვნენ ბავშვობაში, საღ -სალამათნი,
მერე კი ყველამ საკუთარი სახე დაკარგა.



### 46 მუდამ უკეთესის მოლოდინში

თუ უჩვეულო თვისებები გამჟღავნდებიან,
უბედურებად სწორედ მისთვის გვეჩვენებიან,
ვიცი, უკეთესს მოელოდნენ ამ ცხოვრებისგან,
ასე წუხილის მიზეზები მისთვის ხდებიან.

### 47 ბედნიერების მოლოდინში

მხიარულების მიზეზებმა აქ დაივანეს,
ცრემლებმა ხელი წამოსვლის წინ რაც დაიბანეს,
რის მერეც გახდნენ ისეთები, რაც დღეს არიან,
სახეზე ფერი რაც დაედოთ და გაიხარეს.

### 48 ისევ ძველი წესების ერთგულებაში

უსინდისობის არ ასვენებს ბევრს აგონია,
ბევრს ცბიერება თურმე ჭკუა ისევ ჰგონია,
ოცდამეერთე ამ ბრწყინვალე საუკუნეში,
ადამის მოდგმას ახალი ვერ მოუგონია.



## 49 ნუ დავკარგავთ ადამიანობას

მინდა იცოდე, შეგვაწუხეს ყველა ვალებმა,
(სხვა გასაჭირსაც აქ ვერავინ დაემალება),
ადამიანო, გთხოვ იყავი ადამიანი,
ისევ იმას გთხოვ, ყველაზე წინ რაც გევალება.

## 50 გახრწნილი ღიმილები

თუ წაიქცევი, იმ დროს გულში ბევრს იცინებენ,
არ შეცბებიან. წამოდექი? - გაგიღიმებენ,
უმაღლეს დონეს მიაღწია სულიერთ გახრწნამ,
მიკვირს ამ ბოლო საფეხურზე რას მოიგებენ.

## 51 მევალის რობაი

ყოველი კარის ბრახუნი თუ გულს გიკანკალებს,
ერთი სული გაქვს, გადაიხდი როდის ამ ვალებს,
მე კი არავის ვალი არ  მაქვს და მშვიდად მძინავს,-
თქვა იქ ჭაბუკმა და ღიმილით გახედა კარებს.



**52 უღრან ტყეში**

ვერც შენ გაიგებ, მას, ბოლომდე რაც გევალება,
ვინ რას გიპირებს (შეაწუხა ბევრიც ვალებმა),
ადამიანის ფსიქიკა ხომ უღრანი ტყეა
და ვერ  შეამჩნევ, ვინ სად გარბის და გემალება.

**53 გაღიმების რობაი**

გთხოვ გაიღიმო, სანამ ეს დღეც მოგაძულებს თავს,
ასე იყავი თავისუფლად, დააკვირდი სხვას,
იმხიარულე, იქნებ შემდეგ ვერც გაიცინო,
რადგან ცხოვრება აღარ უსმენს სხვას, რაც უნდა თქვას.

**54 როცა ყველა ცრუობს**

ადამიანის წარმოსახვა საზღვარს სცილდება,
სულ წინ მიიწევს და არასდროს კმაყოფილდება,
ეს ცრუფუსფუსი, ცრუ პანიკა, ყველაფერი ცრუ,
დგას სიცრუეზე დედამიწა და მით მშვიდდება.



## 55 ოცნების ქსელში გახლართულები

ახლაც შენატრი შენ ამქვეყნად იმ ძლიერებას,
გაუმაძღარი სურვილებით ბედნიერებას,
დაფიქრებულხარ ერთხელ მაინც?  შენ ის მითხარი,
საით მივყავართ შეუწყვეტელ ამ მდინარებას.

## 56 გამოგონილ სამყაროში

ის გამოგონილ სამყაროში ფლეიტას უკრავს,
ასე თანდათან თვითონ იქმნის სამყაროს რუკას,
გამონათქვამებს იგონებს და მათთვის პასუხებს,
და სულ ებრძვის მათ, მოგონილ მტრებს და იმ ყალბ სურათს.

## 57 მძიმე დღეთა რობაი

თავს გვახსენებენ სულიერი კვდომის დღეები,
სასოწარკვეთა, -უაზრობის ის მორევები,
ჯოჯოხეთურად ერთმანეთში გადაჭდობილი,
უნდა გაუძლო, არ დანებდე და მოერევი.



### 58 დაკიდების რობაი

კმაყოფილება და ტკივილი, ერთად დაქუჩდა,
ხელი ერთმანეთს გადადეს და გაყვნენ იმ ქუჩას.
და მე რახანაც ყველა ერთად სულ დავიკიდე,
ტკვილიცა და სიხარულიც ერთად  მიყუჩდა.

### 59 კლასიკა კვლავ მოდაშია

სხვადასხვა მხარეს კვლავ სხვადასხვა არს ვითარება,
ყველას სჭირდება ის უწყვეტი განვითარება,
მარადცოცხალი კლასიკური ტრადიცია კი,
ყველა ეპოქის ენაზე ხომ სულ ითარგმნება.

### 60 ხან მიწისა ვართ, ხან ცისა

როცა მიწიურს დამთრგუნველი მოაქვს ზიანი,
ზეცაზე ფიქრი თან დაგვყვება, შვება გვიანი,
მწვერვალებით და უფსკრულებით მიწაზე შენ ხარ,
ნახევრად ღმერთი და ნახევრად ადამიანი.



**61 სულის განმენდის რობაი**

რომ მაძღრისობით კვლავ დარჩება სული მთხოვნელი
მორიგ დღისადმი -უფალს უთხრას სამადლობელი,
არ  დავიწყნია, გადაფურცლოს  ლოცვების წიგნი,
ასე იმღერა  უფლის მიმართ საგალობელი.

**62 რობაი  რობაისთვის**

მორიგი დილა წინ და უკან დაგარბენინებს,
ისევ არ იცი, ვინ გაცინებს ან გაწყენინებს,
მარტო მან იცის სხვაზე მეტად ვინც მას ენდობა,
რომ მას სხვაზე მეტ სისულელეს ჩაადენინებს.

**63 დღეთა გაჯაზების რობაი**

ის მიდიოდა, ცხოვრების გზა კარგს არ უქადდა,
თუ ჩაივლიდა, თავს არავის არ დაუკრავდა,
უცებ მუსიკის ხმა ჩაესმა, ეს ჯაზ -ორკესტრიც,
მის ამჟამინდელ განწყობის ჰანგს ზანტად უკრავდა.



**64 ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲐᲖᲔᲚᲘᲚᲔᲑᲘ**

კვლავ აზელილა ტკივილებთან ბედნიერება,
თურმე წუხილი ძალას აძლევს ამ ძლიერებას,
დაგაფრენინებს რაც ზეცაში, ხან ჯოჯოხეთში,
სხვა ვერა ძალა მათ ვერასდროს ვერ მოერევა.

**65 ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲠᲝᲑᲐᲘ**

ხშირად კი, როცა საშუალო დონის ხალხს ვაქებთ
და ცაში აგვყავს, (რომ არა ჰგავს  თურმე დანარჩენს),
ალბათ იმიტომ,  რომ მოგვბეზრდა ძველების ქება,
თუმც, უკეთესი რომელია, მას დრო გაარჩევს.

**66 ᲚᲐᲥᲚᲐᲥᲘᲡ ᲠᲝᲑᲐᲘ**

როდესაც თემას ღრმად არ ვიცნობთ და ლაპარაკი,
რომ ეს ასეა და რომ ვხარჯოთ სიტყვის მარაგი,
სასაცილოა რაც არ ვიცით იმის მტკიცება,
სხვასაც  ვუსმინოთ, არას გვარგებს უშნო რატრატი.



**67 თავმდაბლობის რობაი**

სამყარო გახლავთ ყველასათვის ვიწრო გალია,
ვერ გააღწიეს და აქ ყველამ სული დალია,
თავმომწონე და თავხედი თუ სასაცილოა,
ღირსეული ხომ აქ ყველაზე თავმდაბალია.

**68 ლაქლაქის დიდოსტატები - 2**

სხვაგან ბეწვს ეძებს და ვერ ხედავს საკუთარ ლაქას,
თავხედია და თქვი თავხედმა სხვა მეტი რა ქნას,
მოხერხებული ვნებებს ფარავს და ჩუმად არის,
ტვინშეზღუდული კი სულ არის ენით ლაქლაქა.

**69 ტრფობის რობაი**

გახარებს ტრფობა, ცეცხლივით რომ მყის აფეთქდება.
გულის მთელ ნაწილს ერთსავ წამში რომ მოედება,
სიყვარულს მართლაც სხვანაირად არც მოუხდება,
აქ სხვა გრძნობების უკვე ზანტად განვითარება.



### 70 ჭკვიანისა და სულელის რობაი

ჭკვიანი კაცი თუ ხანდახან სასაცილოა,
სულელმა რა ქნას? - ცხოვრება ხომ დიდი ტილოა,
აქ ყველა თავის ნახატს ხატავს, სხვებიც ცუდს ან კარგს,
ეს დღეები კი ძველებურად სწრაფად ილევა.

### 71 სახის რობაი

სახის მიხედვით ადამიანს ნუ შეაფასებ,
რადგანაც ფასი ეკარგება ამით ანფასებს,
სახის მიხედვით ვარაუდი თუ შეიძლება,
..შენ მათზე ფიქრობ და რგოლებად უშვებ ნაფაზებს.

### 72 დუმილის რობაი

გაიხედავ და ნაცნობია ახლა ეს ფერიც
და ნათქვამია ყველაფერზე აქ ყველაფერი,
დგახარ და ფიქრობ, (და შენც გინდა ახალი რამ თქვა),
რათა შესძინო მორიგ ამბავს მეტი ელფერი.



**73 უსიერი ტყის რობაი**

ერთხელაც, როცა შენ უსიერ ტყეში შეაღწევ,
შენს გემოვნებას სხვას ნურასდროს იქ ნუ მოახვევ,
როცა აქ ყველას მისი გზა და მისი ხედვა აქვს,
ის იქ ურწმუნოდ გამოგხედავს, თავს რაც დააღწევს.

**74 არაკონტროლირებადი გრძნობის რობაი**

ვერ აკონტროლებ და გსურს უფრო მეტად გიყვარდეს,
ნაზი დღეები, უძილობით ქარიშხალს ჰგავდეს,
იმ დროს ნაკლებად გიყვარს ხოლმე, სხვა დროს პირიქით,
-მისთვის მიუშვი, თვითონ იცის, სად რა და რამდენს...

**75 ლაქლაქის დიდოსტატები**

მოგეცა ლხენა, საუბრებში უბელო ცხენებს,
ყველა თავისთვის დიდებულად მიმოაჭენებს,
რომ ერთმანეთი მათ სიტყვებით ზეცაში აჰყავთ,
თუ ვით უთხრიან ძირს, ამას კი საქმე გვაჩვენებს.



## 76 როცა ყველაფერი ფულია

ისევე ხდება ძველებურად დახარისხება,
ბედმა სიმდიდრე ვის მიმართ თუ როგორ ინება,
მდიდარს წმინდანად მიიჩნევენ, ღარიბს უსულოდ
და ზნეობრივი საფეხური არვის სჭირდება.

## 77 ჭორიკნობის სეზონი

ცუდს ყოველივეს სხვის შესახებ მყის იჯერებენ,
ჭორებს მოგონილს სხვაზე, უცებ გააჟღერებენ
და საქმის არსში ჩაწვდომასაც არ ეცდებიან,
ახლაც შორიდან, ჭორიკნულად ყელს იღერებენ.

## 78 ეს მერამდენედ  დაკნინება ადამიანთა

უკმაყოფილო სულ არიან სხვისი ქცევებით,
ტკბებიან მათი გაქცევით და გამოქცევებთ,
იმათ შესახებ ლეგენდებით იკვებებიან,
ვატყობ  მუცლიდან მათ გამოყვა ეს თვისებები.



### 79 გაუმაძღრობის რობაი

მას ელოდები და ვერ ხვდები რომ ის იქ არის,
ის შენთანაა, აქ დარჩება მთელი ზამთარი,
ბედნიერება აქ ყოფილა და ვერ მიმხვდარხარ
და ვერც მიხვდები, რადგანაც ხარ გაუმაძღარი.

### 80 ბოლო შანსის რობაი

დგახარ და ხედავ, ბოლო შანსიც ტალახს ეფლობა,
არ გაპატიებს ეს ცხოვრება არც ერთ შეცდომას,
სხვა ან რა გზა გაქვს, მთელი ძალით ეპოტინები
ბინდში გახვეულ  იმ ერთადერთ შესაძლებლობას.

### 81 ამქვეყნად თურმე არაფერია მუდმივი

სილამაზესაც ნაოჭები თურმე დაფარავს,
ოქროსფერ კულულს დაედება რაკი ჭაღარა,
მაშინ მიხვდები, სილამაზეც დროებითია,
როცა დარჩები  მარტო შენი სულის ამარა.



**82 დარჩენა -არდარჩენის რობაი**

ეს დღეც წავიდა, დაიფერფლა, ღამე დანისლა,
როგორც წასულან სხვა დღეები, შენ ვერ დაიცავ,
გაქრები შენაც, აქ ჩვენს შორის არვინ დარჩება,
ვინც დავრჩებიო გვარწმუნებდა, ადრე გაიქცა.

**83 რისკის რობაი**

ეს ყველაფერი, სასარგებლოს მითხარი რით ჰგავს,
ცვლილებების თუ გეშინია, ძველი გზით მიხვალ,
რომ მიატოვებ მას და ახალს რომ დაადგები,
უფრო გიღიმის გამართლება, რახან გარისკავ.

**84 ნდობის რობაი**

ჩვენ ერთმანეთის რომ არ გვჯერა, ვუფრთხით იარებს,
ფიქრი, ვიცნობთ მათ თუ არ ვიცნობთ, თავს დაგვტრიალებს,
ან იქნებ თავად არ ვართ სანდო და ამიტომაც,...
ო, თუმცა ამას იშვიათად თუ ვაღიარებთ.



## 85 სულიერი სილამაზის რობაი

ბევრჯერ უსულო საოცრებაც თუ მიმნდობია,
მას სულიერი სილამაზე მაინც ჯობია,
მივეახლებით და მიბაძვის ცდუნება გვიპყრობს,
ჩვენს სულის სიმზე უკრავს მისი ფილოსოფია.

## 86 შიშის რობაი

შენ უფსკრულების გეშინია, ის კი გიყურებს,
შიში ხომ მძიმე ტკივილია, დაცქვიტავს ყურებს,
იქ ბოროტების მოლოდინი გულს გიკანკალებს,
ეს კი შიშია, ზემოდანაც რომ გადმოგყურებს.

## 87 თხოვნის რობაი

შენ მერამდენედ უფლისაგან მწამს შველას ითხოვ,
რომ შენი ჯამი სიცოცხლისა, ჯერ არ აივსოს,
ისიც მითხარი, ერთხელ მაინც თუ გიფიქრია,
ეს მერამდენედ სადღეისოს სდებ სამერმისოდ.



## 88 იარების რობაი

წარმოიდგინე, აქ რამდენი უნდა იარო,
რამდენჯერ უნდა წვიმის მერე გამოიდაროს,
მიხვდე, ცხოვრება, მარტო ჭამა - სმა რომ არაა
და სხვა ბევრი რამ, რაც აქ გულზე გვიჩენს იარებს.

## 89 დუმილის სიბრძნის რობაი

ვიღაც ლაქლაქებს, ტვინს გიბურღავს, დგახარ და ითმენ,
ერთი სული გაქვს, რომ აქედან სადმე გაიქცე,
ვიცი დუმილი უფრო გხიბლავს და გსიამოვნებს,
რადგან დუმილში თავისებურ სიბრძნესაც ისმენ.

## 90 ლამპრის რობაი

გული გაუხსნა მან ვიღაცას, უთხრა - ესაა
ჩემი სიმართლე და რაც ვიცი, მხოლოდ ესა ვარ,
მერე წავიდა ვით ლამპარი, გზას ანათებდა
და კაციც მიხვდა, რომ სიმართლე იმ მხარესაა.



## 91 შენი განწყობის რობაი

მზიან დღეს ეტრფის, სხვას კი ხიბლავს დღე ავდრიანი,
მითხარ, რამ გაყო  წვიმიანი და დღე მზიანი?
ერთიც არ მოგკლავს, არც მეორე, აქ მთავარია,
შენ როგორ ფიქრობ, რომელს მოაქვს უფრო ზიანი.

## 92 სინათლისა და სიკეთის რობაი

ეძებ სიკეთეს და სინათლეს, რომ გაიხარო,
ვით მზესუმზირა მუდამ ეძებს სინათლის წყაროს,
მიტრიალდები მისკენ, თვლი რომ სამოთხეში ხარ
და გსურს სიმართლე ხელისგულზე ისევ ატარო.

## 93 ყვავილების რობაი

თავს იწონებენ ყვავილები ვალმოხდილები,
სილამაზის და საოცრების ნაზი შვილები,
მათ არ იციან, კიდევ წამიც და დაჭკნებიან,
ასე ლამაზად სამოთხემდე გადაშლილები.



### 94 როცა დრო უძლურია

ეხმაურება სინამდვილეს, სიბრძნე გვიზიდავს,
ხშირად მარტივად ნათქვამია ის ბრძნული სიტყვა,
როცა ცხოვრება ზღაპარსა ჰგავს უჩვეულობით,
დრო დიად აზრებს ვერას აკლებს, მინდა რომ ითქვას.

### 95 ჭკვიანებისა და უჭკუოების რობაი

ტვინს გიბურღავენ თუკი სადმე დაგიგულებენ,
კარგი აზრები იქვე მდგომთაც აიძულებენ,
კარგად იფიქრონ, თუკი ჭკუა მათ გააჩნიათ
და თუ არა აქვთ, თავის სათქმელს გაასრულებენ.

### 96 წუთისოფლის მდგმურების რობაი

თუ წუთისოფელს ყველა ერთად ვყავართ მდგმურებად,
ბედნიერებას ანდა თუნდაც უბედურებას,
მერეც და მერეც, მიყოლებით ანდა პირიქით...
თურმე ის შიშიც, იმდროიდან ისადგურებდა.



**97 შეცდომების რობაი**

ჩვენ ვიბადებით და ცხოვრებას სევდა თან გასდევს,
თან  უჩვეულოდ ვგრძნობთ ბუნებას და სილამაზეს,
ვუშვებთ შეცდომებს, მერე ვსწავლობთ ამ შეცდომებზე
და იქვე ვხვდებით, შეცდომები არ გვინდა არცერთს.

**98 როცა ხუმრობაში ნახევარი სიმართლეა**

ვიცი არ ხუმრობ და სიმართლეს ასე მაწოდებ,
შენ ამ ყველაფერს აქ ხუმრობას რატომ უწოდებ?
სიმართლეს გეტყვი,- აქ ხუმრობის ნატამალია,
შენ რომ ხუმრობა უწოდე და გამომიწოდე.

**99 ღრმა ცოდნის რობაი**

ზედაპირული ცოდნა მუდამ მოგიტანს ზიანს,
უცოდინრობის განცდა რადგან  იმას ატყვია,
არ შეგეშინდეს ღრმად შეტოპილს სიღრმეში შესვლის,
როცა იქაა  ის, სიმართლე რომელსაც ქვია.



## 100 სიურპრიზების რობაი

არ დაიჯერო, რომ იტყვიან, მოულოდნელი
განქორწინება ან სიკვდილი თუ წასვლა ნელი,
მიზეზი ჰქონდა, რაც დაიწყო დიდი ხნის წინათ,
სიურპრიზებით სავსე არის წუთისოფელი.

## 101 ნერვიულობა კარგს  ვერაფერს მოგიტანს

მოხდა, ნუ, მოხდა, როგორც ხედავ, ცა ჩამოინგრა
და ოცნებები ყველაფერთან ერთად დაინთქა,
ვერაფერს შეცვლი, რა აზრი აქვს ნერვიულობას,
მინდა მჯეროდეს, ამ ყველაფერს შენ რომ აიტან

## 102 საკუთარი გული საუკეთესო მრჩეველია

როცა სიტყვები ემოციას, იცი უხვად ქსოვს,
შენს გულს უსმინე, მრჩეველია საუკეთესო,
უთქმელი სიტყვა შიშია  და ერთხელაც გეტყვის -
გონება მსჯელობს, გული კიდევ მისთვის უკრავსო.



## 103 მატყუარების აღლუმი

ის იტყუება, სხვა იჯერებს და დღეც არ იძვრის,
მას მოტყუება, დაჯერება მეორეს უჭირს,
ზოგის მართალიც ტყუილია, ისე გაირყვნა,
ამბობს- თუ ვტყუი, რას წავაგებ, ჩემი რა მიდის.

## 104 დაჭრილის ოცნება

დავდივარ შენგან დაჭრილი და  ჭრილობას ვმალავ,
 ხვალ რა იქნება, გაფიქრება იმაზე მზარავს,
ერთი რამ მინდა, დავტკბე შენი ბედნიერებით,
როდესაც თვითონ უბედური აქ შენთან ვდგავარ.

## 105 მატყუარის რობაი

ბევრიც ლაქლაქებს დიდის ამბით კეთილ საქმეზე,
მასზე უკეთესს რომ ტყუილად შენ აქ დაეძებ,
ენით - თუ კითხავ, ადგება და იმ მთას გადადგამს,
საქმით - არაფერს სიკეთისთვის არ გააკეთებს.



## 106 სახლის მონატრების რობაი

სადაც არ უნდა იყო, რაღაც მაინც გაკლია,
ის რაც სახლში გაქვს, სხვა ადგილთა მუდამ ნაკლია,
იქ სხვა რამეს გრძნობ და აქედან წასვლა სულ გინდა,
-ახლა მეც მივხვდი, რომ  ის ალბათ შენი სახლია.

## 107 მიუწვდომელის ძებნაში

მიუწვდომელს და მიუღწეველს მითხარ რად ეტრფი?
ადამიანო, უცნაური ვინმე ხარ, გეტყვი,
ზოგჯერ კი ისე ჩაგიქროლებს ბედნიერება,
რომ ვერც შეამჩნევ, მიეფარა ვით თვალებს ეტლი.

## 108 ზოგჯერ სხვებსაც უნდა დაუჯერო

თვალში უცქირეთ სიმართლეს და თქვენც იქ იქნებით,
მართალთან ახლოს რასაც ქვია და კარგი ქენით,
თეთრზე თუ გითხრეს თეთრიაო, იქ ნუ გამოხვალთ,
თქვენ რომის პაპზე უფრო დიდი კათოლიკენი.



## 109 უფრო აღმატებულის რობაი

შეუწყვეტელი ჩვენი განცდა, წუთისოფელი,
რომ წუთი არის ეს სოფელი და სხვას მოველით,
მას, მარადიულს, ჩვენი სული სულ ელოდება,
აღმატებულად უფრო სრული არის რომელიც.

## 110 შენ არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი

სულ რომ განიცდი იმას, ხვალ -ზეგ თუ რა იქნება,
ისე იქნება, როგორც ღმერთს სურს და მან ინება,
პირველი არ ხარ ამ მიწაზე, არავის უკვირს,
ყოფა - ცხოვრების ბუნებრივი ეს დაჟინება.

## 111 ჭორების რობაი

რა სიბინძურეც ამ ჭორებში ყრია და ყრია...
არავინ იცის ძაღლის თავი  თუ სად მარხია
სწამთ ათასნაირ ზღაპრებს თუკი მოიგონებენ,
მტრებიც მაშინვე ადგებიან, ფარ - ხმალს დაყრიან.



## 112 მწვერვალების დაპყროპის რობაი

იმაზე უკეთ თვისი თავი წარმოაჩინოს,
სინამდვილეში რომაა და როგორიც იყო,
რისთვის სწადია ხშირად მოკვდავს? - იმაზე ვფიქრობ,
თუ რეალურად ვერცერთ მწვერვალს ის ვერ დაიპყრობს.

## 113 ახალი დღის რობაი

მზე ამოვიდა,  ახალი დღე კვლავ დაიწყება,
სიუჟეტების ტექსტი, ვატყობ ძლიერ იცვლება,
თუმც არვინ იცის, რა მოხდება, ვინ საით წავა,
დადუმდება თუ მიეცემა თავდავიწყებას.

## 114 ლამაზმანთა მეხოტბის რობაი

ბევრმა დაწერა აქაც ლექსი თურმე  მაცდური,
ლამაზმანების სიყვარულით გახდა დაცული,
ერთს ვატყობ, ძლიერ ტკივა მხრები, ფრთებმოტეხილი,
თუმც ამ ყველაფერს ახლა უკვე ფარავს წარსული.



## 115 გულუბყვრილო  რობაი

გათენდა, იმ  დღეს დილიდანვე იყო ცხელი დღე,
ის ზის მდინარის ნაპირთან და შუბლს უკოცნის მზეს,
აღარ ეშვება, ეფერება სხეულს და ღაწვებს,
და სულ ჰგონია, ეს მზე იმას გადაყვება ზედ.

## 116 ფიქრის რობაი

მწამს, არ უჩივის იგი მასზე ტვირთს აკიდებულს
და აღარც იმათ, იმ მტრებს მასზე გადაკიდებულთ,
ფიქრობდა, ფიქრი კვლავ შველოდა, მერე ადგა და
გაოცებულმა ცას ახედა, მზეწაკიდებულს.

## 117 საოცრებათა ქვეყანა

ღმერთს კიდევ კარგი, რომ არ ძალუძს მოიკლას თავი
აქ ჩვენს შემყურეს (გააოცებს, მითხარი, სხვა ვინ),
ვაიმე, სად არ მიმოდიან, რას არ სჩადიან,
ზოგჯერაც ფიქრობ, გააუქმო ყველასთან ზავი.



## 118 „თვითმკვლელთა“ რობაი

ხუთწუთიანი ეფექტი აქვს, შენც იცი, ლაქლაქს,
ხშირად საკუთარ სურვილით რომ ყულფს უყრიან თავს,
თქვი, ვინ გაძალებს, გააჩუმე ენა შე კაცო,
მოგეთხოვება შენც  პასუხი, სხვა შანსი არ გაქვს.

## 119 ღიმილიანი რობაი

მისი ღიმილი აქ  მოწყენას მაშინვე მოსპობს,
იმას გახედავს და მოწყენილს უკეთებს „ჰობ -სტოპს“,
შემდეგ ჩუმად ზის და ღიმილით აანალიზებს,
მოულოდნელი სიხარულით გამოწვეულ შოკს.

## 120 რობაი  მებრძოლი სულისთვის

მას გამართლება კვლავ ნამივით ესხურებოდა,
ვინც დამარცხებას არასოდეს ეგუებოდა,
ლაღად აიჭრა ის სამყაროს გაშლილ სივრცეში,
როგორც ყოველთვის, ისევ სადღაც ეჩქარებოდა.



**121 მძაფრსიუჟეტიანი დღის რობაი**

კვლავ შეხვედრები, ძველებური გადაკოცნები,
ყველაფერი კი აქ დაიწყო დილის ლოცვებით,
მორიგ ამბავს კი ვატყობ უდის ის მჟავე სუნი,
ჩხუბებს რაც მოსდევს, ერთმანეთის  ამოხოცვებით.

**122 უბედურების რობაი**

ყველას აშოროს უსიამო ამბების წყება,
როცა ცრემლებით ღამდება ან დილა იწყება,
უფსკრულის ძირას უნდო ბედი  უცებ  მიგაგდებს
და იქ სიკვდილიც სანატრელი რომ გაგიხდება

**123 რატომ,  სიკვდილო?!**

ასეა,  ლამაზ სამყაროში სიკვდილი მეფობს,
უაზრო ხვედრთან მეგობრობით ვინაც გაერთო,
უსამართლობას ვინც უღიმის, ხალხს მისკენ უხმობს,
სიკვდილო! თავ -ყბას დაგინგრევდი, ნეტავ შემეძლოს.



### 124 მარადისობის რობაი

მათ, ვინაც დაგმო ყველაფერი ილუზორული,
ეს ფუფუნება და სიამე ამქვეყნიური,
მათ დაგმეს ხორცი, ენდნენ ციურ მარადისობას,
მისად იწამეს და შეერწყნენ ლამაზი სულით.

### 125 უპატრონო საფლავებთან

მათ საფლავებთან გვირგვინი, არც  ყვავილებია,
ის კი არადა, რკინას ფერიც გაშავებია,
ღმერთთან არიან, მე მუხლს ვიყრი და სანთელს ვუნთებ,
როცა გარშემო უსახელო საფლავებია.

### 126 დახვეწილობით გამორჩეული რობაი

ცხოველისაგან განასხვავებს რომ კაცს ზრდილობა,
რაც მას ამშვენებს და შეიცავს გულახდილობას,
არათუ ლექსში, მუსიკაში ან მხატვრობაში,
ყველა საქმეში საჭიროა დახვეწილობა.



**126 მიყვარხარ ისეთი, როგორიც ხარ**

სულით ლამაზო,  გამშვენებს ეს უბრალოება,
იქვე ხელობაც, ის უბრალო, მას გამოება,
არ გაგიტაცა არასოდეს გამეტიჩრებამ,
სადა ქონება სულ გქონდა და ცივი გონება.

**128 დიდი საქმის რობაი**

საქმეს მორჩები, და კვლავ გინდა რომ გაიხარო,
(რასაც ხელს კიდებ, გსურს ბოლომდე ის მიიყვანო),
თან დიდი საქმე ერთბაშად სად მოგვარებულა?
ნელა მიყევი, გაერთობა შენი სამყაროც.

**129 მოულოდნელი სიხარულის რობაი**

მოულოდნელად რომ გეწვევა შენ გამარჯვება,
აი, ისაა სიხარული, რაც მაშინ ხდება...
ყველა დარწმუნდა, ღირსეულმა რომ გაიმარჯვა
...მას სხვა ხიბლი აქვს, სხვა ღიმილი და აღტაცება.



**130 გზად სირთულეებია**

მან თქვა: ზედმეტად დღენიადაგ რომ ვარ კეთილი
და გულახდილი, (მისთვის მწამს, რომ სულ ასე ვივლი),
ბევრჯერ წავაგე, (უფრო მეტჯერ დამიგეს მახე),
თუმცა ვერცერთი გამომადგა ის გაკვეთილი.

**131 ტრომბო აცეცეს რობაი**

თქვენ გული გტკივათ და მიიღეთ ტრომბო აცეცე,
რადგან სიკვდილი იქ კუთხეში თვალებს აცეცებს,
თუმც დაკიდება ამ  ყველაფრის და გაღიმება,
კვლავ  შეუძლია აქ ყველაზე უმამაცეცებს.

**132 ყველაფერს მომავალი გადაწყვეტს**

მე არ ვუკითხავ ვინმეს მორალს და დანარჩენებს,
არ გამოვუტან არასოდეს აქ განაჩენებს,
ტრაგიკომიკურ ესკიზებს თუ აქ წარმოვადგენ.
იქ რომელიც სჯობს, მომავალიც იმას გვიჩვენებს.



## 133 მეოცნებე მხატვრის რობაი

რომ თქვი:  იქნება, ძველებურად მტკვარზე ტივები,
გენიალური ჟამი, ყოფის გამარტივების,
მეც ვიწყებ ხატვას, ძირითადი იქნება თემა,
პეიზაჟური და უბრალო კვლავ მოტივები.

## 134 იცოდე, რომ აქ არასოდეს არაფერი შეიცვლება

მწამს, არაფერი არ შეცვლილა ამ ქვეყანაზე,
სიკვდილ -სიცოცხლის პროცესი მას ხაზივით გასდევს,
გზად ათასგვარი პასაჟები სიცილ -ხარხარის,
რომელიც სულის იმ ჯადოსნურ ბაღში გადარგე.

## 135 მზეს მიფიცხებულის რობაი

ამავალი და ჩამავალი ამ მზის ფერები,
ორივე მიყვარს და აქედან სულ ვეფერები,
ძოწისფრად ღელავს ანდა თუნდაც ღვინის ფერია,
ის ჩემი მზეა, მუდამ მათბობს იმ ძლიერებით.



**136 ფრანები**

ეჰ, მეგობარო, ღრმა ბავშვობა, გახსოვს ფრანები?
ნაზი, ჰაერში თამაშები, ლაღი ფრენები,
იქ გოგონების ღიმილები გაუხუნარი,
ის წინ და უკან მათთან ერთად ისევ რბენები.

**137 ტანჯვისთვის გაჩენილის რობაი**

რომ თქვი; ტკივილი აღარცერთი არს საყვარელი,
ის კი არადა, საშინელი არს, საძაგელი,
ადამიანი წვალებისთვის რადგანაც გაჩნდა,
მის გამო ტანჯავს ტკივილები აუტანელი.

**138 როცა ცხოვრებაა თვითონ მკითხავი**

ვერავინ იტყვის: ხვალ  ვინ კვდება და ვინ დარჩება
და ვეღარც იმას, რა მოხდება და გარდაგხდება,
თუკი მომავალს ვეღარ ვხედავთ, მაშ რაღად ვმსჯელობთ,
ან ეს სიტყვები, მითხარ, ხვალ ვის გაახსენდება.



## 139 უცნობი გმირის რობაი

მაღალი რანგის დაფასდება ყოველი ტვინი,
აზრებს ვერ იტევს უჩვეულო გზაჯვარედინი,
(ჩვენი მუდმივი პაექრობის ყველა საგანით),
რომ საბოლოოდ წარადგინონ უცნობი „გმირი“.

## 140 არგაბოროტების რობაი

ბრძენ კაცს ტკივილი ვერასოდეს გააბოროტებს,
მახეს უგებენ, რასაც მერე ქვის სროლა მოსდევს,
თუმც სიყვარულით სავსე დააქვთ მათ ისევ გული,
რაც იმედს გვჩუქნის, უჩვეულო სითბოს გამოსცემს.

## 141 „დაჭკვიანებული“ ვაჭრები

ქრისტემ ვაჭრები რომ გაყარა ტაძრიდან გარეთ,
ბევრი დაბრუნდა ანაფორით, ცრემლები ყარეს,
გახდნენ მღვდლები და უფრო მეტად რომ დაჭკვიანდნენ,
ფულს შოულობენ ისინი ჩვენს უმეცრებაზე.



**142 გაცვეთილი ნიღბების რობაი**

ვითომ მხიარულთ, რომ დადიან, ვითომ ღადოებს,
სინამდილეში დიდი ბოღმა რომ ასაზრდოებთ,
როგორ ვერ ვიტან იმ თვალთმაქცურ, გაცვეთილ ნიღაბს,
რომ შეხედავ და არაფერზე ვითომ დარდობენ.

**143 გაქნილი მხეცების რობაი**

ბევრი მხეცი სჯობს კაცს, რომელიც მხეცებს დასცინებს,
ის ხომ არასდროს დასცინის სხვას, არც დაამცირებს,
მოსაკლავს მოკლავს, დატორავს და იქვე მიაგდებს,
და  განსხვავებით მისგან, მტერს კუდს არ უქიცინებს.

**144 წამსვლელის რობაი**

თუ ვინმე შენგან წასვლას ითხოვს, დაე წავიდეს.
უნდა გაუშვა, შენთვის შვება მოაქვს ამ ბილეთს,
ჩათვალე  უკვე, ყველაფერი მასთან დასრულდა
და შენც გაუშვი, ის თავის გზას აწი გაიგნებს.



## 145 ფარისევლები ჭიქით ხელში

ღმერთს ადიდებენ ჭიქით ხელში, ფარისევლები,
არაკაცურის მონები და მისი მძევლები,
ვისაც არასდროს ღმერთის სწამდა (ფიქრობ და გიკვირს),
რაში სჭირდებათ აპყრობილი ზეცად ხელები.

## 146 წამში აალებული სიყვარულის რობაი

მან არ იცოდა ლამაზმანის გულში რომ თვლემდა,
ბუხართან ზიან გოგონები, ცეცხლი უქრებათ,
მოვიდა ბიჭი, შეუკეთა, არც უფიქრია,
რომ მას უცნობი სიყვარული უთვალთვალებდა.

## 147 ადამიანებთან ურთიერთობაც ხელოვნებაა

აქ ყველა არის ერთურთისგან განსხვავებული
და ამიტომაც მათ შესწავლას სჭირდება გულიც,
ურთიერთობის ხელოვნება რომ შეისწავლო,
ერთი ცხოვრებაც არ ეყოფა, მე ვიცი სრული.



## 148 ან სიკვდილი, ან გამარჯვება

ძლიერი იბრძვის და არავის ემორჩილება,
ვინც დამყოლია, მას გამოყვა სუსტი ბუნება,
სუსტი ჩაბარდა, ძლიერი კი ბოლომდე არ თმობს,
არ დანებდება, გაიმარჯვებს, ანდა მოკვდება.

## 149 იგიც ისეთია, როგორც სხვები

მას არ სწყალობდა, აბუჩად თუ კაცს აიგდებდა,
მყის მოისვრიდა და სადღაც შორს გადააგდებდა,
გულს ვინც უხსნიდა  და რომელიც მას ეძმობოდა,
იგიც იმასთან ერთგულების გზას მონახავდა.

## 150 როგორიც თვითონაა

ადამიანი შინაგანად როგორიცაა,
მას ფიქრობს სხვაზეც და ჰგონია, იგიც ისაა,
ისეთივეა უსინდისო, თურმე გარყვნილი,
მათ რომ იხარონ, ეს სამყაროც იმისთვისაა.



**151 ნაღდი მეგობრის რობაი**

თავშეკავებულს, ამპარტავანს რომელიც არ ჰგავს,
და ვისაც ცოტა, ძალზე ცოტა მეგობარი ჰყავს,
მას ემეგობრე, ვიცი იგი არ გიღალატებს,
ვინემ ის - ბევრი მეგობრების რომ ყვება ზღაპარს.

**152 სიკეთისაკენ**

ეძებ სინათლეს, რადგან იცი, ყველაფერია,
ეძებ სიკეთეს, რაც სინათლის მუდამ ფერია,
შემოტრიალდი მზისკენ, ნახე სინათლის წყარო,
როცა გათბები, გათქმევინებს - მშვენიერია.

**153 შედევრთან ახლოს**

შედევრთან ახლოს სიძულვილი კვლავ ეძებს ბინას,
მის სიახლოვეს, რომ იცოდე, შურს მუდამ სძინავს,
ბედნიერება თუკი არის მასთან შეხება,
ლამაზთან შური და სიხარბე რამ გააჩინა?



## 154 კეთილისა და ეშმაკის რობაი

ყველაზე სათუთს, ჩვენს შინაგან პატიოსნებას,
არაფერი სჯობს, რაც უფლისგან სულ იკოცნება,
ეშმაკი სულის ადამიანს ეშმაკი იცავს,
როცა კეთილი, უფლის სხივით შეიმოსება.

## 155 დიდება უფალს

ჯოჯოხეთიდან ეშმაკები გამოქცეულან,
ადამიანად მაშინათვე გადაქცეულან,
დასახლებულან აქ ჩვენს შორის, სულს გვიწამლავენ,
უფალს დიდება, ჩვენ რომ ვებრძვით მათ ღირსეულად.

## 156 ღიმილიანი კაცის რობაი

რახან  ვიღიმი, შენ გგონია ბედნიერი ვარ?
და თუ ვიღიმი ე.ი. ღიმილად დავალ?
არა, უბრალოდ,  როცა გნახე, შენ გაგიღიმე,
ჩემი ტკივილით რად გატკინო, ჩემით ფონს გავალ.



## 157 სინდისის რობაი

ცხოვრობ ციხეში და მას ქვია - ხალხი რას იტყვის,
აბა ვინ როგორ შემოგხედავს, შენზე რა იცის,
და ეს სურვილი წინ და უკან კვლავ გარბენინებს,
უმჯობესია ყური უგდო ღმერთის ხმას - სინდისს.

## 158 ავსულების განადგურების რობაი

ვინღა დათვალოს დღეში რამდენ როლს შენ ასრულებ,
განსაკუთრებით, საკუთარ თავს როცა ატყუებ,
თუ ამას შესძლებ და შენს სახეს ჩამოხსნი ნიღაბს,
გაგიადვილებს ის ყველაფერს,  მოსპობ ავსულებს.

## 159 თქვი, ან ის, ან ის

ქალი ზის, ფიქრობს, კეკლუცობა რომ მას სჭირდება,
ღვთისმოსაობაც, რადგან იცის „იქ“ დასჭირდება,
შენ ჩემო კარგო, აირჩიე ან ის და ან ის,
ორივეს ერთად ვერ გასწვდები, გაგიჭირდება.



## 160 როცა ვერ ივიწყებ...

რაც  კი აქ მახე დაგებულა, ამქვეყნად ჩემთვის,
რომ დაუფიქრდე, ღმერთო ჩემო, დაგშლის და შეგშლის,
მახსოვრობიდან ბევრი რამის წაშლა სულ  მინდა,
და ვცდილობ იმის დავიწყებას, თუმცა ვეღარ ვშლი.

## 161 სხვისი გაცინების რობაი

შენი ღიმილით სხვას არასდროს არ აწყენინო,
კონკრეტულად კი, იმით გული სხვას არ ატკინო,
თუ იღიმიხარ, მითხარ იმან რა დააშავა,
ხომ შეიძლება, რომ იცინი, ისიც აცინო.

## 162 დეფილე სამხეცეში

არც ბანალური არ ყოფილა რომ ეს ჩვენება,
არც უაზრო რამ, (ბევრიც თურმე ამით იგებდა),
ის კი არადა (გვიან მიხვდნენ), საღამო გახლდათ,
რომ ბოლო მოდის გემოვნების დეფილირება.



## 163 მგრძნობიარე სენსორები

როცა პრობლემა აქ ტრიალებს შენივ მორევში,
რად გეზმანება შორეული აგრესორები?
სიყვარულითა, სიხარულით, ტკივილით, შიშით...
რადგან სამყაროს ჩვენ  შევიგრძნობთ ამ სენსორებით.

## 164 სანამ ფერდობს აუყვები

შენც უცნობ ხალხთან გულახდილად აღარ გაერთო,
თუ დრო გჭირდება, გაარჩიო ნამდვილი ფსევდოს,
გადარდიანებს კაეშანი, სანამ ფრთებს გაშლი,
და ასე ფიქრში გადართული აყვები ფერდობს.

## 165 როცა ერთ წერტილს მიაჩერდები

ჩაციკლულია  პრობლემებში... დღეს რომ იწერდი
უბის წიგნაკში, - შესახვედრად სადღაც იწვევდი,
მოგონებების  ახლაც ისევ გამოსახმობად,
კვლავ შენთვის ზიხარ და უყურებ  ისევ იმ წერტილს.



## 166 მორიგი დღის ქრონიკა

დილა თუ ღიმილს მის სახეზე არ დაგანახებს,
წავა შუადღეც...      და საღამოც არ ჰგავს დანარჩენს,
აზრს შემოიყვანს ამ სულელურ არსებობაში,
იმედის სხივიც გამოკრთება, სულს გაანათებს.

## 167 როცა არავის ახსოვხარ

მივხვდი, იმ დღესაც თურმე ჩემთვის აღარ ეცალა,
ზღაპრული ვარდი ახლა სხვისთვის მას გაეშალა,
ერთიც მოვიდა და ასე თქვა: არვის ვახსოვარ,
იქ იტრიალა და იმ ადგილს მყის გაეცალა.

## 168 აურზაურის რობაი

რაც შემოვარდა, კვლავ ატეხა აურზაური,
(ალბათ აწყობდა მასაც  მსგავსი ხშირად ხმაური),
ვინაც სხვებივით მიირთმევდა დელიკატესებს,
თუმც ეტყობოდა რომ არ იყო ის აქაური.



## 169 ფულის შოვნის რობაი

უკვირს, არ შეხვდა ბალზე როცა მასაც ბილეთი,
ისიც, რომ დიდ ფულს შოულობენ შერეკილები,
თავისი ხელით ვატყობ ნაცარს თავზე წაიყრის,
სხვას რომ აჩვენოს ტვინის ჭყლეტის მაგალითები.

## 170 დროში ჩარჩენილი პოეტები

ადარდიანებს მათზე ფიქრი, ის ხმები ესმის,
დახავსებული, ობიანი იზიდავს ტექსტი,
რაც ვერ ასახავს ამ ეპოქის ფასეულობებს,...
ჩაციკლულია ყოველდღიურ, ძველ პრობლემებში.

## 171 მექალთანე კაცის რობაი

აგერ იმ ქალმა ახლა მისი ფიქრი არია,
რაც ოცნებებში მის სარკმელთან მღერის არიას,
მექალთანეა, საკუთარ თავს ისევ უმტკიცებს,
რომ ახალ ქალთან ნახე იგი, რა მაგარია!



### 172 ჭამა - სმა, გართობა და მუშაობა

სხვას, პლანეტაზე რას აკეთებ თუ გიფიქრია?
გართობასთან და ჭამა -სმასთან ერთად გივლია
და მუშაობა, იმაზე კი არასდროს ფიქრობ,
რომ ეს სამყარო ძლიერ ღრმაა და გაქნილია.

### 173 საუბრების  შემდგომ

ამ   საუბრებმა იგი ისევ ადარდიანა,
არც უფიქრია, პასუხმა რაც დააგვიანა,
ფასეულობებს ძირგამომპალს კვლავ ამათრახებს,
სოციალური ეს სატირა რომ გვარიანად.

### 174 მოზომილი ტვირთის რობაი (ატმის ხის რობაი)

ზოგ ხეს ხომ ხედავ, ტოტები რომ მალე ემტვრევა,
რადგანაც ნაყოფს იმდენს ისხამს, ვეღარ ერევა,
ასეა ბევრი, მეტად მძიმე ტვირთს აიკიდებს,
და იმ სიმძიმეს ვეღარ უძლებს, მალევე კვდება.



## 175 „კეთილისმსურველთა“ რობაი

თუ წაიქეცი, უხარიათ, ჩაიცინებენ,
რომ წამოდგები, უნებურად გაგიცინებენ,
წინ თუ წახვედი, გაგიმართლა, ფული იშოვე,
გწამდეს, შურისგან ღამით რომ ვერ დაიძინებენ.

## 176 დისტანციის რობაი

შენ, არ დაისვა თავზე  არვინ, შვილი რომ იყოს,
ძაან ნუ დახრი თავს, ვშიშობ რომ ვეღარ გაგიგონ,
შეგაჯდებიან ეგრევე და შენც გეწყინება
და ამისათვის, დისტანცია სულ უნდა იგრძნონ.

## 177 ენაზე კბილის დაჭერის რობაი

რაც მოგადგება პირში, სხვასთან კი არ უნდა თქვა,
ჭკუა მისთვის გაქვს, ერთხელ ნათქვამს რომ არ გადათქვამ,
წერტილს და  მძიმეს თუ ვერ არჩევ, დაღუპული ხარ,
ამდენ ლაქლაქში მძიმეს თუ სვამ წერტილის ნაცვლად.



### 178 სიყვარულით დაჭრილის რობაი

თუ სიყვარული აქილევსის ჩემი ქუსლია,
მყისვე იმ ქუსლში დავიჭრები, როცა მჩუქნიან
საამო გრძნობას  და პასუხად იგივეს გავცემ,
უფრო ვმდიდრდები, როცა ვხედავ, გულში უსვრიათ.

### 179 ენერგოვამპირის რობაი

რაკი გაბრაზებს, შენი მიაქვს მას ენერგია,
შენით საზრდოობს რომ იცოდე, ის ვამპირია,
შურიანია, მუდამ ხარბი, მას მოერიდე,
სხვისი სიკეთის მათ ახლაც  შურთ, სწყინთ და ტირიან.

### 180 ყველაფერი  იქნება  კარგად

ხვალ არ იწყება არაფერი, ის დღეს იწყება,
იწყება ახლა, ის ამ წუთას, დრო დაითვლება,
რადგანაც მერე  არ არსებობს... ის არის ახლა
და დამიჯერე, ყველაფერი იქნება კარგად.



**181 წინ, გამარჯვებისკენ!**

ქვას ხვრიტავს წყალი წვეთ- წვეთობით, იბრძოლე  მშვიდად,
დაძაბულობა შენც არ გაწყობს ან რაღად გინდა,
ამ მუხლჩაუხრელ შრომაში  თუ  ჰპოვებ სიმშვიდეს,
ჩათვალე,  უკვე გაიმარჯვე, გამოგივიდა.

**182 რობაი - ჩემი სულის ნავსაყუდელი**

დღესასწაულებს  ვერ აუხვალ, ამდენ ღრეობას,
ამდენ ღვინოს და ამდენ ლაქლაქს გული ვერ ზომავს,
კვლავ ჩემს მაგიდას მივუჯდები, რობაის ვუხმობ,
რომ ვუერთგულო იმ ჩემს ძირძველ მოვალეობას.

**183 ცხოვრების წიგნის რობაი,**

რაკი დღეები ადრინდელზე ძლიერად მიჰქრის,
აღარცერთხელაც შეღავათის არ გქონდეს ფიქრი,
ცხოვრების წიგნი ძალზედ რთული არის საკითხად,
მიტომაცაა ის ყველაზე  ძლიერი წიგნი.



## 184 სხვაზე მსჯელობისას

სხვაზე რომ სჯელობ, თურმე უნდა მის ტყავში გაძვრე,
შენც იქ ზერელედ ნუ გადაწყვეტ თუ რა თქვა მასზე,
თან უნდა იყო შენც დიდი და ჭკუანათელი,
რომ გქონდეს დიდი წარმოდგენა ადამიანზე.

## 185 სიმშვიდესთან ახლოს

შენ ეს ღიმილი სულს გიმშვიდებს და ეფერები,
საოცნებო ქალს  გაოცებენ მშვიდი ფერები,
რა ლამაზია ეს დღე - და შენც მადლიერი ხარ,
შენი ცხოვრების უსასრულო ნაირფერებით.

## 186 ქალთა გულთამპყრობელის რობაი

ის უყვართ ქალებს, მასზე ფიქრი ჟრჟოლად დაუვლით,
გიკვირს და ამბობ - ის ერთგული დარჩა აურის,
მუდამ ბრწყინავდა და ქალთა სქესს ახლაც  ხიბლავდა,
მოხდენილ ჟესტის გალანტური ქათინაურით



### 187 გადამწყვეტი ბრძოლის წინ

დროც აღარ გრჩება უნებურად განცდის და ფიქრის,
თენდება, ისევ ბრძოლაში ხარ და გული მიგდის,
ახლა გინდება რომ დაჯდე და ათვალიერო,
საუკეთესო ის ფურცლები ცხოვრების წიგნის.

### 188 პრინციპების ერთგულის რობაი

დამცირებულთან რომ ამაყი არასდროს იყოს,
მუდამ ახსოვდა, მოწოდებამ როცა დაიპყრო,
ჩვეულებრივად თავმდაბალს კი ყოველთვის ახსოვს,
ამაყთან თავი რომ არასდროს არ დაიმციროს.

### 189 უსამართლობის შემყურე რობაი

ერთურთის ჩაგვრა, დამცირება, ჭკუიდან შეგშლის,
მართალი ისევ ეწამება და დგას შენს გვერდით,
სხვა გზა არ გრჩება, დგახარ შენთვის, გულს იიმედებ,
რომ  საბოლოო სიტყვას ამბობს ყოველთვის ღმერთი.



## 190 ლამაზი ქალი და უჭკუო კაცები

ლამაზი ქალის დანახვისას ჩვენ ჭკუას ვკარგავთ,
ვჩუქნით ღიმილებსდა ოცნებას ღიმილში ვქარგავთ,
მოულოდნელად თუკი ჭკვიანს გადავეყრებით,
იგი მაშინვე მიგვახვედრებს, რომ ჭკუა არ გვაქვს.

## 191 უშნო ქალი არ არსებობს

არ არსებობენ ქვეყანაზე უშნო ქალები,
გემოვნებაა  ჩვენი უშნო, თურმე, კაცების,
ვერ გავრკვეულვართ, ხან ასეა ხან კიდევ ისე,
ვართ  გულგრილები, უგულონი და ზარმაცები.

## 192 ომს მშვიდობა სდევს, შემდეგ ისევ ის

სამყაროს მართავს წესრიგი და უწესრიგობა,
მოსაწყენია წარსულისკენ ისევ დაწყება,
ომი, მშვიდობა, კვლავ მშვიდობა, მერე კვლავ ომი,
ვინ დაალაგა უჩვეულო ნეტავ ეს წყება?



## 193 და მაინც, ვინ იტყვის სიმართლეს?

ყურს გვიჭედავენ ათასგვარი აღმოჩენებით,
რომ ეს -ესაა ჩვენ დაგვიდგა წლები დიდების,
ამდენს რომ ლაყბობთ, ის მითხარით, თუ შეგიძლიათ,
სიდან მოვედით და რომ ვკვდეებით თუ სად ვიქნებით?

## 194 სულის აღმაფრენის რობაი

სულს გვიხარებენ საოცარი ეს ქმნილებები,
სინატიფის და ჰარმონიის მაგალითები,
ეს ნახატები, პოეზია და ეს  მუსიკა
ჩვენ რომ არ გვქონდეს, მე არ ვიცი როგორ ვიქნებით.

## 195 გულახდილობა უჩვეულო შემთხვევა

აქ ბევრი რამე თუ ერთმანეთს ისევ ემთხვევა
და არ გვაკვირვებს ძველი მტერი მტერს რომ ეხვევა,
ჩვენ ძლიერ გვიკვირს იშვიათი გულახდილობა,
დღეს, უჩვეულოდ ერთადერთი ლამის შემთხვევა.



## 196 თვალებში ნანახი ოცნება

ცოლის თვალებში ოცნებები მან დაასვენა
და ამჟამადაც გულის რჩეულს სითბო აჩვენა,
უკანასკნელად შეიქმნება როდესაც ავად,
მიუბრუნდება ბევრჯერ განცდილ საამო ჩვევას.

## 197 უფლის ნებას წინ არაფერი უდგას

არავინ გვკითხავს, ასრულდება უფლისა ნება,
როგორც არ უნდა ჩვენ გვინდოდეს - წესად ითვლება,
ადრე თუ გვიან, ვკარგავთ ძვირფას ადამიანებს,
დასაბამიდან ასე იყო, ასეც იქნება.

## 198 ნაზია და თან საშიშიც

იგი ნაზია და საოცრად არის საშიშიც,
ულამაზესი მათრობელა, როგორც ჰაშიში,
ის ჭკვიანია, აქტიური, ძლიერ ქალური,
მას ქვია ქალი, კაცს სულ უყვარს და სულ აქვს შიში.



## 199 გზები, ო გზები..

ირგვლივ სულ გზაა, გზა რომელსაც არსად მივყავარ,
მას  ისევ სახლში მოვუყვები, ისევ გიჟს ვგავარ,
უკაცრიელი მინდვრებია, ცაზე ყორნებით,
მას მივეჩვიე, ბავშვობიდან ამ გზებით დავალ.

## 200 ძველ ტკივილთა განახლებისას

ძველი თემები ძველ ტკივილთა გახსენებაა,
იქ რაც მახარებს, მხოლოდ შენი გაღიმებაა
და მეც სხვა თემებს იშვიათად მივუბრუნდები,
ვამბობ- არასდროს! .. ყველაფერი კი ღვთის ნებაა.

## 201 გამჟოლი მზერა

მის ღრმა მზერაში აირეკლა ახლაც უფსკრული,
ღრმა, შინაგანი ცეცხლისაგან გადახრუკული,
რომელიც ისევ დაეკარგა სიცარიელეს,
როგორც ფსიქიკურ აშლილობას მოსდევს ჩურჩული.



## 202 ერთი ფესვისა, თუმცა სხვადასხვანი

გენიალობა და  სიგიჟე ერთი ფესვია,
და შედევრებით ბოდვა ისევ -  ცხოვრება  ღია,
გენიოსობა ჩემო ძმაო, ეს სიგიჟეა,
თუმცაღა გიჟებს  გენიოსი სულაც არ ქვია,

## 203 მთავარი ინტრიგა  მაინც არის დეტალებში

დეტალებშია ყველაფერი, თვითონ ფერიაც,
სილამაზეც ხომ დეტალებში ნაირფერია,
დეტალებშია ჯადოქრობა, აბა სიკეთე
და  ბოროტებაც, შორიდან ხომ ერთი ფერია.

## 204 სევდის რობაი

ვდგავარ, ვუყურებ ხვალინდელ დღის დაბურულ შუშებს,
აქედან არ ჩანს არაფერი, ჩემსკენ არ უშვებს,
აქ დასასრული ძლიერ ახლოს კვლავ შევიგრძენი,
ეიფორიას სულაც არ ვსდევ... ტკივილს ვიშუშებ.



## 205 ცრემლიანი წუთების რობაი

ნაღვლიან დღეებს ვხედავ ისიც ედიდგულება,
რის გამოც  უფრო შეიფერა მედიდურობა,
მან ვერ გაუძლო, იქვე დაჯდა, მწარედ ატირდა,
ქცევაში ახლა ნათლად ჩანდა  ტრაგიკულობა.

## 206 როდესაც დღის მალე დამთავრებაზე  ოცნებობ

რას არ ვიზამდი ეს საღამო მალე დამთავრდეს,
საშინელების  ამ ფილმს სხვაგან რომ გადართავდეს,
წონასწორობას მაკარგვინებს, თითქოს დავფრინავ,
რომ სადმე კედელს მივენარცხო, იქვე დავმთავრდე.

## 207 რაც სიკვდილს გვაახლოებს

კვლავ ალკოჰოლი არ მასვენებს, უძირო სენი,
უკურნებელმა ხომ არ იცის ჩემი და შენი,
არაყი, ღვინო, სიგარეტი და უძილობა,
ჩვენს დასაღუპად კვლავ შეთქმულან ყველა ესენი.



## 208 ბეწვის ხიდზე

მე ბეწვის ხიდზე მივდივარ და მივაპობ სივრცეს,
ნაკვალევად კი ვტოვებ სიტყვას, სხვას ძალა მივცე,
საფრთხილო გზაზე კვლავ არაფერს არ ვერიდები,
ათასწლეულთა ნაცად ხერხით კვლავ ბეწვის  ხიდზე.

## 209 შეხვედრა მიტოვებულ ოცნებებთან

იმ მიტოვებულ ოცნებებთან როდესაც მივალ,
იქ  ალბათ როგორც მთვარეული... არ ვიცი ვინ ვარ,
ასე მგონია ბეწვის ხიდზე დავდივარ ჩემთვის,
უსაზღვროების წინაშე და  აქ  უძლური ვარ.

## 210 მძიმე დღეებთან დამშვიდობება

რაც ნაცნობია, განცდილი და განაგონია,
განკერძოებას გამორიცხავს და გამგონეა,
მახსოვს ცხოვრების ნაღვლიანი ეპიზოდები,
რაც თუ მობრუნდა, ვერ გავუძლებ, არა მგონია.



**211 სიმღერის რობაი**

მღერის ქართველი დღენიადაგ, ლხინშიც, გლოვაშიც,
ვერ მოერევა ვერა ძალა ფრთებს როცა გაშლის,
ასე მღეროდა მამაჩემი, ჩემი ბაბუაც,
ასე ვმღერივარ მეც და ვცდილობ არ დავრჩე ვალში.

**212 ფუნჯით ხელში**

ბუნებრივ სითბოს ხელოვნური მაინც აცივებს,
სევდა - მიზანში ამოღებულს არ ააცილებს,
დღეც, მისი ფუნჯი უჩვეულო სწრაფი მონასმით,
აჩქარებული რიტმით ხატავს სიტუაციებს.

**213 სინამდვილის შეცნობის რობაი**

დაეწაფები ჭეშმარიტის შეცნობის წყურვილს,
რომელი წყაროც ჩვენს ცხოვრებას მუდამ გარს უვლის,
იქ სინამდვილის სიცხადეა გასაოცარი,
მძიმეა ტვირთი, თუმცა მაინც სალბუნი გულის.



## 214 ყვავილები სულის განსაწმენდელად

მე ჩემი სულის სისუფთავით მუდამ ვამაყობ,
სიკეთის ციცქნა ყვავილებით სულ იმას ვამკობ,
მოყვასისათვის გულის კარი მუდამ ღია მაქვს,
ოღონდ ესაა, რასაც ვფიქრობ, ახლაც მას ვამბობ.

## 215 მნიშვნელოვანი  შტრიხი ავტოპორტრეტისთვის

რობაის ხათრით აღარ მინდა უკვე სონეტი,
რაც ელვარება უფრო მხიბლავს მე ამ მონეტის,
ასე მგონია, სიყვარულით აქ დაიხატა,
უკანასკნელი, თითქოს სრული ავტოპორტრეტი.

## 216 ძლიერი პიროვნების რობაი

ვეღარაფერმა შეაჩერა მისი ქმედება,
თავგადასავლებს ათასნაირს წამოეგება,
იყო პოეტი, თუმცა ეს ის შემთხვევა არის,
ბიოგრაფია როცა ჩრდილავს შემოქმედებას.



## 206 შურისმაძიებელთათვის

შურისძიებას ნუ იჩქარებ,  დრო თვით გაჩვენებს,
ვინც გაწყენინა ყველა იმათ რომ შეაჩვენებს,
თვით მოაგვარებს ანდა  ზოგჯერ შენაც გიბიძგებს,
იმ ყველაფერთან რიდი ჰქონდეთ რომ დანარჩენებს.

## 207 სისუფთავის საწინდარი

გაძლიერებულთ ბევრ რამეზე კვლავ უარის თქმით,
რომელსაც ჩვენი სისუფთავის საწინდარად ვთვლით,
დავდივართ ასე, მძიმე ტვირთით და ვიმოძღვრებით
არარსებობა -არსებობის ფილოსოფიით.

## 219 როცა წამებაა თვით ცხოვრება

წამებადა აქვს ბევრს ცხოვრება გადაქცეული,
როს ყოველი დღის გათენება არის წყეული,
სიცოცხლეც უკვე იქ აზრს კარგავს, მალე ჩლუნგდება,
მიტოვებული, ყველასაგან ზურგშექცეული.



## 220 ბედნიერის რობაი

მართალს გეტყვი და, მომეწონა შენი იერი,
ისიც მას გეტყვის, ამას გეტყვის ნებისმიერი,
თუ გადაწყვიტე, რომ შენ უკვე ბედნიერი ხარ,
შენ ე. ი. აუცილებლად ხარ ბედნიერი.

## 221 თავის არდახრის რობაი

მჯერა ერთხელაც, შენ იმ ტყვიას გულში დაიხლი,
არასდიდებით არავისთან ქედს არ მოიხრი,
შენ ბედნიერი რომ ხარ მისთვის გინდა სიცოცხლე,
ტანჯულ ცხოვრებას აბა მითხარ რა თავში იხლი.

## 222 ხუმრობა მძიმე წუთებში

მძიმე წუთებში მაინც ხუმრობს თავდაჭერილი,
და გარეგნული სიმშვიდე ჰყავს გამოჭერილი,
რისთვის დავძაბო? (მან თქვა), ყველა მათ ხომ ისედაც,
რთული ცხოვრება უკვე ყელში აქვთ გაჩხერილი.



## 223 ბედნიერება სიყვარულშია

არ შეიძლება ლამაზ დღეთა მიღმა რჩებოდე,
რომ სილამაზეს ხატავდე და არა თვრებოდე,
ბედნიერება არის ის, რომ ვინმე გიყვარდეს,
არა პირიქით, რომ შენს გამო იტანჯებოდეს.

## 224 რას წერენ დიდების დღეებში

გიკვირს, დიდებას უნიჭონი როგორ აღწევენ,
თუნდაც მხატვარნი ან მწერლები,  ბოდვებს რომ წერენ,
მის მისაღწევად მოხერხება არის საჭირო,
თუ ძმა ხარ, რაში მათ ადარდებთ თუ რას აღწერენ.

## 225 ლამაზად ცხოვრების რობაი

მუდამ სჯობია იგი ბრძოლით რომ მოიპოვო,
და საშოვარი სუფთა გულით ისევ იშოვო,
ბედნიერება ის არაა, ლამაზად მოკვდე,
არამედ, სხვებიც გაახარო,  კარგად იცხოვრო.



## 226 ღიმილი ევოლუციისთვის

თუ დღენიადაგ ღიმილს ითხოვს სიამოვნება,
რაც წვეთ-წვეთობით ავსებს ახლა შენს ძლიერებას,
ევოლუციის შედეგია  ეს  ყველაფერი,
ბევრი ფაქტორი თუმც ხელს უშლის ბედნიერებას.

## 227 მხატვარი და ფუნჯი

იდგა მხატვარი და ხატავდა იმ დღეს, ვით მუნჯი,
ხმას არ იღებდა, ააფეთქა ტილოზე ლურჯი,
ადნობდა განცდებს, ამოხეთქილს ტანჯულ სულიდან,
დამანგრეველი ენერგიით დამუხტულ ფუნჯით.

## 228 სხვაზე ფიქრებში

სადარდებელებს ყველა ჩვენსას ხედავს უფალი,
არ ველოდებით სადაც იმას, იგიც იქ არის,
კაცს კი, რომელიც დღენიადაგ სულ სხვაზე ფიქრობს,
ხშირად პრობლემა ავიწყდება  მისსაკუთარი.



## 229 თავდახრილის რობაი

ძლიერ დახარა იქ ყვავილმა თავი და გახმა,
ასევე კაციც, თავით დაბლა როდესაც დადგა,
უცებ შეაჯდა იქ ვიღაცა ასე თავმდაბალს,
-ასე ლამაზი (ამ წუთამდე), ის დღეც მყის  წახდა.

## 230 დაბადების დღის რობაი

თვის დაბიდუბი კალენდარზე გახაზა ფანქრით,
-დღეს ჩემი დღეა, მე უფულომ აღვნიშნო ან რით,
ეს თქვა კაცმა და ბარის კარებს წიხლი მიარტყა,
უფულობაზე ახლა ამით იყარა ჯავრი.

## 231 სიკეთის შუქით

სიკეთის შუქმა დააბრმავა ბოროტი კაცი
და ვეღარ ამჩნევს მის წინ რომ დგას სიმართლე მკაცრი,
ჩანასახშივე თუ კი მოსპობ  შენ ბოროტებას,
ნერვიულობას (დრო გიჩვენებს), თუ როგორ აცდი.



## 232 ყველაფრის გათვალისწინების რობაი

მასაც შენ ისე ესაუბრე, როგორც გაგიგებს,
რისი გაგება შეუძლია და რას წაიღებს,
იმდენს მიიღებს, თვითონ რასაც ჩათვლის საჭიროდ,
დანარჩენის თქმას აზრი არ აქვს და არ დაიბნე.

## 233 ყველა ჩვენ – ჩვენი ბიოგრაფიით

ჯერ ცხოვრებაა აქ ლამაზად და მერე წასვლა,
რაც გავაკეთეთ ამ ქვეყანად, რაც არ დაგვცალდა,
ჩვენი შვილები თავის შვილებს მოუყვებიან,
ამაღელვებელ ჩვენს მიწიურ თავგადასავალს.

## 234 გულგრილის რობაი

რამდენი ვიცი, გულგრილობის სიმზე რომ უკრავს,
თითქოს არასდროს სხვისი დარდი არ მიაქვს გულთან,
ასე კვდებიან უღმერთოდ და უსიყვარულოდ,
გულით არასდროს, არასოდეს უხმობენ უფალს.



## 235 მოწყენილები სუფრასთან

მოწყენილები მივუსხედით ქელეხის სუფრას,
ვერ გავიხსენეთ რამე კარგი და არც სხვას უთქვამს,
ასე გულგრილად ჩაათავა მანაც სიცოცხლე,-
ვიფიქრე,  განცდა ნაღველის დროს რომ დამეუფლა.

## 236 ტრაგიკომედიის რობაი

შორიდან  ფიქრობ - უჩვეულო  კომედიაა,
ახლოს მიხვალ და - შემზარავი ტრაგედიაა
ჩვენი ცხოვრება ,-თვალებს იფშვნეტ, ამბობ- ეს რაა,
შენ დახურული გგონია და კარი ღიაა.

## 237 სინდის-  ნამუსის გამყიდველები

რომ საკუთარ თავს ახლა ყიდის უცხო ნივთივით,
გაყიდულ სინდისს კი არასდროს ის არ მისტირის,
სხვის მრავლისმეტყველ ცხოვრებაში სურს ჩაღრმავება,
მიმოიხილავს მის ცხოვრებას, დგას და იცინის.



**238 ღიმილისა და  ნაღველის გაბაასებიდან**

ღიმილის მუდამ შურდა ნაღველს, რად იცინიო,
